

სტუდენტური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

# ადმოსავლეთი

- ისტორია
- კულტურა და ცივილიზაცია
- ლიტერატურა
- რელიგია
- პოლიტიკა

თებერვალი, 2022

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



## სარედაქციო კოლეგია:

ომიკო ეჯიბია

მათე ქარდავა

გიორგი ახალკაციშვილი

ანა ჩაჩიბაია


ანა შალუთაშვილი

# სარჩევი

ისტორია.....	5
იუდეა ეპოქათა მიჯნაზე (პოლიტიკური ასპექტი). ნიკოლოზ ბურჯანაძე, ცისანა კორკოტაძე.....	6
ჯვაროსნული აღმოსავლეთი ფეოდალიზმის კონტექსტში. ნოდარ გათაშვილი.....	12
მათეოს ურჰაეცის თხზულების „ჟამთააღმწერლობის“ შესწავლისათვის. ნიკოლოზ ოვსიანიკოვი.....	21
მოჰაჩის ბრძოლა. მარიტა ხარშილაძე, თინა მაკარაძე.....	25
ვენის ალყა (1683)- ოსმალეთის მიერ ვენის დაპყრობის ბოლო მცდელობა. მარიამ ესართია, ანა აბუთიძე.....	32
აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველთა ყოფა, კულტურა და თანამედროვე ვითარება. მარიკა ირემაძე, ირა გელაძე.....	38
2016 წლის თურქეთის არშემდგარი სამხედრო გადატრიალება. ქეთა მამულაშვილი.....	43
პოლიტიკა.....	50
ნაქბა და პალესტინელი ბავშვების ტრაგედია. მარიამ ჭიჭიკოშვილი, ელენე კუკავა.....	51
ირანის ბირთვული პროგრამის ისტორია. ელენე მიქანაძე, თამარი ბიბიჩაძე.....	54
ავღანელი ქალები თალიბანის პირისპირ. ირმა ჭანტურია.....	61
ენა და ლიტერატურა.....	67
ზოგიერთი არაბული პოლისემიური ზმნის შესახებ. მარიამ ჯერანაშვილი, ლიზა შონია.....	68
ქალთა ემანსიპაციის საკითხი არაბი რომანტიკოსების შემოქმედებაში. დიდებაშვილი მარიამი, აშორტია თევლე.....	74
ჩრდილოსემიტური გავლენა სამხრეთარაბულ ენაზე. მაქა ნაციშვილი; თეკო ჩხაპელია.....	80
„ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობის კონცეფციის აღმოსავლური წყაროები – „რამაიანა“ და „ლეილი და მაჯნუნი“. ცისანა ბაბუნიაშვილი.....	86
სიყვარულის აპოლოგია და მისი მხატვრული რეალიზაცია შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში („ვეფხისტყაოსნის“, „ტრისტანის და იზოლდას“, „ვისი და რამინის“ მაგალითზე). ეთერ ნარეკლიშვილი.....	90

„მცდარი გავეროპელების" თემა აჰმედ მიდჰათის რომანში „ფელათუნ ბეი და რაქიმ ეფენდი“. ნანო გოგია; ანა ციყელაშვილი.....	94
აბდულჰაკ ჰამიდის პოემა „საფლავი“. სალომე ზაქარიაძე.....	100
ომის რეპრეზენტაცია იმან ჰუმაიდან იუნისის რომანში „ასო „ბ“ სიტყვებში „ბინა“, „ბეირუთი“. ვიკა ჯაჯანიძე.....	108
<b>კულტურა და რელიგია.....</b>	<b>112</b>
უძველესი ხეთური საკურთხეველი იაზილიქაია. ლუკა გოლაშვილი.....	113
ტადაო ანდო და თანამედროვე არქიტექტურა. ანა კერძევაძე.....	118

# ისტორია



## იუდეა ეპოქათა მიჯნაზე (პოლიტიკური ასპექტი)

ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში, სადაც ათასწლეულების მანძილზე იქმნებოდა უდიდესი სახელმწიფოები თავისი განუმეორებელი ისტორიითა და კულტურით, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი იუდეველების - მსოფლიო ისტორიაში პირველი მონოთეისტური რელიგიის მიმდევარი ხალხის მიერ შექმნილ ძველი ისრაელის სახელმწიფოს უკავია. ძვ. წ. მე-11 საუკუნიდან მოყოლებული ჯერ იყო ისრაელის სამეფო სამი მეფით (საული, დავითი, სოლომონი), შემდეგ ორად გაყოფილი ისრაელი - ისრაელისა და იუდას სამეფოები, შემდეგ 70 წლიანი ტყვეობა, ელინისტური პერიოდის ხაშმონიანთა სახელმწიფო, და ბოლოს, რომის იმპერიის პროვინცია სირიის შემადგენელ ნაწილი. ჩვენი ინტერესის სფეროს სწორედ ძვ.წ. I- ახ.წ. I სს-ის იუდეის პოლიტიკური ასპექტი წარმოადგენს. ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე განვიხილავთ იუდეის სამეფო გვარის წარმომადგენლებს.

რომის მიერ იუდეის დაპყრობა უკავშირდება გნეუს პომპეუსს ძვ.წ. 63 წელს, რომელმაც იუდეის მართვა მღვდელმთავარ ჰირკან II ჩააბარა და ეთნარხის ტიტული უბოძა. აღნიშნულმა მოქმედებამ იუდეას, როგორც სახელმწიფოს, სამეფო პრივილეგიები წაართვა. იგი რომის პროვინცია სირიის შემადგენელი ნაწილი გახდა. გარკვეული რეფორმების გატარების შემდეგ, რომის პროკონსულმა აულიუს გაბონიუსმა იუდეა 5 მხარედ დაყო: იერუსალიმის, გადარის, ამაფუსის, იერიხონის და გალილეის სეპტორისად. ამავე პერიოდში დიდი მნიშვნელობის მოვლენა ხდება უშუალოდ იუდეაშიც. ჰირკან მეორეს მარჯვენა ხელად ინიშნება ედომელი ანტიპატროსი, ხოლო გალილეის მმართველი მისი შვილი, ჰეროდე, რომელსაც დღევანდელი ისტორიოგრაფია ჰეროდე დიდის სახელით იცნობს. თითქოს ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოვლენა შემდგომში დიდ მნიშვნელობას იქონიებს იუდეის ისტორიაში, როდესაც სახელმწიფოს თავად ჰეროდე და მისი მემკვიდრეები მართავენ.

ძვ. წ. 40 წელს იუდეა კვლავ იბრუნებს სამეფოს სტატუსს. მარკუს ანტონიუსისა და ოქტავიანეს თანხმობით სენატმა ჰეროდე იუდეის მეფედ გამოაცხადა. ძვ. წ. 40 წელს იუდეა პართიამ დაიპყრო. ძვ. წ. 39 წელს ჰეროდე პტოლემეისში ჩავიდა, სადაც პართიელებისაგან იუდეის განსათავისუფლებლად ებრაელი მოხალისეები შეკრიბა, რომელთა მეშვეობითაც პართიელები იუდეიდან განდევნა (Flavius Josephus, *The Antiquities of the Jews*, XIV, 15,1).

ჰეროდე დიდის შესაძლო გამოსახულება.



მე-17 საუკუნის გრავიურა,  
ავტორი ცნობილი არ არის.

ჰეროდე დიდი, როგორც პიროვნება, არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს საზოგადოებაში. მისი პიროვნული თვისებები განაპირობებდა იმას, რომ იგი არ მოსწონდათ მისი დროის იუდეის მოსახლეობას. მას დაუნდობლობასა და ექვიანობასთან ერთად, ჰქონდა ძალაუფლების მოპოვების დაუოკებელი წყურვილი, რის გამოც საკუთარი შვილებიც კი დახოცა. დიდ როლს თამაშობდა ის ფაქტიც, რომ წარმოშობით იგი იყო ედომელი და არა იუდეველი. ჰეროდე გამოირჩეოდა პოლიტიკური მმართველობის საუცხოო ნიჭით. ამის ნათელი დადასტურებაა მისი წარმატებული პოლიტიკა. მისი მმართველობის დროს იუდეის სამეფო მდ. იორდანეს ორივე სანაპიროზე მდებარეობდა. აღსანიშნავია ჰეროდეს დამოკიდებულება რომისადმი. იგი რომის „სახელმწიფო მამებს“ ყველაფერში ემორჩილებოდა, რაც გაცივებს თავად დამპყრობელშიც კი იწვევდა. მას სურდა იუდეის გაძლიერება თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაკლებად აინტერესებდა იუდეველი ხალხი, მათი სარწმუნოება და ეროვნული ინტერესები. ჰეროდე დიდი მოხსენიებულია ახალ აღთქმაში მაცხოვრის დაბადებასთან დაკავშირებით (მათ. 2:1) და ბეთლემში და მის შემოგარენში ყრმების დახოცვასთან დაკავშირებით (მათ. 2:16).

იმავედროულად, ჰეროდე მეფე-აღმშენებელი იყო. მან იერუსალიმის მეორე ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარა, მაგრამ მისი მიზანი ამ ტერიტორიაზე ელინიზმის გავრცელება იყო. მანვე ააგო ხმელთაშუაზღვისპირეთის პორტი, კესარია ამფითეატრით. ამფითეატრს იოსებ ფალვიუსი სტადიონად მოიხსენიებს (The





ვერაფრით დაგვამახსოვრა, გარდა სისხლიანი მმართველობისა. იმავდროულად, იუდეა, მისი მმართველობის დროს კვლავ კარგავს სამეფო სტატუსს. არხელაოსს ენიჭება ჩვენთვის კარგად ნაცნობი თანამდებობა, ეთნარხის, რომელიც პომპეუსის დროიდან დიდ პრივილეგიებს ანიჭებდა მმართველს. თუმცა, აკარგვინებდა მეფის ტიტულს.

მამის მსგავსად, არც არხელაოსი გამოირჩეოდა პიროვნული თვისებებით. ძალაუფლების ხელში აღების დროიდან, მისი ავტორიტეტი დაბალი იყო საოცარი სისასტიკის გამო. ბუნებრივია, საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი ასეთ ადამიანს ძალაუფლებას მაშინვე წაართმევდა. შემდგომი გართულებებისა და აჯანყებების თავიდან ასაცილებლად. სწორედ ასე მოიქცა ოქტავიანე ავგუსტუსი. ახ. წ. 6 წელს, მან ყოველგვარი პრივილეგია ჩამოართვა არხელაოსს და ვიენაში (ნარბნის გალია) გადაასახლა. მისი ტერიტორია კი პროვინცია სირიას შეუერთა.

ჰეროდე II ფილიპე წინამორბედებისგან განსხვავებული პიროვნება და მმართველი იყო. როგორც იოსებ ფლავიუსი გადმოგვცემს, ჰეროდე დიდის ბოლო ანდერძის მიხედვით, ერგო სამხრეთ სირიული სამფლობელოები, იტურეა, ბატანეა თავის მიმდებარე ტერიტორიებით და მნიშვნელოვანი ნავსადგური ღაზა (Flavius Josephus, *The Antiquities of the Jews*. XVIII 2-4). გამოირჩეოდა თბილი დამოკიდებულებით ქვეშევრდომებისადმი. ზრუნავდა იუდეაზე და თავის ხალხზე. როგორც იოსებ ფლავიუსი გადმოგვცემს, მოგზაურობის დროსაც კი შეეძლო თავის ხელქვეითებზე ზრუნვა და სამართლის ასრულება (Flavius Josephus, *The Antiquities of the Jews*, XVIII, 4-6). იოსებ ფლავიუსის გადმოცემით, ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში, იუდეის მოსახლეობას მასზე მზრუნველი და სამართლიანი მმართველი არ ჰყოლია.

ჰეროდე დიდის მესამე ვაჟს, ჰეროდე ანტიპატროსს: ანტიპა, გალილეა და პერეა ერგო. მისი მოღვაწეობა გარკვეულწილად ჰგავს თავისი ძმის, ჰეროდე არხელაოსის მოღვაწეობას. ორივე ძმა შერისხული იქნა რომის იმპერატორების მიერ და გადასახლებული. ჰეროდე ანტიპატროსი გადასახლებაში გარდაიცვალა. დიონ კასიუსი გვამცნობს, რომ იგი მოკლეს (Dio., *Hist. Rom.*, LIX, 8, 2), ხოლო მმართველად, მაშინდელმა იმპერატორმა, კალიგულამ, მისივე ძმისშვილი ჰეროდე აგრიპა დანიშნა.

კალიგულას მმართველობა კატასტროფა იყო თავად რომის იმპერიისთვის. თუმცა, არა იუდეისათვის. ჰეროდე აგრიპამ მოახერხა მასთან დაახლოება და თითქმის 30 წ-ლიანი დაყოფის შემდეგ, როდესაც ჰეროდე დიდის სამფლობელოებს მისი ვაჟები მართავდნენ, იუდეა ცენტრალიზებულ მმართველობას დაუქვემდებარა. სწორედ ამით არის აღსანიშნავი ჰეროდე აგრიპას მოღვაწეობა.

ჰეროდე აგრიპა 44 წელს გარდაიცვალა. ამ დროიდან იწყება იუდეის, როგორც სამეფოს, არსებობის უკანასკნელი პერიოდი, რომლის სათავეში ჰეროდე აგრიპა II გვევლინება. ჯერ კიდევ აგრიპა II-ის ახალგაზრდობაშივე გამოცხადდა იუდეა პროვინციად და მისი მმართველი პროკურატორი გახდა. ბუნებრივია, ეს მოვლენა უკმაყოფილებას გამოიწვევდა პატრიოტ იუდეველ ხალხში. თუ მანამდე ისინი ეგუებოდნენ მათი სამეფოს ფორმალურ არსებობას და იბრძოდნენ მეტი უფლების მოსაპოვებლად, ახლა ყოველგვარი სახელმწიფო ინსტიტუტის ნიშნებს კარგავდნენ. ვითარება ყოველ წელს იძაბებოდა. ჰეროდე ცდილობდა კომფლიქტის ჩაფარცხვას და დაპირისპირების თავიდან აცილებას. თუმცა, მოვლენები დიამეტრულად საპირისპიროდ განვითარდა. იუდეველები აჯანყდნენ და რომაული გარნიზონი იერუსალიმიდან განდევნეს. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა რომის იმპერატორ ვესპასიანეს მოღვაწეობას. მან და მისმა ვაჟმა, ტიტუსმა, ჩაახშვეს აჯანყება. ვესპასიანეს ბრძანებით ტიტუსმა 70 წელს დაანგრია იერუსალიმის მეორე ტაძარი. დამთავრდა ერთი დიდი პერიოდი იუდეველთა ისტორიაში. შედეგად, იუდეა კვლავ იქნა დამორჩილებული, ახლა უკვე საბოლოოდ. ის ფორმალურ სამეფოდ ჰეროდე აგრიპა II-ის გარდაცვალებამდე არსებობდა. ამის შემდეგ, ეს ტერიტორია რომის პროვინცია გახდა. მას მეფეების ნაცვლად ლეგატები მართავდნენ. იუდეას სახელი შეეცვალა და პალესტინა (ფილისტიმელების ქვეყანა) დაერქვა. აღნიშნული ვითარება გამოუსწორებელ და კატასტროფულ შედეგებს ითვალისწინებდა იუდეველი ხალხისთვის, რომლებმაც დაკარგეს არამარტო დამოუკიდებლობა, არამედ სახელიც.

რაც შეეხება პოლიტიკურ თანამდებობებს, სახელმწიფო ინსტიტუტებს იუდეაში. იუდეის სახელმწიფო ინსტიტუტებიდან, ძირითადად ერთი ადგილობრივი აპარატი ფუნქციონირებდა, სინედრიონი. იგი რელიგიური, იურიდიული და უმაღლესი სასამართლო ორგანო იყო. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ჰეროდე დიდმა, სინედრიონს შეუკვეცა უფლებები და მას მხოლოდ რელიგიური სასამართლოს ფუნქციები დაუტოვა. მისაკუთრა მღვდელმთავრის დანიშვნის უფლებაც.

ვინაიდან იუდეა იმპერიის შემადგენელი პროვინციის - სირიის ნაწილს წარმოადგენდა, შესაბამისად, სახელმწიფო თანამდებობებიც რომაულია. რომაული სახელმწიფო აპარატებიდან ფუნქციონირებდა ლეგატის, პროკურატორის, პრეფექტის თანამდებობები. უშუალოდ ჩვენ, აღნიშნული ინსტიტუტებიდან, ორ მათგანზე შევჩერდებით, რომლებიც პილატე პონტოელს და მარკუს ანტონიუს ფელიქსს ეკავა.

რომის პრეფექტს იუდეაში, პილატე პონტოელს (ლათ. Pontius Pilatus), რომელიც ახალ აღთქმაში მოხსენიებულია მაცხოვრის ჯვარცმასთან დაკავშირებით, როგორც

ოთხივე სახარებაში, რომელიც სწორედ პონტოელი პილატეს მთავრობის (ბერძნ. ἡγεμᾶν) დროს ხდება, ისე მოციქულთა საქმეებში. ახალი აღთქმის გარდა, პილატე პონტოელი მოხსენიებულია რამდენიმე ისტორიულ წყაროში: ფილონ ალექსანდრიელთან (Pilo., Leg. ad Gaicum, 38), იოსებ ფლავიუსთან (იუდ. სიძველენი, XVIII, 2,2, 1-3; 4, 1-2; იუდ. ომი, II, 9,2), ტაციტუსთან (Ann., XV, 44), ევსები კესარიელთან (Hist. eccl., II,7) და II საუკუნის რამდენიმე აპოკრიფში. იგი ტაციტუსის მიხედვით, რომის პროკურატორია. ახალი აღთქმის მიხედვით, იუდეის მთავარია. არქეოლოგიურ გათხრების შედეგად დაფიქსირებულ წარწერაზე იუდეის პრეფექტია. მარკუს ანტონიუს ფელიქსი (ბერძნ. ὁ Φίλιξ), რომელიც პროვინცია იუდეის რომის პროკურატორი იყო 52-58 წწ-ში. დაქორწინებული იყო ჰეროდე აგრიპა II-ეს და დრუზილაზე (საქ. 24:24).

ამრიგად, კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიჯნაზე ჰეროდეს დინასტიის მმართველობის დროს იუდეა რომის პროვინცია სირიის შემადგენელი ნაწილია. იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღარ წარმოადგენს, როგორც ხაშმონიანთა დინასტიის დროს.

*ნიკოლოზ ბურჯანაძე, ცისანა კორკოტაძე*

## ჯვაროსნული აღმოსავლეთი ფეოდალიზმის კონტექსტში

ძალიან მნიშვნელოვანია მიზეზები, თუ როგორ დამკვიდრდა ფეოდალური ურთიერთობები აღნიშნულ რეგიონში, ვინ მოიტანა და ზოგადად მისი მსგავსება-განსხვავება დასავლეთ ევროპის ფეოდალურ სტრუქტურასთან, საიდანაც შემოიტანეს და დაამკვიდრეს იგი ჯვაროსნებმა. მოგეხსენებათ, რომ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად ლევანტის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ოთხი ჯვაროსნული სახელმწიფო, რომელთა ფენომენი, როგორც დასავლურ-ევროპული ტიპის სახელმწიფო წარმონაქმნი აღმოსავლეთში, ძალიან საინტერესო და ამავდროულად მნიშვნელოვანი მოვლენაა. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოყალიბდა ოთხი პოლიტიკური ერთეული: იერუსალიმის სამეფო (მმართველი - ქვემო ლოტარინგიის ჰერცოგი გოტფრიდი), ედესას საგრაფო (სათავეშია ბალდუინი, გოტფრიდის ძმა), ანტიოქიის სამთავრო (მმართველი - ბოემუნდ ტარანტელი, სიცილიის მთავარი), ტრიპოლის საგრაფო (მეთაური - რაიმუნდ IV, ტულუზის



გრაფი). ედესა, ტრიპოლი და ანტიოქია იერუსალიმის ვასალებად ითვლებოდნენ, მისი სიდიდისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით.

ჯვაროსნული სახელმწიფოები საინტერესოა ძალიან, როგორც ფეოდალური სტრუქტურის, ეკონომიკის, ვაჭრობის, ისე პოლიტიკური ორგანიზაციის კუთხით, მაგრამ ამ შემთხვევაში მიზანი ამ სახელმწიფოთა ფეოდალური სტრუქტურის თავისებურებათა განხილვაა. აღმოსავლეთში მოსულ

ევროპელ ჯვაროსნებს სხვადასხვა მიზანი ჰქონდათ, ეს გამოჩნდა პირველივე ლაშქრობის დასრულების შემდეგ, მაგალითად, იტალიელთა შემთხვევაში. მათი მიზანი რეალურად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ინტენსიური ვაჭრობის მთავარ მამოძრავებელ ძალად ქცევა იყო, ამ საქმეში კი ერთმანეთს სამი მთავარი ქალაქი: ვენეცია, გენუა და პიზა ექიშპებოდა, თანაც ისინი ადგილობრივი ხელისუფლებისგან იყვნენ დამოუკიდებლები და იმართებოდნენ მეტროპოლიიდან დანიშნული კონსულის მეშვეობით. გარდა ამისა, ქალაქებში იღებდნენ კვარტლებს, ბაზრებს, მაღაზიებს და ეკლესიებსაც კი.

შუა საუკუნეების კონტექსტში სირიას („Surie“) უწოდებდნენ სირია-პალესტინის ტერიტორიას, აქ მცხოვრებ მოსახლეობას კი - სირიელებს, ისევე, როგორც იერუსალიმის სამეფოს მოსახლეობას ქრისტიანების ჩათვლით. ჯვაროსნული ეპოქის დასაწყისიდან ლევანტში ეთნიკური თვალსაზრისით სხვადასხვა ჯგუფი ცხოვრობდა: უმცირესობას შეადგენდნენ მოსული ჯვაროსნები, როგორც ბარონები და რაინდები, ისე ევროპელი „კოლონისტები“, ძირითადად ფრანგები, რომლებიც სოფლებში დასახლდნენ, ასევე ადგილობრივი მუსლიმი და ქრისტიანი მოსახლეობა, ეს უკანასკნელი მუსლიმთა ბატონობის მიუხედავად ინარჩუნდებდნენ რელიგიას, მაგალითად, სირიელებად მოიხსენიებენ რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფს, „suriani“-ის, რომლებიც აღიარებდნენ მელქიტების მოძღვრებას, ანუ ეს ადამიანები აღიარებდნენ ბერძნულ სჯულს და ღვთისმსახურება ჰქონდათ ბერძნული, მაგრამ საუბრობდნენ არაბულად. დადასტურებულია ისიც, რომ არქივისკოპოსი ჰყავდათ სიდონში, ეპისკოპოსი - აკრაში.

უშუალოდ სახელმწიფოთა ფეოდალურ სტრუქტურას რაც შეეხება, ეს თემა გახდა ჯვაროსნული აღმოსავლეთისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისა და რეალურად შეიძლება ასეც ითქვას, ფეოდალური მოწყობა ამ სახელმწიფოების პოლიტიკური ორგანიზაციის საფუძვლად იქცა. აქ მთავარი როლი ფრანგებმა შეასრულეს მეტწილად და ეს ფაქტი იგრძნობოდა კიდევ ფეოდალიზმის ჩამოყალიბებაში, ფრანგული ელემენტის დომინირებაში და სხვა. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით ლოგიკურია, როცა ვიტყვი, რომ რეგიონში მთავარ ენად ფრანგული იქცა. ჯვაროსანთა დიდი ნაწილი ევროპაში დაბრუნდა. ისედაც ლევანტში ყველა ევროპელს ფრანკს უწოდებდნენ (კარლოს დიდის დროიდან, როცა მისი იმპერია ევროპელი ხალხის ძალიან დიდ ნაწილს აერთიანებდა). იერუსალიმის პირველი მმართველი გოტფრიდ ბულონელი იყო, მაგრამ მას მეფის ტიტული არ მიუღია, გახდა „მაცხოვრის საფლავის მცველი“, ხოლო უშუალოდ მეფის ტიტული პირველად ბალდუინ I-მა მიიღო, რომლის დროსაც იწყება იერუსალიმის გაფართოება და საფუძველი ეყრება მის, როგორც სამეფოდ, ჩამოყალიბებას. რეალურად, აღმოსავლეთში დამკვიდრებულმა ჯვაროსნებმა თავიანთი კულტურა, წეს-ჩვეულებები და სახელმწიფოს მართვის მათთვის დამახასიათებელი სტილი მოიტანეს. ჯვაროსნული აღმოსავლეთის სახელმწიფოებრივი, მმართველობითი მოწყობა ძირითადად ემყარებოდა მაშინდელი დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წესრიგს. შეიქმნა გაბატონებული, სენიორთა კლასი, რომელიც ბარონებისა და რაინდებისაგან შედგებოდა. ლაშქრობის მეთაურებმა, როგორც დავინახეთ, მიიღეს ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველის ტიტული (მეფის, გრაფის, მთავრის). დაპყრობილი ტერიტორიები ლენების სახით ურიგდებოდათ რაინდებს სამხედრო პირობის სანაცვლოდ. აქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა

კი იბეგრებოდა, მაგრამ სამხედრო სამსახურის შესრულება სენიორის წინაშე არ ევალეზებოდათ. ამ ფაქტის ახსნა შესაძლებელია, რა თქმა უნდა. ეს ფენა, როგორც ევროპაში, ისე აქ არ იბრძვის, ძირითადად რაინდები. ჯვაროსნულ აღმოსავლეთშიც ჯარში მხოლოდ ფრანგები იყვნენ, რადგან არც მოსულ იტალიელებს ჰქონდათ რაიმე ვალდებულება ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ. გარემოებათა გათვალისწინებით, ჯვაროსნებს სამხედრო თვალსაზრისით აქვთ დანაკლისი, რომელიც თითქოს სარაინდო ორდენტა (ჰოსპიტალიერთა, ტამპლიერთა და ტევტონთა) შექმნით უნდა შევსებულიყო და ეს ნაწილობრივ ასეც მოხდა. მოგეხსენებათ, ორდენტებს მართავდნენ მაგისტრები, რომლებიც რომის პაპს ემორჩილებოდნენ, შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ ვალდებულებები მეფის წინაშე და ამიტომ ორდენტა შექმნამ ხელი ვერ შეუწყო სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას, ზოგადად ჯვაროსანთა გაძლიერებას კი - რა თქმა უნდა. ადგილობრივი მოსახლეობა ხდება დამოკიდებული და უწევთ ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულება, უნდა გადაიხადონ პროდუქცია მთლიანი შემოსავლის მესამედიდან ნახევრამდე ოდენობით (ხორბალი, ქერი, ფეტვი, თხილი - ე.ი. ნებისმიერი პროდუქცია, რაც მოჰყავდა). ეს ნიშნავს, რომ ფეოდალური ურთიერთობები ბატონსა და გლეხს შორის აქ რეგულირდებოდა პროდუქტებითი რენტით, ეს იგივეა, რაც ნატურალური ღალა. ამასთანავე, ყველა ადგილობრივ მოსახლეს ვილანთან აიგივებდნენ და ისინი თავიანთი მიწისა და სახლის მფლობელებად ითვლებოდნენ. საინტერესოა რის საფუძველზე და რატომ მაინცდამაინც „ვილანი“?! ამის ასახსნელად საჭიროა გადავხედოთ დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ სახეს IX-XI საუკუნეების პერიოდში, მაშინ ცხადი ხდება რატომ ვილანი. ითვლება, რომ ევროპაში ეს ფენა გაცილებით უკეთ ცხოვრობდა, ვიდრე სხვები, ეს გულისხმობს შემდეგს: ისინი იყვნენ პირადად თავისუფალნი და მხოლოდ ეკონომიკურად დამოკიდებულნი ბატონზე, ფეოდალური ვალდებულებები ჰქონდათ რეგლამენტირებული (ასრულებდნენ საბატონო ბეგარას ან იხდიდნენ ნატურალურ ღალას, ასევე განსაზღვრულს) და რაც მთავარია ითვლებოდნენ საკუთარი სახლის, მიწის მფლობელებად, ზუსტად ისე, როგორც ჯვაროსნულ აღმოსავლეთში. ამიტომ ცხადია რატომ უწოდეს ჯვაროსნებმა ადგილობრივებს ვილანები და არა, მაგალითად, სერვები, რომლებიც იყვნენ პირადად და ეკონომიკურად დამოკიდებულები ბატონზე, არ ითვლებოდნენ მიწის მფლობელებად და არ ჰქონდათ განსაზღვრული ბეგარა.

საინტერესო ფაქტია ვასალინელურ დამოკიდებულებათა პრინციპი. იერუსალიმის მეფე აღიარებული იყო „უზენაეს სენიორად“, ყოველი დაპყრობილი ტერიტორია იქცა ფეოდად, ხოლო რაინდები - სენიორებად და მეფის ვასალებად. აქ მოქმედებდა პრინციპი, ფეოდალური დევიზი - მეფე, პირველი თანასწორთა შორის (primus inter

pires). ყოველი სენიორი ვასალიტეტის პრინციპით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და ყველა ერთად ექვემდებარებოდა „უზენაეს სიუზერენ“ მეფეს, ანუ ყველა იყო მეფის უშუალო ვასალი. მსგავსი წყობა წააგავს ინგლისის მოდელს და განსხვავებულია საფრანგეთისგან. ფეოდალიზმისთვის სახასიათო ფაქტია, რომ არსებული სამეფო კურიის, იგივე უმაღლესი საბჭოს, წევრები იყვნენ ბარონები, რაინდები, აწ უკვე ძლიერი სენიორები. სწორედ სამეფო კურიის უფლებამოსილება იყო პირველ რიგში მეფის არჩევა და ამას გარდა ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური, საკანონმდებლო, სამხედრო უფლებები (მაგ. მეფისთვის ფინანსების გამოყოფა, ჯარების მობილიზება და სხვა). შესაბამისად, თეორიულად ამ სფეროებში განსაკუთრებით ზღუდავდა დასახელებული ორგანო მეფეს და ამ უკანასკნელს არ შეეძლო უმაღლესი დარბაზის თანხმობისა თუ რჩევის გარეშე მიეღო გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად, მაგრამ პრაქტიკულად მან ვერ იმუშავა სხვადასხვა მიზეზთა გამო და ინსტიტუციურად მალევე ამოწურა თავი. მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტია ფაქტი, რომ საბჭომ მხოლოდ და მხოლოდ გოტფრიდ ბულონელი აირჩია იერუსალიმის მმართველად და მას შემდეგ ტახტი გახდა მემკვიდრეობითი. სამეფო კურიაც ევროპულ მოდელს უნდა დავუკავშიროთ, როგორც იყო ინგლისური უიტენაგემოტი (ბრძენთა საბჭო) ან საფრანგეთის მაგალითი, სადაც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ფეოდალები სახელმწიფოს მართვის თვალსაზრისით. ორივე შემთხვევა იყო სამეფო ხელისუფლების დანაწილების განმსაზღვრელი და როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში მეფობა იყო არჩევითი. გარდა ამისა, იერუსალიმის სამეფოში შეინიშნება ადმინისტრაციული მმართველობის განვითარება და დადასტურებულია, რომ სამეფო ადმინისტრაციას განაგებდა ე.წ. პალატა, არსებობდა სხვადასხვა თანამდებობა: კონსტებლი, რომელიც არმიას მეთაურობდა მარშალის დახმარებით; სენეშალის თანამდებობა - ის ფინანსურ საკითხებს ხელმძღვანელობდა; კანცლერი - სამეფო კანცელარიის მეთაური, ე.ი. პირველი კანცლერი, რომელიც აუცილებლად სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო (დასტურდება ასეთთა სახელებიც, მაგ.: რობერტი და პაგანი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიწები დანაწილდა ფეოდეზად, რომელთა მფლობელები, ანუ სენიორები, გახდნენ ფრანგი დიდებულები, მაგალითად, მეფის არმიის მეთაურები, მრჩევლები. ისინი იღებდნენ და აკონტროლებდნენ სამეფოს ტერიტორიათა გარკვეულ ნაწილს, ხოლო რაინდები, რომლებიც ასევე სენიორებად იქცნენ, მეთაურობდნენ ძირითადად ქალაქებს, ქალაქთა გარნიზონებს და მათ კასტელანებს უწოდებდნენ. ზოგიერთი მათგანი მოხსენიებულია მოწმეთა სიებში ან ლიტერატურულ წყაროებში ბრძოლის ან ალყის აღწერის შემთხვევებში. ცნობები

გვაქვს დავითის კომკის, იერუსალიმის ციტადელის, მეთაურ გუნფრიდსა (დაახლ.1106 წლამდე) და ანსელიმზე (დაახლ. 1116 წლამდე). თანაც ორივე მათგანს ჰქონდა მიწა იერუსალიმში, ეს მათი ფეოდალური საკუთრების მანიშნებელია. ასევე შემორჩენილია ქალაქ იაფას ციტადელთა სავარაუდო კასტელანების სახელები, როგორცაა: ლითარდ კამბრეი და როჯერ როზოელი. ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ, სავარაუდოდ, ასეთ თანამდებობებს სამხედრო თვალსაზრისით გამოჩენილი და, ამავე დროს, სამეფო კართან დაახლოებული პირები დაიკავებდნენ.

არსებული ფაქტებით ჩანს, რომ კარგად ჰქონდათ გათავისებული ჯვაროსან მმართველებს ფეოდალიზაცია რომ პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა და სამეფო ხელისუფლების დასუსტების საფუძველი ხდებოდა ხოლმე. ამის ცხადი დადასტურებაა რამდენიმე ფაქტი: ბალდუინ პირველმა სამეფო დომენში შეინარჩუნა ქალაქური და სოფლის ტიპის საკუთრება, რათა დომენი უფრო ძლიერი ყოფილიყო. ასევე, იერუსალიმის ზოგიერთ ნაწილში გადაცემული ფეოდი არ მიუღიათ სენიორებს მემკვიდრეობით, ასე იყო გალილეაში, სიდონში, ცეზარიაში, იაფაში, რამლასა და არსუფში. ეს მიუთითებს იერუსალიმის მმართველთა ზრუნვაზე, ფეოდალიზაცია არ ყოფილიყო მეფის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო დეცენტრალიზაციის კუთხით, როგორც იყო საფრანგეთში, როცა თითოეული გრაფი თავის მამულში წარმოადგენდა უზენაეს მმართველს და მეფის მიმართ მხოლოდ ნომინალური მორჩილება არსებობდა.

მთელს ჯვაროსანთა მიწებზე განირჩეოდა რამდენიმე შედარებით მნიშვნელოვანი და ძლიერი სამთავრო (მაგ. იაფასა და სიდონში) და უფრო მცირე ზომისანი (მაგ. იბელინი, ასკალონი). ფეოდალური წყობის შესაბამისად, როგორც შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპისთვის იყო დამახასიათებელი, ძლიერ ფეოდალებს აქ ჰქონდათ მნიშვნელოვანი უფლებები საკუთარ მამულში, მაგალითად, ხელმძღვანელობენ სასამართლოს, კრეფენ გადასახადებს ადგილობრივი დაბეგრული მოსახლეობისგან, ასევე მათ ხელშია განვითარებული ადგილობრივი ადმინისტრაციული მმართველობა შესაბამისი თანამდებობებით, როგორც ცენტრალურ დონეზე და აქაც არსებობდა ერთგვარი მცირე უმაღლესი საბჭო იგივე უფლებებით. მაშასადამე, მეფის მსგავსად მათთანაც საკმაოდ განვითარებული იყო ადმინისტრაციული მმართველობა. ეს ფაქტიც მიუთითებს ფრანგულ ფეოდალურ სტრუქტურასთან კავშირზე, როცა ადგილობრივ დონეზე ფეოდალები, იგივე გრაფები, სარგებლობდნენ სხვადასხვა მნიშვნელოვანი უფლებით. არსებობდა სიგელები, რომლითაც ფეოდის სამართავად გაიცემოდა სხვადასხვა ბრძანება და მისი წყალობით გვაქვს გარკვეული ინფორმაცია ფეოდალური საზოგადოების ზოგიერთ დამახასიათებელ ფაქტზე. მისი მეშვეობით ვიგებთ, რომ ფეოდეები ერთმანეთისგან იყოფოდა ფიქსირებული საზღვრებით და ამის



შემჩნევა შეიძლებოდა ხეზე, კლდეზე ან გამოქვაბულზე დასმული ჯვრით. როგორც ვთქვი, არსებობდა დამოუკიდებელი სავაჭრო კომუნები, თუმცა მათთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ მკვლელობა, ქურდობა ან რაიმე სხვა დანაშაული უნდა გასამართლებულიყო მეფის ან მისი სასამართლოების მიერ.

მეტად საინტერესო ფაქტია, რომ ლათინთა სახელმწიფოებში არსებობდა სამართლებრივი ნორმები, კანონმდებლობა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ჯვაროსნები. ეს იყო „იერუსალიმის ასიზები“, XIII საუკუნით თარიღებული, მაგრამ არის მოსაზრება, რომ ის გაცილებით უფრო ადრე შეიქმნა „წმინდა საფლავის წერილებზე“ დაყრდნობით. ეს წერილები თავად გოტფრიდ ბულონელის დავალებით დაიწერა იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ. დადასტურებული არ არის, რომ ეს ფაქტი შეესაბამება სინამდვილეს და არა არის გამორიცხული უბრალოდ ვარაუდი იყოს. ასიზები მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით არ არის მნიშვნელოვანი, ის პირდაპირ კავშირშია ფეოდალურ წყობასთან და ხშირად ფეოდალურ კონსტიტუციადაც მოიხსენიებენ მას, თუნდაც იმის გამო, რომ თითქმის ყოველგვარი ფეოდალური ურთიერთობის სახე, რაც ჯვაროსნებში არსებობდა, მასშია შეტანილი. შესაბამისად, ის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ და ღირებულ ფეოდალური სამართლის ძეგლს. ასიზები ორი ნაწილისგან შედგება, ესაა: რაინდული ასიზები, რომელიც დაფუძნებულია ფეოდალურ სამართალზე, წარმოადგენს რაინდთა ჩვეულებით სამართალს და ხელმძღვანელობდნენ სწორედ ფეოდალური სტრუქტურის შესაბამისი დავების მოგვარების დროს და მეორე ნაწილია მოქალაქეთა ასიზები, ესე იგი ჩვეულებითი სამართალი, რომელსაც მოქალაქეთა სასამართლოში იყენებდნენ. ამავე დროს, სამი სახის სასამართლო არსებობდა: პირველ მათგანს თავად მეფე ხელმძღვანელობდა და განიხილებოდა რაინდების, ბარონების საქმე. მეორე სახის სასამართლო მართალია მეფისგან დამოუკიდებლად, მაგრამ მეფის მიერ დანიშნულ სპეციალურ მოხელეს ექვემდებარებოდა და აქ განიხილებოდა თავისუფალი ფრანკების სასამართლო დავები. მესამე სახის, იგივე ვილანების სასამართლო, ეხებოდა, განკარგავდა და განიკითხავდა ადგილობრივი სირიელი მოსახლეობის, აწ უკვე დამოკიდებული გლეხობის, სასამართლო საკითხებს.

მიუხედავად შორეულ რეგიონში ჩამოტანილი საკუთარი ტრადიციების თუ ცხოვრების წესისა, გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ევროპელები ნელ-ნელა უფრო მეტად დაუახლოვდნენ ადგილობრივებს ენობრივი თუ კულტურული თვალსაზრისით. უფრო გვიანდელ პერიოდში არსებობდა ტერმინი პულანი (ფრ. ფეხსაცმელი წვეტიანი ცხვირით), რომელიც აღნიშნავდა ჯვაროსნული სამეფოს მაცხოვრებელს, რომლის წინაპარიც იყო ევროპიდან, ანდაც ფრანკები, რომლებიც ადგილობრივი კულტურისგან მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდნენ.

ესენი რეალურად იყვნენ ქალაქის მაცხოვრებელი ბურჟუაზია, ვაჭარ-ხელოსნები და მიმდებარე ტერიტორიის მემამულეები, შესაბამისად, ომი მათ ნაკლებად შეეხებოდათ, ლოგიკურია, მაგრამ საინტერესოა, რომ წყაროებში ხშირად საუბარი და აღწერილია ე.წ. პულანთა რაზმების შესახებ, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა სამხედრო მოქმედებებში. არსებობს ცნობა რომ ჯვაროსანი ბარონები ხშირად მოითხოვდნენ ქალაქებისგან მიეცათ გარკვეული რაოდენობის მეომრები, იგივე „სერჟანტები“. ეს ფაქტი დასტურდება XIII საუკუნის დოკუმენტით, რომელიც ეკუთვნის ბეირუთის სენიორს, იერუსალიმის სამეფოს რეგენტს, ჟან იბელინის. მოცემულ ბრძანებაში ასახულია მოთხოვნა აკრის მოსახლეობისადმი გამოიყვანონ 500 „სერჟანტი“ მეფის წინაშე. მსგავსი ცნობები პირველ რიგში მოსულ ჯვაროსანთა ადგილობრივებთან დაახლოების თვალსაზრისითაა საინტერესო, ისევე, როგორც მოცემულობით რომ ესა თუ ის ქალაქი ვალდებული იყო მეფის წინაშე გამოეყვანა გარკვეული რაოდენობის ჯარისკაცი.

ფეოდალიზმის კვლევისას მნიშვნელოვანია საერო და სასულიერო საზოგადოების ურთიერთობა ჯვაროსნულ აღმოსავლეთში, რაც პრობლემატური საკითხია ხოლმე ძირითადად ზოგად ისტორიულ კონტექსტში. როგორც ცნობილია, ევროპაში ფეოდალური ურთიერთობების განვითარებით საერო ძალაუფლება მამულების სახით გადაეცემოდათ არა მხოლოდ საერო პირებს (დიდებულებს), არამედ სასულიერო პირებსაც (ეპისკოპოსებს). მონარქებსა და პაპებს შორის კი მუდმივი დაპირისპირება არსებობდა ძალაუფლების გადანაწილების თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ჯვაროსნულ აღმოსავლეთშიც არსებობდა მსგავსი პრობლემები. კერძოდ, პატრიარქ დაიმბერტისთვის „მაცხოვრის საფლავის მცველ“ გოტფრუას გადაუხდია ომაჟი 1099 წელს, რაც ფეოდალური თვალსაზრისით სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „სენიორის კაცად გადაქცევას“, ესე იგი გოტფრუა გახდა პატრიარქის ვასალი. ამ ვასალიტეტის პრინციპის გათვალისწინებით იერუსალიმის მეფე პატრიარქს ომაჟს უხდიდა, თუმცა დასტურდება, რომ იგი XIII საუკუნიდან აღარ ითვლება არც იერუსალიმის და არც პაპის ვასალი და, შესაბამისად, აღარც ომაჟს იხდის. საკუთრივ ანტიოქიის მთავარს რაც შეეხება, ის კვლავ ვალდებული იყო გაეღო ომაჟი, ოღონდ ანტიოქიის პატრიარქის წინაშე და ისიც ცნობილია, რომ მათ შორის არსებობდა მუდმივი დაპირისპირება. საერო ხელისუფლების გამლიერებაზე მოწმობს, როგორც ანტიოქიაში, ისე იერუსალიმში რომ პატრიარქის არჩევნებს გარკვეული პერიოდი ქვეყნის მმართველები აკონტროლებდნენ და დასახელებულ კანდიდატთაგან შეეძლოთ სასურველის არჩევა, ისევე, როგორც გერმანელი იმპერატორები აკონტროლებდნენ ერთ დროს პაპისა და ზოგადად სასულიერო პირების არჩევას. ეს ფაქტი ერთის მხრივ საერო მმართველებს საკუთარი პირველობის დამტკიცებასა და ძალაუფლების

გამყარებაში ეხმარებოდა, ამით ხომ კონტროლი მოიპოვეს პატრიარქებზე, მაგრამ საქმეში საკუთრივ რომის პაპების ჩართვით სიტუაცია კარდინალურად იცვლება და ახლა თავად რომის პაპი ირჩევს როგორც ანტიოქიის, ისე იერუსალიმის პატრიარქს და ბრძოლა გავლენის სფეროებისა და ძალაუფლების განაწილებისათვის მეორე ეტაპზე გადადის, ჯვაროსნული სახელმწიფოების მმართველებსა და პაპს შორის, გაცილებით მასშტაბურ სახეს იძენს. ირკვევა, რომ იერუსალიმის მეფეები მოითხოვდნენ თავად დაენიშნათ საეკლესიო იერარქები, ჰქონოდათ გავლენა საეპისკოპოსოებზე იმ ბერკეტით, რომ სამეფო კანცლერებს (შეგახსენებთ, ისინი სასულიერო პირები იყვნენ) გადასცემოდათ სამართავად საეპისკოპოსოები. რა თქმა უნდა, ამ დათმობებზე რომის არც ერთი პაპი არ წავიდოდა ნებით, რადგან ეს ნიშნავდა უკვე მოპოვებული უპირატესობის ხელიდან გაშვებას, დათმობას სხვადასხვა ბენეფიციებისა თუ პრივილეგიების გაცემის თაობაზე. მსგავსი დაპირისპირება ასოციაციურად კავშირშია ევროპაში მიმდინარე პროცესთან, რომელსაც ინვესტიტურისათვის ბრძოლა ეწოდება. მოგეხსენებათ, 962 წელს ოტო I-ის მიერ „საღვთო რომის იმპერიის“ აღდგენად წოდებული მოვლენის შემდეგ მან მოიპოვა უფლება აირჩიოს რომის პაპი, ამით დაედო საფუძველი ხანგრძლივ ბრძოლას ძალთა გადანაწილებისა და გავლენებისათვის გერმანელ იმპერატორებსა და რომის პაპებს შორის. ჯვაროსნულ აღმოსავლეთს რომ დავუბრუნდეთ, უკვე კათოლიკური ეკლესიის ურყევი ძალაუფლების დასტურია ჯვაროსნულ აღმოსავლეთში მათი სამფლობელოებისა და იურისდიქციის არსებობა, ცნობილია ისეთი ძლიერი და მნიშვნელოვანი საეკლესიო სენიორიები, როგორებიც იყვნენ ნაზარეთი, აპამეა და კურსათი. ეკლესიას ჰქონდათ სასამართლოს განმახორციელებელი უფლება სამღვდელოებასთან, ერესთან, ჯადოქრობასთან, ქორწინებასთან (მათ შორის ღალატი) დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით. აქ არსებობდა საეკლესიო მეთაედიც. ევროპაში ეს გადასახადი გლეხების მიერ მოყვანილი პროდუქტისგან იკრიბებოდა, თუმცა ჯვაროსანთა სახელმწიფოებში გაცილებით რთულად იყო საქმე - სამღვდელოება მეთაედს ითხოვდა არა გლეხობისგან, არამედ - ბატონებისგან. ამის გათვალისწინებით, რიგი პრობლემებისა თუ დაპირისპირების საფუძველი გამხდარა საეკლესიო მეთაედის საკითხი, რაც საბოლოოდ გადაიჭრა 1120 წელს, ნაბლუსის შეკრებაზე, სადაც იერუსალიმის მეფემ იკისრა ვალდებულება გადაეხადა საეკლესიო მეთაედი თავისი ყოველწლიური შემოსავლიდან. გამოსაღების ბენეფიციარები იყვნენ ეპისკოპოსები და ისინი გადასახადს თავიანთ საეკლესიო დაწესებულებებს უნაწილებდნენ. დაპირისპირებათა სათავე იყო ის, რომ ეკლესია მეფეს არ აძლევდა ომაჟს, ანუ არ თვლიდა მეფის ვასალად თავს, პრაქტიკულად არც იყო. მსგავსი ძლიერი საეკლესიო მამულები ვასალინელურ პირობათა შესრულებას საკუთარ ვასალებს ავალებდნენ.

ამრიგად, სასულიერო ფენამ მოიპოვა ფეოდალური პრივილეგიები და როგორც ევროპის ქვეყნებში, ისე აქაც, იქცა, გარდა საეკლესიოსი, სამხედრო, სასამართლო უფლებათა განმახორციელებლად. მეფე იქცა ამქვეყნიურ, დროებით სენიორად, ხოლო პატრიარქი - სულიერ სენიორად.

საბოლოოდ უფრო აშკარა გახდა ჯვაროსნული აღმოსავლეთის ფეოდალური სტრუქტურის სიახლოვე და მსგავსება ევროპასთან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ფრანგებმა ლევანტში დაამკვიდრეს ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა, როგორც მათთვის იყო ცნობილი და მიღებული. ევროპის ფეოდალიზმთან კავშირი ნებისმიერ ზემოთ განხილულ საკითხს აქვს: ვასალიტეტის პრინციპი, ფეოდალური ვალდებულებები, ადმინისტრაციული მმართველობა, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორგანო (სამეფო კურია). რაც ყველაზე საინტერესოა, გვაქვს სასულიერო და საერო საზოგადოების დაპირისპირების ანალოგი, „ინვესტიტურისათვის ბრძოლის“ მსგავსი, ძალიან საინტერესო პროცესებით გამორჩეული. მაშასადამე, მიმაჩნია, კიდევ უფრო ცხადი გახდა მოცემული ფაქტებითა და მსჯელობით, აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული, ჯვაროსანთა მიერ დაარსებული სახელმწიფოების ფეოდალური სტრუქტურა, მისი თავისებურებები და მნიშვნელოვანი დეტალები. შეჯამების სახით კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ, რომ აშკარად ჯვაროსნული სამეფოების ფეოდალური სტრუქტურა ერთგვარი ანარეკლია დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის ფეოდალური წესრიგისა. ვლინდება რიგი მსგავსება და განსხვავება მასთან, მჭიდრო კავშირი თავისთავად ფრანგულ და მე ვთვლი, რომ ინგლისურ მოდელთანაც.

*ნოდარ გათაშვილი*

## მათეოს ურჰაეცის თხზულების „ჟამთააღმწერლობის“ შესწავლისათვის



სამხრეთ კავკასიის, ახლო და შუა აღმოსავლეთის, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს შექმნის, ჯვაროსნული ლაშქრობების, საქართველოს საგარეო და შიდა პოლიტიკური ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვნ ცნობებს გვაწვდის მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრის სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი, მათეოს ედესელი. იგი ცხოვრობდა ედესაში (დღევანდელი თურქეთი, ქ. შანლიურფა). მათეოს ურჰაეცი დაიბადა მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ქ. ედესაში, გარდაიცვალა იქვე, დაახლოებით 1138-1144 წლებში. ბერ მათეოს ურჰაეცის თავის თხზულებაში „ჟამთააღმწერლობა“

მოთხრობილი აქვს 952-1136 წლების ისტორიული მოვლენები. თხზულება შედგება სამი ნაწილისაგან. განსაკუთრებით საინტერესოა თხზულების მეორე და მესამე ნაწილები, როგორც თვითმხილველის მიერ აღწერილი ამბები (1051-1101წწ. და 1101-1136 წწ). მათეოს ურჰაეცის თხზულება მე-12 საუკუნეში გაუგრძელებია გრიგორ ერეცს და აღუწერია 1137-1163 წლების ისტორიული ამბები.

ორ საუკუნეზე მეტია, რაც მათეოს ურჰაეცის ცნობებით დაინტერესდნენ არმენოლოგები, ქართველოლოგები, არაბისტები, თურქოლოგები ბიზანტინოლოგები და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარები. თხზულება ძველისომხურიდან თარგმნილია ახალ სომხურ ენაზე, ფრანგულ, ინგლისურ და თურქულენებზე. ქართულენაზე არ გვაქვს ტექსტის სრული თარგმანი, თარგმნილია მხოლოდ ცალკეული ცნობები, რომლებიც კარგა ხანია სამეცნიერო მიმოქცევაშია (ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრ.; საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966; როგორც ჩვენთვის ცნობილია, არმენოლოგმა მერაბ რობაქიძემ თარგმნა მათეოს ურჰაეცის თხზულება ძველი სომხური ენიდან ქართულად, რომელიც არ არის გამოქვეყნებული).

მათეოს ურჰაეცის თხზულების შესასწავლად გამოვიყენეთძველი სომხური ტექსტის თარგმანი ახალსომხურ ენაზე (მათეოს ურჰაეცი. „ჟამთააღმწერლობა“, თარგმნი, გამოკვლევა და შენიშვნები ჰრაჩ ბართიკიანისა, ერევანი, 1973წ).



რომანოზ დიოგენითურქ-სელჩუკთა სულთანს არფ-არსლანს ჩაუვარდა ტყვედ, შემდეგ კი მან ტახტიც დაკარგა.

მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს დაწყებულ ჯვაროსნულ ლაშქრობებს სიხარულით შეხვდნენ სომხები, თუმცა მათეოსურჰაელის თქმით, ეს იმედი არ გამართლდა. ჯვაროსნებმა „დაანგრიეს ეკლესიები, შეურაცხვეს მღვდლები, დაიწყეს ჭეშმარიტი სარწმუნოების გამოძიება, დევნიდნენ ჭეშმარიტებას, უარი თქვეს სამართლიანობაზე, ... ამას აკეთებდა ფრანკთა გაცოფებული ხალხი“ - წერს ურჰაეცი.

ბიზანტიელებზე და ჯვაროსნებზე განრისხებულ მათეოს ურჰაეცის საქართველოს იმედიღა რჩება.

მათეოს ურჰაეცი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქართველი მეფეების შესახებ. საინტერესოა საქართველოს მეფე გიორგი პირველისა და ბიზანტიის კეისარ ბასილიმეორის ურთიერთობა. ურჰაეცი წერს, რომ „საქართველოს წინააღმდეგ წამოსულ ბასილი მეორის ჯარს წინ აღუდგა ქართველთა ჯარი, ლიპარიტის მამაცი ძმები - რატი და ზოიატიწავიდნენ მის წინააღმდეგ და ბასილის ჯარს მძიმე დარტყმა მიაყენეს“ (1,33).

მათეოს ურჰაეცი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქართველთა მეფის დავით აღმაშენებლის მიმართ. იგი აღტაცებით საუბრობს მის გამირობასა და მამაცობაზე. მისი თქმით, „დავით მეფემ დიდი დარტყმა მიაყენა სელჩუკებს და დაამხო მათი ძლიერება“. ისტორიკოსი ხაზს უსვამს მეფის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას სომეხი ხალხის მიმართ: „დავით მეფე წმინდა და კეთილშობილი კაცი იყო, ღვთისმსახური და მართალი, იგი გახდა სომეხი ხალხის დამცველი და მეგობარი. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი. მან საქართველოში სომხებისათვის ქალაქი კი ააგო, სადაც დააარსა მრავალი ეკლესია და მონასტერი, ამ ქალაქს მან გორა უწოდა“ (1, 238). ურჰაეცი დიდი მადლიერებით იხსენებს ქართველთა მეფე დავითს, რომელმაც მისი თქმით, „ანისი იხსნა ურჯულოთაგან“.

მათეოს ურჰაეცი კეთილად იხსენიებს ასევე დავითის ძეს დემეტრეს და მას „მამაც და ღვთისმოყვარე კაცს“ უწოდებს (1,245).

„ამთააღმწერლობაში“ მადლიერებით მოიხსენიება ქართველთა მეფე გიორგი მესამე. „მან გამარჯვება მოიპოვა თურქებთან ბრძოლაში, ურჯულო მტრისგან გამოიხსნა და გაათავისუფლა ქალაქები ანისი და დვინი“ - ნათქვამია თხზულებაში.

ისტორიკოსი საუბრობს ქართველი მთავრის ლიპარიტის გამირობის შესახებ. „რომაელთა ჯარმა, იხილარალიპარიტის სიმამაცე, უღალატა მას და მიატოვა უცხო

ტომში, გაიქცა, რათა ლიპარიტს მამაცი კაცის სახელი არ მოეპოვებინა... ლიპარიტის ვაჟკაცობით მოხიბლულმა სულთანმა გაათავისუფლა იგი და დიდი ძღვენით გაგზავნა რომაელთა ქვეყანაში“ (1, 71).

მათეოს ურჰაეცი დანანებით წერსქართველთა მეფის დავით კურაპალატის მოწამვლისა და თავისი ხელქვეითების მიერ მეფის მუხანათურ მკვლელობაზე. ისტორიკოსის თქმით, „მთავრებმა თანამონაწილედ აქციეს საქართველოს არქიეპისკოპოსი ილარიონი, რომელმაც საწამლავი გაურია ზიარების პურში და შეაჭამა მთავარს“. ურჰაეცი დავითს „ღვთისმოყვარე მეფეს“, ხოლო ილარიონს „ურჯულო ეპისკოპოსს“ უწოდებს (1, 25).

მათეოს ურჰაეცის თხზულებაში ქართველი მეფეები სომეხთა მხსნელად და დამცველებად არიან წარმოდგენილები. სომეხთის და სომეხთა „ხსნას“ ურჰაეცი ერთიან, ძლიერ საქართველოში ხედავს.

კვლევის შემდგომ ეტაპზე გვსურს შევისწავლოთ მათეოს ურჰაეცის თხზულების წყაროები. ისტორიკოსი არ ასახელებს გამოყენებულ წყაროებს და აღნიშნავს, რომ თხზულების წერისასმან გამოიყენა „სანდო კაცთაგან მოსმენილი და ნაამბობი“ დაასვე წერილობითი წყაროები. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მათეოს ურჰაეციმ თავისი თხზულების პირველინაწილისწერისასგამოიყენა მე-11 საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის ჰაკობ სანაჰნეცის თხზულება „ჟამთააღმწერლობა“.

საინტერესოა აგრეთვე ურთიერთმიმართების საკითხები მათეოს ურჰაეცის თხზულებასა და დასახელებული პერიოდისსომხურ და ქართულ წყაროებს შორის. მხედველობაში გვაქვს ცნობილი სომეხი ისტორიკოსები (შაჰუჰ ბაგრატუნი, იოანე დრასხანაკერტელი, სტეფანოზ ტარონელი და არისტაკეს ლასტივერცი), ასევე დასახელებული პერიოდის „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი თხზულებები („მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“).

**ნიკოლოზ ოვსიანიკოვი**



## მოჰაჩის ბრძოლა (1526)

XV საუკუნეში ოსმალეთის იმპერია ტერიტორიულად საგრძნობლად გაიზარდა. მან შეავიწროვა ბიზანტია და სულთან მეჰმედ II-ის (1444-1446/1451-1481) ზეობის პერიოდში, 1453 წლის 29 მაისს, აიღეს კონსტანტინოპოლიც. ბიზანტიის იმპერია განადგურდა და ოსმალეთის ევროპული და აზიური ტერიტორიები გაერთიანდა. XVI საუკუნეში ოსმალეთი გაცილებით უფრო გაძლიერდა სულთან სელიმ I-ის (1512-1520) მმართველობის პერიოდში. სულთანმა სელიმმა, წინამორბედი სულტნებისგან განსხვავებით, დამპყრობლური მზერა არა დასავლეთს, არამედ აღმოსავლეთს მიაპყრო. მან დაამარცხა სეფიანთა ირანი, დაიპყრო სირია, პალესტინა, ასევე გამარჯვებები მოიპოვა მამლუქებთან და ეგვიპტეც საკუთარ იმპერიას შეუერთა. 1520 წლის 21 სექტემბერს 50 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა სელიმ I და ტახტზე ავიდა მისი შვილი სულეიმან I (1520-1566).

სულეიმან I-ის მმართველობის პერიოდის ოსმალეთის ოქროს ხანად და იმპერიის ძალაუფლების კულმინაციად მიიჩნევა, რაც მისი წარმატებული დაპყრობებითა და რეფორმებით არის გამოწვეული. სულეიმანმა ძალიან წარმატებით განაგრძო მამის დამპყრობლური პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ მან მიატოვა შემდგომი კამპანიები აღმოსავლეთში და ევროპაში დაპყრობების წარმოება მთავარ მიზნად აქცია.

მოგეხსენებათ, XVI საუკუნის დამდეგს ოსმალეთმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გავლენის გაფართოებით, მიიღო შესაძლებლობა ევროპაში შემდგომი წარმატებების მიღწევისა. სულეიმანის გეგმაც ევროპის სახელმწიფოების ხარჯზე ოსმალთა იმპერიის ტერიტორიის გაფართოება გახლდათ. მან ერთ-ერთ მთავარ მიზნად დაისახა ქალაქ ვენის აღება, რომლის განსახორციელებლადაც ჯერ უნგრეთის დაპყრობა იყო საჭირო. უნგრეთის ხელში ჩაგდება ოსმალებს გზა ეხსნებოდათ ცენტრალური ევროპისაკენ. ამას გარდა, უნგრეთის დაპყრობით ოსმალეთს შესაძლებლობა ეძლეოდა თავისი კონტროლი დაემყარებინა მდინარე დუნაიზე, ევროპის ამ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო მაგისტრალზე.

სანამ უშუალოდ მოჰაჩის ბრძოლის შესახებ ვისაუბრებთ, განვიხილოთ უნგრეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში. უნგრეთის სამეფო XV საუკუნის ბოლოს ძალიან დასუსტებული იყო, რაც შიდა და გარე ფაქტორებმა განაპირობეს. ქვეყნის შიდა პოლიტიკური მდგომარეობა მეტად მძიმე გახლდათ, ფეოდალური დაქუცმაცება, გლეხობის ამბოხებები, ეროვნული უმცირესობების წინააღმდეგობა ქვეყანას ასუსტებდა. მათი I კორვინიუსის გარდაცვალების (1490) შემდგომ უნგრეთი

ანარქიამ მოიცვა. უნგრეთის ფინანსებმა ფსკერს მიაღწია. პაულინი, უნგრეთის მადარობისა და მოპოვების წამყვანი ისტორიკოსი უნგრეთს შემდეგნაირად ახასიათებდა: „მდიდარი მიწა-ღარიბი ქვეყანა“. უნგრეთსა და ოსმალეთს შორის დაპირისპირება მოჰაჩის ბრძოლამდე გაცილებით ადრე იღებს სათავეს, ეს ხანგრძლივი ომი, მცირე შესვენებებით მიმდინარეობდა. XVI საუკუნის დასაწყისში უნგრეთის პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, რასაც განაპირობებდა ოლიგარქიული რეჟიმიც, რომელიც იაგელონების დინასტიის მიერ იყო შექმნილი. გეოგრაფიული ჩაკეტილობა და სავაჭრო ურთიერთობებში უნგრეთის ნაკლები ჩართულობა ქვეყანას კიდევ უფრო უკან ხევდა. 1516 წელს ვლადისლავმეორის გარდაცვალების შემდეგ, ტახტს იკავებს პრინცი ლაიოშ II (1516-1526), რომელიც ამ დროს მხოლოდ 10 წლის იყო, თუმცა რეალურად 6 წლის განმავლობაში, ქვეყანას მართავდა მისი ბიძა, ლაიოში 1522 წელს აკურთხეს უნგრეთისა და ბოჰემიის მეფედ. სწორედ, ასე დასუსტებულ და მძიმე ვითარებაში მყოფ უნგრეთის სახელმწიფოს უწევს დაუპირისპირდეს ძლიერების ზენიტში მყოფ ოსმალეთის იმპერიას.

მეთექვსმეტე საუკუნეში ოსმალეთისა და უნგრეთის დაპირისპირებამ ამ უკანასკნელის ევოლუციის მთელი მიმართულება შეცვალა. 1520-იანი წლების დასაწყისში თურქეთის საზღვრებთან, ევროპაში მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა უნგრეთის სამეფოს სახით, მაგრამ ოსმალეთთან დაპირისპირების შემდგომ ისიც რეგრესის გზას დაადგა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სულეიმან I-ის მთავარი მიზანი ცენტრალურ ევროპაზე გავლენის მოპოვება იყო.

1521 წ. ოსმალეთმა უნგრეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. სულეიმანის ჯარებმა აიღეს უნგრეთის სახელმწიფოში შემავალი ქალაქი ბელგრადი და ასე თუ ისე შური იძიეს 1456 წლის მძიმე წარუმატებლობისთვის. ბელგრადის აღება ერთგვარი წარმატება იყო სულეიმანისთვის, მაგრამ უნგრეთზე საბოლოოდ გამარჯვების მისაღწევად ოსმალეთს თავისი ზურგის უმიშროების განმტკიცება ესაჭიროებოდა. სახელდობრ, საჭირო იყო კუნძულ როდოსის და დოდეკანესის კუნძულების ხელში ჩაგდება, საიდანაც ოსმალეთის გემებს გამუდმებით თავს ესხმოდნენ და მარცვავენდნენ. ასევე, ოსმალეთისათვის ეგვიპტესთან და სხვა არაბულ ქვეყნებთან კავშირს და ინტენსიურ ურთიერთობას დიდი ნიშვნელობა ჰქონდა, ამაში კი მას დიდ დაბრკოლებებს კუნძული როდოსი უქმნიდა. ამ პერიოდში როდოსი იონიკ რაინდებს ეკუთვნოდა. როდოსის ორდენის დიდმა მაგისტრმა ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარებისათვის თავის მფარველს ფრანცისკო პირველს მიმართა, მაგრამ მან როდოსელი რაინდების თხოვნა არ მიიღო. აგრეთვე, რომის პაპმაც მოუწოდა საფრანგეთის მეფეს როდოსის

დახმარებისაკენ ოსმალთა წინააღმდეგ დაპირისპირებაში, თუმცა ფრანცისკო პირველმა მისი მოწოდებაც უგულვებელყო.

1521 წლის წარმატების, კერძოდ, ბელგრადის აღების შემდგომ სულეიმან I დროებით აჩერებს სამხედრო კამპანიებს უნგრეთში და მას ყურადღება როდოსისაკენ გადააქვს. ოსმალეთის 300 გემისაგან შემდგარი ფლოტი როდოსისაკენ გაემართა. 1522 წლის ივლისის ბოლოს ოსმალეთის 100 ათასიანი ლაშქარი კუნძულზე გადასხეს, როდოსელები მათ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, მათი არმია რაინდი-ჰოსპიტალიერებისგან შედგებოდა, რომლებიც ოსმალეების ყველაზე დაუნდობელ მტრებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად როდოსელების თავგანწირვისა, ექვსთვიანი ალყის შემდგომ, ოსმალეებმა დიდი მსხვერპლის ფასად მაინც მოახერხეს კუნძულის დაპყრობა. ასევე, ოსმალეებმა ეგეოსის ზღვაზე ხელთ იგდეს დოდეკანესის კუნძულები, რასაც მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამით ოსმალეთმა მნიშვნელოვნად განიმტკიცა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონში თავისი სავაჭრო ფლოტის უსაფრთხოება.

სულეიმან I საშინაო საქმეების მოგვარებისა და როდოსელების დამარცხების შემდგომ უბრუნდება თავისი მთავარი მტრის - უნგრეთის წინააღმდეგ ბრძოლას ბალკანეთზე ბატონობისთვის. ამ პერიოდისათვის, უნგრეთის შიდა პოლიტიკური მდგომარეობა ძალზედ მიძიმდა, ქვეყანაში გაძლიერებულია სეპარატიზმი და ძალაუფლება მნიშვნელოვნადაა შერყეული. ბელგრადთან დამარცხება უნგრეთის საბოლოოდ დაკნინებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო, რასაც მოჰყვა შემდგომში მისი საბოლოოდ განადგურება.

1526 წლის გაზაფხულზე სულეიმან პირველმა შეკრიბა ლაშქარი და გაემართა უნგრეთის წინააღმდეგ საბოლოო იერიშის მისატანად. უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია ოსმალთა ჯარის რეალურ რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც მოჰაჩის ბრძოლაში მონაწილეობდნენ. თითქმის, თანამედროვე შეფასებით, ოსმალთა რიცხვი 200 000-დან 500 000-მდე მერყეობდა, მაგრამ ხშირად გვხვდება ინფორმაცია, რომ ამ უზარმაზარი არმიიდან მხოლოდ 60 000 ან 100 000 იყო ბრძოლის ველზე გამოყვანილი. ბოლო ასი წლის განმავლობაში ბევრმა მეცნიერმა შეაფასა ოსმალთა ჯარის ეფექტურობა და რაოდენობა - მაგ: ჯენო გილოკაიმ გამოთვალა და ეს რიცხვი 75 000-მდე ივარაუდა, გიულა კალდინაგი კი „რეგულარული ჯარის“ რაოდენობას 60 000-მდე ფიქრობს და აღნიშნავს, რომ მათთან ერთად იყო რამდენიმე არარეგულარული სამხედრო შენაერთიც. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ ოსმალთა ჯარი რიცხობრივ უპირატეობას ფლობდა უნგრეთის არმიასთან შედარებით. უნგრეთის ჯარის რაოდენობაზე ყურადღებას

ამახვილებენ დ. ნიკოლი და ლ. სტავრიანოსი. ნიკოლი გადმოგვცემს - „უნგრეთის სამეფომ დაახლოებით 25 000 მეომარსა და 85 ქვემეხს მოუყარა თავი (აქედან მხოლოდ 53 იქნა გამოყენებული რეალურ ბრძოლაში). იმ დროს, როდესაც პენსილვანიისა და ხორვატიის ჯარებმა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოახერხეს ჩამოსვლა. ამბობენ, რომ ოსმალთა რიცხვი ორჯერ მეტი იყო, თუმცა ეს ციფრი გადაჭარბებულია და მათ დაახლოებით 160 ქვემეხი უნდა ჰქონოდათ ბრძოლაში“, ხოლო სტავრიანოსი გვამცნობს, რომ - „1526 წლის 29 აგვისტოს გაიმართა მოჰაჩის საბედისწერო ბრძოლა. ოსმალებმა გაიმარჯვეს ამ ბრძოლაში. უნგრეთის მხარეს თავმოყრილნი იყო 25 000-დან 28000-მდე უნგრელი მეომარი და მათი მოკავშირეები, ხოლო ოსმალთა მხარეს 45 000 რეგულარული ჯარი, რომელსაც მხარს უჭერდა 10 000-დან 20 000-მდე მსუბუქი შეიარაღების არარეგულარული სამხედრო შენაერთი“.

მოკლედ განვიხილოთ უნგრეთის ჯარის მობილიზაცია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, უნგრეთი თავდაცვის თვალსაზრისითაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს ჯერ კიდევ მათი კორვინიუსის მიერ ინიცირებული სამხედრო რეფორმებიდან იღებს სათავეს, აშკარაა რომ უნგრეთის სამხედრო ნაწილი ფეხს ვერ უწყობდა ევროპულ განვითარებას, რაც ძალიან კარგად აისახა მოჰაჩის ბრძოლის მოვლენებში. იმ დროისათვის უნგრეთისა და ბოჰემიის ახალგაზრდა მეფე ლაიოშ II ყველა არსებული ძალის შეგროვებას ცდილობდა მტრის მოსაგერიებლად, თუმცა ზოგიერთი მაგნატი მეფის ბრძანებას არ ემორჩილებოდა, უნგრეთის არმიას კი არ ჰქონდა დრო შიდა დაპირისპირებებისათვის. ლაიოშ II-ის მიერ ნაჩქარევად შეკრებილი არმია შედგებოდა უნგრული მსუბუქი კავალერიისგან (ცნობილი უნგრული ჰუსარების წინაპრები) და სამხრეთ უნგრული დიდებულების და კავალერიის რაზმებისაგან. პროფესიონალებს შეეძლოთ ემსახურათ რეგულარულ ჯარში ან დაქირავებულ ჯარისკაცებად დიდი ომების პერიოდში. რაც შეეხება ქვეით ჯარს, იგი წარმოდგენილი იყო გერმანელი დაქირავებული ჯარისკაცების რაზმებით-ლანდსკნეტებისაგან, ეს იყო არმიის ყველაზე პროფესიონალი და საბრძოლო მზადყოფნის ნაწილი. სოციალური ფონის თვალსაზრისით უნგრეთის არმია შედგებოდა: დიდებულებისა და გლეხებისაგან, ქალაქელებისა და მარგინალიზებული მაწანწალებისაგან. ჯარის უმეტესი ნაწილი კი მსუბუქული კავალერია უნდა ყოფილიყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნგრეთის ჯარის რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ოსმალთა რიცხვს. უნგრეთმა შეკრიბა დაახლოებით 25 000 კაცი და 85 ქვემეხი (აქედან მხოლოდ 53 გამოიყენებოდა რეალურ ბრძოლაში), ხოლო სხვადასხვა მიზეზის გამო ტრანსილვანიისა და ხორვატიის ჯარები ვერ შეუერთდნენ. უნგრეთის მეფე ლაიოშ II არ დაელოდა იანოშ ზაპოლიელის ლაშქარს, რომელიც მის დასახმარებლად წამოვიდა. მაშასადამე, უნგრეთის ჯარი არ იყო კარგად

მობილიზებული და ბრძოლის შემდგომი მოვლენების სასწორი ოსმალებისკენ იხრებოდა.

1526 წლის 29 აგვისტოს ქალაქ მოჰაჩთან, მდინარე დუნაის მარცხენა სანაპიროზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ანტაგონისტული მხარე (ოსმალეთის იმპერია და უნგრეთის სამეფო). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთის არმია დაახლოებით 100 000-150 000 იყო, უნგრეთის მთლიანი მობილიზებული ძალები კი შეიძლება შეფასდეს 60 -80 ათასით, თუმცა წყაროთა უმრავლესობაზე დაყრდნობით უნგრელთა რაოდენობა 25 000-დან 30 000-მდე თუ იქნებოდა, რასაც ემატებოდა ერთადერთი გარე დახმარება პოლონეთის ჯარის მცირე კონტიგენტი (1500 ჯარისკაცი). აღსანიშნავია, რომ მდინარე დუნაისკენ გადაადგილებით ორივე მხარე იყო დაინტერესებული, რაც გამოწვეული იყო რიგითი მიზეზებით-როგორც ჩვენთვის ცნობილია,სულეიმან პირველმა მიიღო ინფორმაცია ლაიოშ მეორის მარშუტის შესახებ და თვითნაც იგივე გზით მოძრაობა განიზრახა. როდესაც ოსმალთა პირველი ჯარი - რუმელიის არმია, ბრძოლის ველზე წინ მიიწევდა მათ პოლ ტომორის მეთაურობით უნგრეთის ჯარები დაესხნენ თავს, რამაც არარეგულარულ ოსმალთა ჯარებს შორის ქაოსი გამოიწვია. მეფე ლაიოშ II ვერ გაითვალისწინა, რომ გაშლილ ველზე ბრძოლა მისი მცირე არმიისთვის არახელსაყრელი იქნებოდა, იგი შეტევაზე გადავიდა და ბრძოლა გაუმართა ოსმალებს. ამ უკანსკნელთა რეგულარული ჯარის უპირატესობამ და იენიჩართა დროულმა თავდასხმამ სერიოზული ზიანი მიაყენა უნგრეთის არმიის მარცხენა ნაწილს. მოჰაჩის ბრძოლაში თითქმის მთელი უნგრეთის არმია განადგურდა და ამავე ბრძოლას ემსხვერპლა მეფე ლაიოშიც. ოსმალებმა გადაწვეს და გამარცხეს ქალაქი. მოჰაჩთან გამარჯვებით უნგრეთის დედაქალაქისკენ გზა ხსნილი იყო. ამ ბრძოლიდან ორი კვირის შემდეგ ოსმალეთის ჯარი უბრძოლველად იკავებს ქალაქ ბუდა-პეშტს. ქათიბ მუჰამად ზაიმი „ისტორიათა კრებულში“ ბუდა-პეშტის დაპყრობის შესახებ, და ზოგადად ბრძოლის შესახებ, შექმნილ მინიატურაზე დაწერილი წყაროთი გადმოგვცემს - „შეიჭრნენ. . . ბასრი ხმლებით უმოწყალოდ დააყრევინეს თავები ურჯულოებს [ქრისტიანებს]“. „ქვეყნიერების მბრძანებელი სულთან სულეიმანი, მოჰაჩის ველზე ებრძოდა მდაბიო მეფის [ლაიოშის] ქვეშევრდომებს; როგორც კი გაჩაღდა ბრძოლა, ურჯულო მეფემ [ლაიოშმა] პირველმა შეუტია „სულთანთა სულთნის“ არმიას, ერთ-ერთმა მეფის დაწყევლილმა ვეზირმა [პოლ ტომორიმ], რომელიც განთქმული იყო თავისი სიმამაცით, შეუტია რუმელიის სამხედრო კორპუსს. ზუსტად იმ წუთას, როდესაც რუმელიის კორპუსი უნდა დანებებოდა, ალაჰის დიდი წყალობით დროულად მოვიდა სემინდირესა და ბელგრადის სანჯაყ-ბეი, იაჰია ფაშა-ოღლი ბალი-ბეი. თავისი ჯარით ზურგიდან დაესხა თავს ურჯულო ქვეითებს და მათი ამოწყვეტა დაიწყო. ის გიაურები

(ურჯულოები), რომლებიც გადაურჩნენ წმინდა ბასრ ხმალს, ტუნის [დუნაის] წყალში გადავარდნენ და დაიხოცნენ, როგორც ძველად, ფარაონისა და ჰამანის მოსახლეობა. ასე რომ მეფის მხედრობამ სასტიკი მარცხი განიცადა. მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო ურჯულო მეფის (ლაიომის) ბედის ამბავი, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მისი ცხედარი ტბაში (დუნაი) ჩაძირული და თავმოჭრილი იპოვეს. გააურებმა ცხედარი უსთულნი-ბელგირადში (სექემფეკერვარში) წაიღეს და იქ დამარხეს”. სულეიმანი უნგრეთის მეფედ იანომ ზაპოლიელს აცხადებს, რომელიც სულთნის ვასალი ხდება.

მოჰაჩის ბრძოლაში მიღწეულ წარმატებას ოსმალებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გამარჯვების საფუძველზე ოსმალებმა სწრაფად წაიწიეს წინ და ჰაბსბურგთა იმპერიის დედაქალაქს, ვენას, შეუქმნეს საფრთხე. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ბრძოლას, სულეიმანის მომავალი ევროპული დაპყრობებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან უნგრეთის დედაქალაქის დაპყრობით მას პირდაპირ გზა ეხსნებოდა ქალაქ ვენისაკენ და იქიდან უკვე ცენტრალური ევროპისაკენ.

აღსაღნიშნავია, რომ მოცემულ ბრძოლას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო ასპარეზზე, მისით განსაკუთრებით დაინტერესდა მეცნიერება, რაც ძალიან კარგად აისახა ისტორიოგრაფიაში არსებული მოცემული ბრძოლის მრავალფეროვანი შეფასებებით - მაგ: მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ოსმალების მიზანი 1526 წლის მოჰაჩის ბრძოლაში სულაც არ იყო ქვეყნის დაპყრობა. ამ მოსაზრების არგუმენტად კი მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ოსმალთა ჯარმა საბოლოოდ დატოვა უნგრეთის ტერიტორია, ხოლო სულეიმან I-ს რეალური მიზანი გახლდათ ხელისუფლების იძულება მიეღოთ წინა ორ შემთხვევაში შეთავაზებული მშვიდობა. უნგრეთის მთავრობამ უარყო სულეიმანის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო წინადადება, რადგან მათ არ სურდათ უბრძოლველად დანებება. ამ უარყოფას მოჰყვა ოსმალების არმიის შეტევა, რამაც გამოიწვია 1526 წლის მოჰაჩის ბრძოლა. რაც შეეხება მკვლევართა მეორე ნაწილს, მათი აზრით : სულეიმან პირველის მთავარი მიზანი უნგრეთის დაპყრობა და საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოება იყო ევროპაში, ამაზე მიგვითითებს ისიც, რომ მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგისათვის ოსმალების სახელმწიფომ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რომელიც გახდა პლაცდარმი ევროპაში ოსმალთა შემდგომი წინსვლისათვის.

საბოლოო ჯამში, ზემოთ აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე ცალსახაა, რომ მოჰაჩის ბრძოლას არა მარტო, ოსმალებისა და უნგრეთისათვის, არამედ ევროპის ისტორიაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა. ნათელია, რომ თურქებისთვის აღნიშნულ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება ფართო შესაძლებლობებს იძლეოდა მთლიანად ცენტრალური ევროპის დასაპყრობად, 1521 წელს ბელგრადის

ადებით, ხოლო 1526 წელს მოჰაჩის ბრძოლაში მიღწეული წარმატებით ოსმალეთი განვითარების ზენიტში მოექცა და მათ ფაქტობრივად, უკვე გზა ხსნილი ჰქონდათ ვენის ასაღებად. რაც შეეხება უნგრეთის სამეფოს, მისთვის მოჰაჩის ბრძოლა ეროვნულ ტრაგედიად იქცა. უნგრელები მოჰაჩს უნგრეთის, როგორც დამოუკიდებელი და ძლიერი ევროპული ერის დასასრულად მიიჩნევენ. უნგრეთის მიზანი ოსმალეთის თავდასხმის მოგერიება და დამოუკიდებლობის შენარჩუნება გახლდათ, თუმცა მათ დიდი მარცხი განიცადეს, ამის მიზეზი კი უპირველეს ყოვლისა თავად უნგრეთის სამეფოში არსებული მძიმე საშინაო - პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა იყო. სამეფოში გაძლიერებულმა სეპარატიზმმა, მაგნატთა აჯანყებებმა თუ შერყეულმა ფინანსურმა მდგომარეობამ უნგრეთი სავალალო შედეგამდე მიიყვანა, ოსმალებმა მოახერხეს მათი განადგურება და დაპყრობილ უნგრულ მიწებზე დაარსეს ახალი ოლქი, ხოლო დამოუკიდებელი უნგრეთის სამეფო 400 წლის განმავლობაში გაქრა მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან. მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ უნგრეთს თავის დროზე ასე თუ ისე დიდი პოტენციალი თუ მნიშვნელოვანი რესურსი ჰქონდა, რასაც კარგად ადასტურებს პაპის ნუნციოს-გრაფი ბურჯიოს შეფასება: „*უნგრეთს, რომ სწორად მართავდნენ, თურქებს უფრო ძლევამოსილი მტერი ეყოლებოდათ*“. ფრანგი მოგზაურის პიერ შოკის აზრით კი: „*უნგრეთი ეს არის ერი, ვისიც თურქებს ყველაზე მეტად ეშინიათ*“.

საინტერესოა, მოჰაჩის ბრძოლის როლი ევროპელი ერის კონსოლიდაციის მცდელობებში, მათ დაიწყეს გაერთიანება, რათა ხელი შეეშალათ ოსმალების ერთ-ერთი მთავარი მიზნის ისლამიზაციის პროცესისათვის, რამაც გარკვეულწილად შედეგი გამოიღო, რაც ლეპანტოს ბრძოლის პირველ ეტაპზე მიღწეულ წარმატებაშიც ძალიან კარგად აისახა. ამრიგად, მოჰაჩის ბრძოლა თავის ლოკალურ ჩარჩოებს გასცდა და გლობალური სახე მიიღო, რაც ძალიან კარგად იკვეთება იმაშიც, რომ მოცემული ბრძოლის თარიღი 1526 წელი ცენტრალურ ევროპულ ისტორიოგრაფიაში შუა საუკუნეების დასასრულად მიიჩნევა.

*მარიტა ხარშილაძე, თინა მაკარაძე*

## ვენის ალყა (1683)- ოსმალეთის მიერ ვენის დაპყრობის ბოლო მცდელობა



ოსმალეთის იმპერიას ვენის ალყის პირველი მცდელობა 1529 წელს ჰქონდა. ვენა წარმოადგენდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქს, რომელიც აკონტროლებდა სავაჭრო გზებს. პირველი ალყის შემდეგ, ოსმალეთის იმპერია ძალების აღდგენას ცდილობდა საღვთო რომის იმპერიის საბოლოოდ დასამორჩილებლად. ისინი

იმარაგებდნენ სამხედრო ტექნიკას, იარაღს. დაიწყეს ავსტრიისკენ მიმავალი გზების, ხიდების აღდგენა, გაამლიერეს არმია და ფლოტი. ოსმალეთის იმპერია იბრძოდა ავსტრიისა და სხვა ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგ. 1663 წელს ისინი შევიდნენ ავსტრიის ტერიტორიაზე. ევროპამ იგრძნო მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ვინაიდან ვენის დამარცხება ნიშნავდა, რომ ოსმალეთი ევროპის სხვა ტერიტორიებსაც ჩაიგდებდა ხელში, ამიტომ გაერთიანებული ძალებით გადაწყვიტეს ავსტრიის დახმარება. ბავარიამ, საქსონიამ, ბრანდერბურგმა და სხვა სამთავროებმა გააზავნეს თავიანთი ჯარები ლეოპოლდ I-ს (1658-1705) დასახმარებლად. 1664 წელს ოსმალები დამარცხდნენ სენტ-გოტართან და იძულებული გახდნენ ზავი ეთხოვათ, იმავე წელს დაიდო ზავი 24 წლის ვადით.

სენტ-გოტართან განცდილ მარცხს ოსმალეთი, რა თქმა უნდა, ვერ შეეგუებოდა, ამიტომ ელოდა შესაფერის მომენტს, რათა დაკარგული პოზიციები აღედგინა. XVII საუკუნის 80-იან წლებში ოსმალთა სულთანის იყო მეჰმედ IV (1648-1687). იგი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ნადირობაში ატარებდა, ნებისმიერი ნადირი იპყრობდა მის ყურადღებას, ამიტომ მას მეტსახელად შეარქვეს „დიდი მონადირე“.

მეჰმედ IV ოსმალეთის მმართველობის საქმეებში ძირითადად არ ერეოდა. ოსმალეთის მმართველი წრეები გამოსავალს ხედავდნენ იმაში, რომ მოეძებნათ თავიანთ წრეში ისეთი პიროვნება, რომელიც დიდი ვეზირის თანამდებობაზე შეძლებდა რკინის ხელებით ქვეყანასა და არმიაში წესრიგის დამყარებას. ოსმალეთის




იმპერიას ასეთ ძალად მოევიწყა ქოფრულუების გვარის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი- ყარა მუსტაფა ფაშა (1676-1683). ქვეყნის სამმართველო საქმეები ყარა მუსტაფას ხელში იყო, რომელმაც გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები ქვეყნის გასაუმჯობესებლად.

მას შემდეგ, რაც ყარა მუსტაფამ დიდი ვეზირის თანამდებობა მიიღო, შეიგრძნო ძალაუფლების გემო და მოისურვა გამხდარიყო ახალი თურქული სახელმწიფოს მმართველი, რომლის დედაქალაქიც ვენა იქნებოდა. ყარა მუსტაფას კარგი შანსი მიეცა, 1681-1682 წლებში მდგომარეობა დაიძაბა უნგრეთში, რომლის ერთი ნაწილი იმ დროს ავსტრიის ხელში იყო, მეორე კი- ოსმალეთის. ავსტრიის იმპერატორი ლეოპოლდ I აწარმოებდა ანტიპროტესტანტულ პოლიტიკას, რამაც გამოიწვია უნგრელების აჯანყება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ემრე თოქელი. ჯერ კიდევ 1679-1680 წლებში, საფრანგეთის მეფე ლუი XIV (1643-1715) დაუკავშირდა ყარა მუსტაფას და მოუწოდა ჩარეულიყო უნგრეთში ჰაბსბურგების წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებაში, თუმცა უარი მიიღო. 1682 წელს ემრე თოქელი მიხვდა, რომ იმპერიის არმიას მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას და დასახმარებლად ოსმალებს მოუწოდა. დახმარების სანაცვლოდ მან ოსმალებს შესთავაზა ფულადი კონპენსაცია, ამავდროულად საჭიროების შემთხვევაში ოსმალეთს დაეხმარებოდა 30000 უნგრელი. საბოლოოდ, ყარა მუსტაფამ დაითანხმა მეჰმედ IV, რომელიც თავდაპირველად ყოყმანობდა და ოსმალებმა უნგრელებს დახმარება გაუწიეს. სულთანმა სამხედრო დახმარება გაუზავნა უნგრელებს და მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვა, რის ფონზეც მძიმე ზავი შესთავაზა ავსტრიას, თუმცა ლეოპოლდ I-მა (1658-1705) არ მიიღო ეს შემოთავაზება.

ლეოპოლდ I-მა ოსმალეთის საპასუხოდ კავშირი დაამყარა ბავარიის კურფიურსტთან და შვედეთის მეფესთან. ხოლო რომის პაპის გავლენით, 1683 წლის 2 მაისს ავსტრიამ პოლონეთის მეფე იან III სობესკისთან (1674-1696) დადო ხელშეკრულება ოსმალთა წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ; თუკი ავსტრიისა და პოლონეთის დედაქალაქებს დაემუქრებოდა საფრთხე ლეოპოლდს უნდა გამოეყვანა 60000, ხოლო სობესკის 40000 კაცი.

ოსმალეთის ჯარმა მოქმედება დაიწყო 1682 წლის შემოდგომაზე და გამოიზამთრა ადრიანოპოლში, 1683 წლის დასაწყისში სულთანი, დიდი ვეზირი და ჯარი გაემართნენ ბელგრადისკენ. მაისის დასაწყისში თურქული ჯარები ბელგრადში ჩავიდნენ, მეჰმედ IV-მ გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო და ჯარის მეთაურობა ყარა მუსტაფას გადასცა. მან მოუწოდა ვაჟკაცურად ებრძოლა ურწმუნოების წინააღმდეგ. შემდეგ ოსმალთა ჯარს შეუერთდა უნგრელთა ჯარი და ოსმალთა ვასალი-ყირიმის ხანი. ყარა მუსტაფამ მოიწვია საომარი საბჭო, რომელიც შედგებოდა მთავარი ოფიცრებისგან, მათ უნდა განეხილათ დაესხმებოდნენ თუ არა ვენას იმავე წელს თავს. მან მოიხმო უნგრელთა მეთაური, რომელსაც მათზე მეტი უნდა



ყარა მუსტაფა(1676-1683)

სცოდნოდა საღვთო რომის იმპერიის ტერიტორიების შესახებ. ემრე თოქელი არ ემხრობოდა ვენის ალყას, ვინაიდან ვენა იყოს ძალიან შორს, მათ მოუწევდათ მტრის კარგად გამაგრებული ტერიტორიების გავლა. იმ შემთხვევაში თუ ალყა დიდხანს გასტანდა, ამოეწურებოდათ მარაგი და შორს იქნებოდნენ საკვები რესურსებისგან, ხოლო თუ ვენა დაეცემოდა ქრისტიანი მონარქები გაერთიანდებოდნენ მათ წინააღმდეგ და დაამარცხებდნენ. თოქელი და ზოგიერთი ფაშა ყოყმანობდნენ, არ უნდოდათ ვენისკენ დამკვრა, მაგრამ ყარა მუსტაფამ მათ სულთნის ჰატიშერიფი წარუდგინა, ამის შემდგომ მთელი ჯარი გაემართა ვენისკენ.



ემრე თოქელი (1682-1685)

7 ივლისს 40000 ყირიმელი თათარი ავსტრიის დედაქალაქიდან 40 კილომეტრში დაბანაკდა. მათი მეთაური იყო მურად გირეი. ისინი პირველები შეხვდნენ იმპერიულ ჯარებს ივლისში და პეტრონელთან ახლოს, მდინარე ლაითასთან დაამარცხეს. სავოის ჰერცოგი სასიკვდილოდ დაიჭრა. როდესაც იმპერატორმა ლეოპოლდ I-მა შეიტყო მისი ჯარების დამარცხების შესახებ, სასწრაფოდ დატოვა ვენა და თავი შედარებით უფრო მშვიდობიან ქალაქ ლინცს შეაფარა. იმპერატორის ამ საქციელმა აღშფოთება გამოიწვია ვენის მოსახლეობაში, ბევრმა შეძლებულმა ოჯახმა მიზამა იმპერატორს და წავიდნენ ვენიდან. როდესაც ყარა

მუსტაფამ შეიტყო იმპერატორის წასვლის შესახებ, ვენის აღების იდეა უფრო რეალურად წარმოუდგა თვალწინ. 1683 წლის 14 ივლისს ყარა მუსტაფა ვენის კედლებთან დაბანაკდა. ბანაკები და ჯარი ნახევარმთვარის სახით იყო განლაგებული. დიდი ვეზირის-ყარა მუსტაფას კარავი ყველაზე მშვენიერი იყო, იგი დამზადებული იყო მწვანე აბრეშუმისგან და მორთული იყო ძვირფასი ქვებით. თურქული არმია დაიყო სამ ძირითად ნაწილად: ცენტრალური, მარჯვენა და მარცხენა ფრთა. ყარა მუსტაფა მეთაურობდა არმიის ცენტრალურ ნაწილს; ანატოლიის გუბერნატორი-აჰმედ ფაშა და იანიჩართა მესამე გენერალ-ლეიტენანტი მეთაურობდნენ მარჯვენა ფრთას, ხოლო მარცხენა ფრთას-სივასის ბეილერბეი, ყარამანიის ბეილერბეი და იანიჩართა მეორე გენერალ-ლეიტენანტი. ოსმალთა არმია შედგებოდა 120000-დან 240000-მდე კაცისგან და 300 ქვემეხისგან. ვენაზე იყო მცირე და დიდი თავდასხმები 13, 24 აგვისტოს და 4, 5 და 6 სექტემბერს.

საინტერესოა თუ როგორ ემზადებოდა ვენა ალყისგან თავის დასაცავად: წლის დასაწყისში ვენაში ისეთ უმნიშვნელო დეტალებზე კამათობდნენ, როგორცაა ოფიცერთა ხელფასები ან 21 ჩვეულებრივი ჯარისკაცისათვის პურის განაწილება. იმპერატორმა ლეოპოლდ I-მა ვენიდან წასვლის შემდეგ ქალაქის დაცვა გრაფ სტარჰემბერგს მიახლო (1638-1701). ქალაქის თავდაცვით ძალებში შედიოდა 11000 ვენელი ჯარისკაცი და 5000 მშვიდობიანი მოხალისე. ვენის მახლობლად დაბანაკების შემდეგ ყარა მუსტაფამ ულტიმატუმი წამოუყენა ქალაქს და მოუწოდა დანებებულიყვნენ, მაგრამ სტარჰემბერგმა, რა თქმა უნდა, უარი განაცხადა ამაზე. ოსმალთა არმია საგრძნობლად სჭარბობდა ვენის დამცველებს. აგვისტოს ბოლოსთვის ალყაში მოქცეულთა ძალები საკმაოდ შესუსტებული იყო, ოსმალებმა მათ შეუწყვიტეს საკვებითა და წყლით მომარაგების ყველა გზა. გარნიზონიც და მოსახლეობაც გადაღალა მუდმივმა წნეხმა. რომის პაპის, ინოკენტი XI-ის მცდელობა, რომ საფრანგეთი დაეთანხმებინა წამოსულიყო ვენის დასახმარებლად, უშედეგო აღმოჩნდა და ლუი XIV-მ (1643-1715) არა მხოლოდ უარი თქვა დახმარებაზე, არამედ ისარგებლა შქმნილი ვითარებით და თავს დაესხმა სამხრეთ გერმანიას; პოლონურ-ლიტვური თანამეგობრობა წარმოადგენდა ერთადერთ ძალას, რომელიც ვალდებული იყო ჰაბსბურგები დაეცვა. ავსტრიელები ვედრების წერილს გზავნიდნენ პოლონეთში, რომ დახმარება მიეღოთ, საბოლოოდ იან სობესკი დათანხმდა და შეკრიბა ჯარი. არმიამ კრაკოვი დატოვა 15 აგვისტოს და თვის ბოლოს იმყოფებოდა ჰოლაბრუნში, სობესკი სამი დღე ამზადებდა თავის ჯარებს. პოლონეთის და ოსმალეთი მოწინააღმდეგეები იყვნენ, მაგრამ მთავარი მიზეზი ვენის დახმარებისა იყო ის, რომ თუ ოსმალეთი ვენას დაიკავებდა საფრთხე დაემუქრებოდა პოლონეთის, საფრანგეთის და მთელი დასავლეთ ევროპის ტერიტორიას. ეჭვქვეშ იყო პოლონეთის დამხმარე ჯარი

დროულად მიუსწრებდა თუ არა ვენას. ყარა მუსტაფას ჰქონდა ორი ვარიანტი: მოეწყო სრულმასშტაბიანი შეტევა ან გაეგრძელებინა ალყა, მან მეორე ვარიანტი აირჩია, რადგან იგი ფიქრობდა, რომ ვენაზე თავდასხმის შემთხვევაში ჯარისკაცები გაძარცვავდნენ ქალაქს და დაიპატრონებდნენ სიმდიდრეებს, ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო მისი ეგოიზმით.

ოსმალებმა არ გამოიჩინეს სიფრთხილე და არ გაამაგრეს ბანაკები. დიდი ვეზირის აუჩქარებლობამ განაპირობა ის, რომ პოლონეთის არმია, იან სობესკის მეთაურობით, დროულად მოვიდა ვენის დასახმარებლად.

ქალაქის დამცველთა საბედნიეროდ, პოლონეთის არმიამ გადალახა დუნაი, შეუერთდა შარლ V ლოთარიგიელის (1675-1690) არმიას, რომელმაც ემრე თოქელის ჯარი დაამარცხა. 11 სექტემბრისთვის პოლონელთა ჯარებმა დაიწყეს ვენისკენ მიმავალი ბორცვების გადალახვა. მათ მძიმე პირობებში უწევდათ გადაადგილება რთული რელიეფის გამო, თუმცა 11 სექტემბრისთვის იან სობესკიმ შეძლო ბრძოლის ველის შემოწმება და ნახა, რომ რეალობა რუკისგან განსხვავდებოდა, ვინაიდან მას კიდევ უნდა გადაელახა



იან III სობესკი (1674-1696)

ბორცვების ერთი დიაპაზონი, რომ ქალაქამდე მიეღწია. 12 სექტემბერს დილიდანვე ავსტრიელები და გერმანელები ოსმალურ ძალებს დაუპირისპირდნენ, პოლონელები კი შუადღისთვის შეუერთდნენ ბრძოლას. მათ ოსმალები განდევნეს ბორცვებიდან და მოემზადნენ შემდეგი დაპირისპირებისთვის. ოსმალები პანიკაში იყვნენ ჩავარდნილნი. პოლომენმა მონარქმა დაინახა, რომ გამარჯვება მზის ამოსვლამდე იყო შესაძლებელი. ოსმალები საკმაოდ დასუსტებულები იყვნენ და დაიწყეს ბრძოლის ველიდან გაქცევა. კავალერიის თავდასხმიდან სამი საათის შემდეგ ქრისტიანებმა გაიმარჯვეს და ვენა გადაარჩინეს. იან სობესკიმ გამარჯვების შემდეგ იულიუს კეისრის ცნობილი სიტყვები ოდნავ შეცვლილი სახით წარმოთქვა „Veni, vidi, Deus vicit.“ („მიველ, ვნახე, ღმერთმა გაიმარჯვა.“). ოსმალებმა 20000 ჯარისკაცი დაკარგეს, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს, მათ შორის ყარა მუსტაფამაც. სობესკის დიდი დახმარება გაუწია თავისი ჯარის საუკეთესო ნაწილმა-ფრთოსანი ჰუსარების მძიმე კავალერიამ. ასევე მის ქვეყანაში მცხოვრებმა სუნიტ მუსლიმმა თათრებმა, რომლებიც ლიპკა თათრების სახელით არიან ცნობილნი. მიუხედავად საერთო რელიგიისა, ისინი მაინც იბრძოდნენ ოსმალების წინააღმდეგ. მათ გარეშე ეჭვქვეშ იქნებოდა პოლონელთა

გამარჯვება. მათ ჰქონდათ თავიანთი ცნობილი ტაქტიკა: თადაპირველად იხევდნენ უკან, შემდეგ კი მოულოდნელად ესხმოდნენ თავს მტერს. იან სობესკი მხსნელად მოევიდნა ავსტრიას და შეიძლება ითქვას, მთელს ევროპას, რადგან რომ არა ის, ოსმალები კალიასავით მოედებოდნენ მთელს ევროპას და საფრთხე დაემუქებოდა ევროპელთა ენასა და სარწმუნოებას.

შეუძლებელია არ ავლნიშნოთ თუ რამ განაპირობა ოსმალების ფიასკო. მიზეზებს შორისაა ტაქტიკური და სტრატეგიული შეცდომები, არაერთიანობა არმიაში და სურსათის ნაკლებობა. არმია იყო წყობიდან გამოსული. ბრძოლაში ჯარებს ჰქონდათ აღმოსავლური ნახევარმთვარის განლაგება, რის გამოც უჭირდათ მანევრირება. ბრძოლის ტემპი დამოკიდებული იყო რელიეფზე, სადაც მოქნილობა იყო მთავარი, არასწორი განლაგების გამო კი ოსმალები შეზღუდულად გადაადგილდებოდნენ. არმიაში იყო ლიდერობის პრობლემები, მაგალითად, თათარხანმა, რომელიც ოსმალეთის ერთ-ერთი შენაკადის მეთაური იყო, არ შეასრულა ყარა მუსტაფას ბრძანება, რაშიც გამოიხატებოდა დიდი ვეზირისადმი პატივისცემის ნაკლებობა. მნიშველოვანია ყარა მუსტაფას მიერ დაშვებული სტრატეგიული შეცდომები, მაგალითად, მან უარი თქვა ვენის სრულმასშტაბიან შეტევაზე. სულთანმა მეჰმედ IV-მ მარცხზე პასუხიმგებლობა დააკისრა ყარა მუსტაფას და იგი 1683 წლის 25 დეკემბერს სიკდვილით დასაჯეს ბელგრადში (აბრეშუმის თოკით დაახრჩვეს). მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებს რიცხოვრივი უპირატესობა ჰქონდათ, ისინი რთულ მდგომარეობაში იყვნენ. ნებისმიერი სამხედრო კამპანიის დიდი გამოწვევა იყო ჯარის საკვებით უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა მოიპოვეს სურსათის გარკვეული ნაწილი, საჭირო იყო საკვების მოწოდება ოსმალეთიდან, თუმცა იგი იყო ძალიან შორს ვენიდან, ასევე აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის მეზობლთა უმეტესობა იყო ფეოდალი და მსახური. ისინი მოწყდნენ სამეურნეო საქმიანობას, ამან კი ეჭვქვეშ დააყენა ოსმალური გრძელვადიანი ოპერაციის წარმატებით დასრულება. ამ პრობლემების გამო ოსმალეთის იმპერიამ წარუმატებლად დაასრულა ვენის დაპყრობის უკანასკნელი მცდელობა.

ვენასთან განცდილმა მარცხმა საბოლოოდ შეაჩერა ოსმალთა ექსპანსია ევროპაში. ამ დროიდან ოსმალეთში დაიწყო „უკან დახევის“ პერიოდი. მიუხედავად რთული ვითარებისა, ოსმალეთის თავდაცვა ჯერ კიდევ ძლიერი იყო. მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ ევროპის სახელმწიფოები, რომის პაპის მოწოდებით, 1684 წელს შეიქმნა ანტიოსმალური კოალიცია- „სადვთო ლიგა“, მასში გაერთიანდა ავსტრია, პოლონეთი, ვენეცია და მალტის ორდენი. მოკავშირეები შეტევაზე გადავიდნენ, ოსმალეთი გამუდმებით განიცდიდა მარცხს. 1688 წელს ავსტრიამ დაიკავა ბელგრადი, მომდევნო

წელს კი ოსმალეთის დედაქალაქს დაემუქრა საფრხე. 1693 წელს ავსტრიელებმა ალყა შემოარტყეს ბელგრადს, მაგრამ წარუმატებლად. ოსმალეთი საგრძნობლად დაასუსტა ხანგრძლივმა ომებმა. ავსტრიამაც გადაწყვიტა ზავის დადება. 1698 წლის 13 ნოემბერს კარლოვიცში (სლოვენია) მოიწვიეს კონფერენცია, რომელშიც ოსმალეთი და მეორე მხრივ საღვთო ლიგის წევრები მონაწილეობდნენ. 1699 წლის 26 იანვარს დაიდო კარლოვიცის ზავი. ზავის პირობებით ოსმალეთმა მიიღო ტრანსილვანია და თითქმის მთელი სლოვენია; ავსტრიამ უნგრეთის თითქმის მთელი ტერიტორია, პოლონეთმა-უკრაინის მარჯვენა სანაპიროს ნაწილი, ხოლო ვენეციამ დალმაცია და რამდენიმე კუნძული.

*მარიამ ესართია, ანა აბუთიძე*

## **აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველთა ყოფა, კულტურა და თანამედროვე ვითარება**

საინგილო ეწოდება მხარეს, რომელიც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და ამჟამად მოქცეულია კახის, ზაქათალისა და ბელაქნის აზერბაიჯანის ფარგლებში. მას უკავია კავკასიის მთაგრორიანი ქედის სამხრეთ ხეობები, რომლებიც დაფარულია ტყითა და მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირის დაბლობი ადგილები.

რაც შეეხება ტერმნის „საინგილოს“ ის გამოყენება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. როგორც ჩვენ ვიცით, ტერმინ „ინგილოს“ გამაჰმადიანებულ ქართველებს უწოდებდნენ, ანუ „ახლად მორჯულებულს“.

როგორც ნიკოლოზ ყიყიშვილის ინტერვიუდან ვიგებთ, ამ ტერმინთან დაკავშირებულია ლეგენდა, რომელსაც როგორც თვითონვე ამბობს, რეალურ ფაქტად აღიქვამს, „ლეკები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მაქსიმალურად ცდილობდნენ, ქრისტიანობა შეეზღუდათ. ამისათვის ისინი ბევრ რამეს აკეთებდნენ. ჩვენი მართმადიდებელი ხალხი, რომელიც აქ ცხოვრობდა, ფარულად მარხულობდა,

ლოცულობდა და საზიარებლად კახეთში გადმოდიოდა, ამიტომ ლეკებმა მათ შეარქვეს „ინჯილ“.

„ინჯილ“ - არის არაბული სიტყვა, რომელიც გულისხმობს შემდეგს: იმ შემთხვევაში, თუ ლეკი ბატონი გაიგებდა, რომ ქრისტიანი ჩუმად ეზიარებოდა, მას სასტიკად დასჯიდა. ეს სიტყვა „სახარებას“, „სახარების მიმდევარს“ ნიშნავს. მან დროთა განმავლობაში, დეფორმირება განიცადა და „ინგილ“ ეწოდა“. ამდენად „ინგილო“ არა ეთნიკური, არამედ სოციალური შინაარსის ცნებაა. აღსანიშნავია, რომ თვითონ ინგილოებს არ სიამოვნებთ, როდესაც მათ ინგილოთი მიმართავენ.

ჰერეთის პირველი მეფეა გრიგოლ ჰამამი, რომლის გამეფების თარიღად მიჩნეულია 893 წელი. ჰერეთის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იშხანიკის ზეობის ხანას, რაც რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. პირველი მიზეზი არის ფაქტი, რომ იშხანიკი არ იყო ერთპიროვნული მმართველი, ვინაიდან დედამისი დინარა ტაოელ ბაგრატიონთა ოჯახის წარმომადგენელი და მისი თანამმართველი, ანუ თანამოსაყდრე იყო. მეორე და უმთავრესი მიზეზი არის რელიგიური ფაქტი, რომ სწორედ იშხანიკისა და დინარას დროს ჰერეთის სამეფო აღიარებდა დიოფიზიტობას და უერთდებოდა მცხეთის ერთიან ქართულ სამწყემსოს. ჰერეთს XI საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კახეთის მეფე კვირიკე III იპყრობს და აყალიბებს რანთა და კახთა სამეფოს, ხოლო მოგვიანებით, 1104 წელს, კი ერწუხის ბრძოლაში გამარჯვებით, დავით IV აღმაშენებელი იერთებს ამ ტერიტორიებს, როგორც თვითმფლობელობით მპყრობელი მეფე და მეფის ტიტულატურას „მეფე აფხაზთა და ქართველთას“ ემატება „რანთა და კახთა“. 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ერთა ლიგის მიერ აღიარებულ საზღვრებში, ჰერეთი, როგორც განუყოფელი ნაწილი, კვლავ საქართველოს შემადგენლობაში იყო, თუმცა 1921 წლის თებერვალში, რუსული წითელი მე-11 არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციას, სამწუხაროდ, მოჰყვა ჩვენი სამშობლოს გასაბჭოება, რომლის შედეგადაც საქართველოს მთელი რიგი ტერიტორიები ჩამოაჭრეს, მათ შორის ჰერეთის უდიდესი ნაწილი.

დღეისათვის საინგილოში სხვადასხვა ეთნოსის ხალხი ცხოვრობს, მათ შორის არიან ქართველებიც. აქ მცხოვრები ქართველები ორ ნაწილად იყოფიან: მაჰმადიან და ქრისტიან მოსახლეობად.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტიანი ქართველები კახის რაიონებში სახლობენ, ხოლო მაჰმადიანები ალაზნის ვაკის სამხრეთ მხარეში და მათი რიცხვი ქრისტიანებთან შედარებით მეტია.

ბუნებრივია აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებს შენარჩუნებული ექნებათ გარკვეული ადათ-წესები. მაგალითად, XIX საუკუნეში ჩვენთან თრობა დიდ სირცხვილად და მასპინძლის შერაცხყოფად ითვლებოდა, საინგილოშიც ასეა, თუმცა

ჩვენგან განსხვავებით იქ დღემდეა ეს ტრადიცია შენარჩუნებული, ასევეა პატრიარქაული ოჯახებიც, ერთ ოჯახში ნახავდით 40-60 ადამიანს, რომლებსაც უძღვებოდა ხანდაზმული ადამიანი, აძლევდა მითითებებს, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, თუმცა, ისივე როგორც საინგილოში ეს ტრადიცია ჩვენთანაც მივიწყებას მიეცა.

ინგილოთა ტრადიციებში ყველაზე კარგად ეროვნული ელფერი ქორწინების საკითხში გამოიხატება, მართალია ჩვენთან ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა მსგავსებები მაინც თვალსაჩინოა. ძველად, საქართველოშიც და საინგილოშიც, ბავშვებს აკვნიდან ნიშნავდნენ, ძირითადად ბავშვების ასაკი 8-10 წელი იყო.

ხელის თხოვნის წესიც მსგავსია, მაჭანკლის მიგზავნა გოგოს მშობლებთან, საჩუქრების მირთმევა, მზითევის სამზადისი. სიმბოლური იყო თოფის სროლაც. რაც შეეხება უშუალოდ ახალი რძლის ოჯახში შრომას, საინგილოში ეს დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ორსული ქალებისთვის მითუმეტეს, ვინაიდან აქ ყველაფერი ქალს ეკისრებოდა და ქმრის დახმარება სირცხვილად ითვლებოდა, ამას ემატებოდა ის, რომ მშობიარე ქალი უწმინდურად ითვლებოდა, ამიტომ არავინ აქცევდა ყურადღებას, რაც ხშირ შემთხვევაში ფატალური შედეგით სრულდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაკრძალვის წესი ბევრად განსხვავდებოდა ქართული ტრადიციისაგან, მაინც ძალიან საინტერესოა, ადამიანი გარდაიცვლებოდა თუ არა, თვალებს დაუხუჭავდნენ, ხელებს გულზე დაუკრეფდნენ, ფეხებს გაასწორებინებდნენ. მიცვალებულს აუცილებლად დაბანდნენ, რათა ღმერთთან სუფთად წარდგენილიყო. იყო შემთხვევა, როცა იმავე დღეს კრძალავდნენ, რათა ღმერთან სული და სხეული ერთად მისულიყო. აცვამდნენ სუფთა ტანსაცმელს, რამდენიმე წყვილს, ერთსაც დასატირებლად იტოვებდნენ. ჩვენთან მსგავსება გამოიხატება ნივთების გატანებაში, მაგალითად: ინგილოები სანთელს ატანდნენ, რადგან მიმხვდარიყვნენ საიქიოში მართმადიდებელი იყო გარდაცვლილი თუ მუსლიმი. საინტერესოა დატირების ტრადიცია, რომელიც მსგავსია ქართულისა და პარალელი შეიძლება გავავლოთ ხევსურეთში დატირების ტრადიციასთან, ვინაიდან აქ იმ კაცის შვილის დატირება სირცხვილად ითვლებოდა, რომლის ოჯახშიც დიდედა ან პაპა ცოცხალი იყო. აქაც მიცვალებულს ხმამაღლა მოთქმით დაიტირებდნენ ოჯახის წევრები, ჩამოთვლიდნენ გარდაცვილის ღირსებებსა და სურვილებს.

ადრე ქართველები, როდესაც ზეწოლას განიცდიდნენ და საფლავებზე არაბულად აკეთებდნენ ეპიტაფიებს, მაშინაც კი ინარჩუნებდნენ ქართველობას. არაბულ ასოებს ისე წერდნენ, რომ მათ შორის ქართულ ეპიტაფიებს შორიდან კარგად დაკვირვების გარეშე ვერ შეამჩნევდით.



დღესდღეობით, კუბოს ქრისტიანი ქართველები იყენებენ, ხოლო მუსლიმები საკაცეს ხმარობენ, რომელსაც კიბის მსგავსად აგებენ. დაკრძალვის დროს ქალებს არ აქვთ უფლება გაყვნიან საფლავზე მიცვალებულს, ამიტომაც ეზოში ემშვიდობებიან მას, შემდეგ სუფრას მიუსხდებიან დანაყრდებიან და დაბრუნდებიან სახლებში. კაცები კიდევ დასაფლავების შემდეგ მიირთმევენ, შესანდობარს იტყვიან და იშლებიან.

სულპურის წესი მსგავსია ორმოცის აღნიშვნისა, როცა მანამდე კაცები წვერს იზრდიან.

ჰერეთში ისევე, როგორც საქართველოში სხვადასხვა დღესასწაულებს აღნიშნავენ, განსაკუთრებით აღდგომას, შობას და გიორგობას.

-„ ბევრ ახალ წელს დაინახ! ღმერთმა კაი ყისმათ მოგცეს!“

-„ამინ,თქვენც ასევე!“

ასე ულოცავენ აქ ერთმანეთს ახალ წელს.

ახალი წლისთვის მზადება რამდენიმე დღით ადრე იწყება. მთელი ოჯახი სამზადისშია ჩართული, ქალები ახალ ტანისამოსს იკერავენ, ბავშვები ჟრიამოულობენ, აცხობენ ახალ პურს. დილით, მაშინ, როდესაც ახალად თენდება ოჯახის უფროსი ადგება ჩუმად, აიღებს წყლის ჭურჭელს, ერთ მუჭა ბრინჯს და წავა მდინარეზე, დაიბანს ხელ-პირს, წყალს გაავსებს და დაბრუნდება სახლში, როცა ეზოში მოვა დაიძახებს:

-„უ...უუ... კარი გააღეთ!

ოჯახიდან გამოსძახებენ:

-„ვინ ხარ? რა მოგაქვს? რა მოგვიტანე?“

- მოვდივარ, მომაქვს: ღვრთის წყალობაი, ღმერთის ბარაქაი, სიცოცხლე, სიხარული.“

ყოველივე ამის შემდეგ შედის სახლში, ულოცავს ოჯახს, მიართმევს თაფლიან პურს ოჯახის ყველა წევრს და შემდგომ მიდიან ვენახში, სხვა რიტუალების ჩასატარებლად.

როგორც უკვე ვთქვი, ჰერეთში განსაკუთრებით აღნიშნავენ გიორგობას. ეს დღესასწაული ორჯერ აღინიშნება, კახის რაიონში მდებარე ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში. ის ბალუდარსას მთაზე მდებარეობს, მდინარე ქურმუხის მარცხენა სანაპიროს მიუყვება და დასავლეთ ნაწილში ალაზნის ველისაკენ გამოწვდილ ტოტის კიდეზე დგას. ხალხი სანამ ამ ტაძრისკენ გაემურება გიორგობისას მანამდე სოფელში მდებარე მოქმედ ეკლესიაში მიდის, სადაც ტარდება წირვა-ლოცვა. ამის შემდგომ მრევლი ეკლესიის მსახურებთან ერთად მიემართება ბალუდარას მთისაკენ. ამ დღესასწაულისათვის ქართველი ინგილოები ნახევარი წლის განმავლობაში ემზადებიან. ეს ხომ მხოლოდ დღესასწაული არაა, ესაა დღე, როცა ნახულობენ მეგობრებს, ნათსავეებს, იცნობენ ახალ ადამიანებს და ერთობიან.

ამ დღეს ქართველი ქართველს არა გამარჯობას, არამედ „დაგიმადლას“ ეტყვის და პასუხად „ შეგეწიონ“ მიიღებს. დილის ათი საათიდან ოთხ-ხუთ საათამდე ტამარში ტევა არ არის, მლოცველები დასავლეთის მხრიდან შემოდიან და სანთელს ანთებენ. ზოგიერთი კედელზე აკრავს სანთელს ან გარეთ ქვის ლოდზე. წირვის შემდეგ ტამარში მიმდინარეობს ნათლობა და მრავალი ქართველი ისევ უბრუნდება მართმადიდებლობას. აღსანიშნავია, რომ ქართველი ინგილოების გარდა ამ დღესასწაულზე წმინდა გიორგის ტამარში ბევრი ადგილობრივი აზერბაიჯანელიც მიდის და შესაწირიც თან მიჰყავს, შემდგომ კი ქართველებთან ერთად სუფრაზე ჯდება და მოლხენას იწყებს.

ჰერეთს ოდითგანვე ჰქონდა ისტორიული დანიშნულება, ვინაიდან სოფელი „კაკი“, ანუ კახი, მესაზღვრე როლს ასრულებდა, აღმოსავლეთიდან შემოსულ მონღოლებს, ლეკებს, შარვანელებს სწორედ ეს სოფელი უნდა აეღოთ, რომ საქართველომდე მოსულიყვნენ, ამიტომაც იყო, რომ ქართელი მეფეები დიდი პატივს სცემდნენ და ანებივრებდნენ მათ.

რაც შეეხება უკვე მოგვიანო პერიოდს, 1999 წლის აღწერით აზერბაიჯანში 15000-მდე ეთნიკურად ქართველი ცხოვრობდა. მთლიანად ქართული პუნქტია კახისა და ბელაქანის რაიონები, მაგრამ მცირდება ქართულენოვანი სოფლები. მაგალითად: სოფელ ჰელგიანში 30 წლის წინ დაივიწყეს მშობლიური ენა. ჰერეთის ქართველთა კილო ძველი ქართულიდან მოდის, მათ დიალექტში ბევრი ძირძველი, უნიკალური ქართული სიტყვაა შემონახული.

აღსანიშნავია, რომ ქართულად მოლაპარაკე მაჰმადიანები უფრო მეტად სალიტერატურო ენით საუბრობენ, ვიდრე ქრისტიანი ქართველები. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ მაჰმადიანი ქართველების სოფლები ალაზნთან ახლოს მდებარეობს და უფრო მეტი კონტაქტი აქვთ ქართველებთან.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქმედებს 6 ქართული სკოლა და ამდენივე ქართულენოვანი სწავლების სექტორი. კახის რაიონში 6 სკოლა და 1 სექტორია, ხოლო ბელაქანსა და ზაქათალაში 1 და 4 ქართულ ენაზე სწავლების სექტორი, აქ მოსწავლეების რიცხვი სექტემბერში 2452 შეადგენდა. სამწუხაროდ იგივეს ვერ ვიტყვით დაბა ალიანადზე, სადაც საგრძნობლად იკლებს ქართული ენის შესწავლის სურვილი, ვინაიდან ამ ყველაფერზე ზეწოლას ახდენს ხელისუფლება, ამის ნათელი მაგალითია ის, რომ 2013 წელს პრეზიდენტის ფონდის დახმარებით ქართველებმა ჩაიატენეს საინგილოში ქართულენოვანი წიგნები, თუმცა, მოსახლეობას ახალი წიგნების ნაცვლად გამოუსადეგარი (დაზიანებული) წიგნები მიაწოდეს, რომლითაც სწავლა ფიზიკურად შეუძლებელი იყო. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილესთან

ინტერვიუს შემდეგ ვიგებთ, რომ საელჩოსთან შეთანხმებით უახლოეს მომავალში აპირებენ, რომ საინგილოს მოსახლეობა უზრუნველყონ ქართულენოვანი ლიტერატურით.

საინგილოს რეგიონში მოქმედებს 7 ქართულენოვანი საბავშვო ბაღი, კახის რაიონში 6, ხოლო ბელაქნის რაიონში 1.

ჩვენი აზრით, ხელისუფლებამ და ზოგადად ქართველებმა უნდა ვეცადოთ დავუახლოვდეთ მათ და დავეხმაროთ ქართული ენის შესწავლაში. სხვადასხვა წყაროების გაცნობის შემდეგ ვიგებთ, რომ საქართველოში დავიწყებული აქვთ, რომ არსებობს კუთხე, სადაც ქართველები ცხოვრობენ. თანამედროვე ქართველებმა არ იციან, ეს რომელი კუთხეა. ბევრს, საერთოდ, ჰგონია, რომ საინგილო ტაო-კლარჯეთშია, ამიტომაც ჰერელი ახალგაზრდები ცდილობენ ქართველებთან დაამყარონ ურთიერთობა და მათ თანასოფლელებს, ნათესავებს, ნაცნობებს გააცნონ საქართველოს ისტორია და კულტურა. აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ისტორიულ ძეგლებზე, რომლებიც დავიწყებას მიეცა და განადგურების პირასაა.

*მარია ირემაძე, ირა გელაძე*

## 2016 წლის თურქეთის არშემდგარი სამხედრო გადატრიალება

ჯერ კიდევ ოტომანთა იმპერიის ფუძემდებლის ოსმან I -ის მოღვაწეობიდან მოყოლებული, ოსმალეთის იმპერიაში სამხედრო ნაწილების შექმნას დიდ ყურადღებას უთმობდნენ. სამხედრო ქვეითი ჯარი იაია , 1329 წელს შეიქმნა , იგი წარმოადგენდა სამხედრო მოდელს , რომელიც ოსმალეებმა მონღოლებისგან გადაიღეს. დროთა განმავლობაში განუწყვეტელი დაპყრობითი ომები მოითხოვდა მუდმივი ქვეითი ჯარის შექმნას. ოსმან I-ის ვაჟმა ორჰანმა, შექმნა საყოველთაოდ ცნობილი რეგულარული ქვეითი ჯარი იენიჩარი. საუკუნეების მანძილზე სულთნების განკარგულებების ქვეშ მყოფი მუსლიმური ფანატიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულმა იენიჩარებმა მრავალი წარმატება მოიპოვეს მსოფლიოს ასპარეზზე, თუმცაღა დროთა განმავლობაში რეგულარული ჯარის ბრძოლისუნარიანობა


მნიშვნელოვნად დაეცა, სულთან მაჰმუდ II ბერძენთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს საბოლოოდ დარწმუნდა იენიჩართა უსუსურობაში და განიზრახა ახალი ევროპულ ყაიდაზე აღზრდილი რეგულარული ჯარის შექმნა. 1826 წლის 29 მაისის ბრძანებულებას მეამბოხე იენიჩარებში დიდი აჟიოტაჟი მოყვა. მათ განიზრახეს სულთნის წინააღმდეგ აჯანყება, მაგრამ ეს მცდელობა ამაო აღმოჩნდა. მოსახლეობის მხარდაჭერით მთავრობამ შეძლო, მეამბოხეების ალყაში მოქცევა. მაჰმუდ II-ის ბრძანებით ხელისუფლება დაუნდობლად გაუსწორდა იენიჩარებს, მიწასთან გაასწორეს ყაზარმები, რომლებშიც ისინი თავს აფარებდნენ, დაიწყო მასობრივი რეპრესიები მათი ოჯახის წევრების მიმართაც. საბოლოოდ სულთანმა შეძლო და მისი წინაპრის ორჰანის დაარსებული იენიჩარები ისტორიული ასპარეზიდან გაიყვანა. 20 საუკუნის 20-ანი წლებიდან ოსმალეთის იმპერია ასრულებს თავის მოღვაწეობას და გარდაიქმნება თურქეთის რესპუბლიკად, რომელსაც უმაღლესი პირი პრეზიდენტი მართავს. თურქეთის პირველი პრეზიდენტის მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ განხორციელებულ მრავალ რეფორმათა შორის იყო სამხედროთა რეფორმაც. მისი ბრძანებით თურქეთის რესპუბლიკა გახდა სეკულარული, იგი გამოეყო ისლამს და ევროპულ ყაიდაზე გადავიდა, საუკუნეების მანძილზე ისლამური ფანატიზმით შეპყრობილი და ოსმალეთისთვის თავდადებული არმია გარდაიქმნა დასავლური ტიპის სამხედრო გაერთიანებად, რომელიც ქემალისტური იდეოლოგიის გამტარი გახდა. ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკა თავისი დაბადების დღიდან მოყოლებული მრავალი გამოწვევისა და პრობლემის წინაშე იდგა. მე-20-ე საუკუნის ბოლოსთვის ქვეყანამ 3 სამხედრო გადატრიალება ჩაიწერა აქტივში. თითოეულ გადატრიალებას ჰქონდა ერთი საერთო მიზეზი, ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება, რამაც განაპირობა სამხედროების ჩართვა ქვეყნის მართვის პროცესში. ჩვენთვის ცნობილია ესოდენ დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენა სამხედრო ელიტის, რომელიც კრიტიკულ მომენტში თავის თავზე იღებდა ქვეყნის ჭაობიდან ამოყვანას.

ისტორიული პროცესების მომსწრე გახდა მთელი მსოფლიო 2016 წლის 15 ივლისს თურქეთში დაწყებული მოვლენების მიმართ. 15 ივლისის ღამით ყველასგან მოულოდნელად აქინჯის სამხედრო ბაზიდან, გადატრიალებაში მონაწილე სამხედროებმა გაიტაცეს F-16 თვითმფრინავი, რომელმაც დაბომბვა განახორციელა სახელმწიფო შენობებზე, როგორებიცაა: პარლამენტი, პრეზიდენტის სასახლე, ანკარის სპეცრაზმისა და პოლიციის შტაბები. სამხედრო თვითმფრინავის იერიშს 68 ადამიანი შეეწირა და დაშავდა 200-ზე მეტი. იმავე ღამით მეამბოხეებმა მძევლად აიყვანეს თურქეთის არმიის გენერალი ჰულუსი აქარი, რომელზეც განახორციელეს ფიზიკური ძალადობა. გავრცელებულ ფოტომასალაში ნათლად ჩანს გენერლის ყელზე

ძალადობის კვალი, არსებობს სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყელზე ქამრის მოჭერის გზით გენერალს აიძულებდნენ ხელი მოეწერა „საომარი გადაწყვეტილების ტექსტზე“. მეამბოხეების მიზანი წარუმატებელი აღმოჩნდა, გენერალმა აქარიმ ტექსტს ხელი არ მოაწერა. 16 ივლისის დილას სპეცოპერაციის შედეგად იგი განთავისუფლდა. სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეები მთელი ღამის განმავლობაში ცდილობდნენ პრეზიდენტი რეჯიფ ტაიფ ერდოღანის ხელში ჩაგდებას, რომელიც ამ დროს თავის ოჯახთან ერთად შვებულებს ატარებდა თურქეთის კურორტ მარმარისზე.

საინტერესოა ერთი ფაქტი, მოვლენების დაწყებიდან გარკვეული დროის განმავლობაში თურქეთის სახელმწიფო დაზვერვა (MIT - Millî İstihbarat Teşkilatı) ვერ უკავშირდებოდა პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, როგორც ცნობილია მათი ტელეფონები გამორთული იყო, ასეთ ვითარებაში მეამბოხე სამხედროებს გზა ჰქონდათ გახსნილი, რაც შეიძლებოდა სწარაფად დაეკავებინათ სტრატეგიული ობიექტები, მართალია მათ მოახერხეს ათათურქის აეროპორტისა და რამდენიმე ტელევიზიის შტურმით ალება,

რომლებიდანაც ისინი ირწმუნებოდნენ, რომ მთავრობის წევრები აყვანილი ჰყავდათ, თუმცა ამის პარალელურად ინფორმაციის მიღების შემდეგ პრეზიდენტი სტამბოლში გაფრინდა და იქედან სახელმწიფო არხის პირდაპირ ეთერში, სტამბოლისა და მთელი თურქეთის მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლისკენ და მხარდაჭერისკენ მოუწოდა.



პირდაპირ ეთერში ერდოღანის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ფსიქოლოგიურად შეცვალა სიტუაცია. თურქი და უცხოელი პოლიტიკოსები აღიარებენ რომ სამხედრო გადატრიალების ორგანიზება მაღალ დონეზე იყო დაგეგმილი და მას საბედისწერო შედეგი არ უნდა მოყოლოდა მონაწილე სამხედროებისთვის, თუმცა რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. როგორც უკვე აღვნიშნე პრეზიდენტის სტამბოლში ჩაფრენამდე მეამბოხეებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ სატელეკომუნიკაციო სისტემებზე ძალაუფლების ალება, ამით პრეზიდენტსა და მთავრობის წევრებს არ ექნებოდათ საშუალება პირდაპირ ეთერში გაეკეთებინათ გადაწყვეტი განცხადებები. ყველა გათვლებით სამხედრო გადატრიალება სამხედროების გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ერდოღანმა შეძლო და თითქმის წაგებული თამაში მის სასიკეთოდ შემოატრიალა.

რა იყო არშემდგარი სამხედრო გადატრიალების მიზეზი? როგორც უკვე აღვნიშნე, პრეზიდენტმა ერდოღანმა შეძლო შეეცვალა შექმნილი ვითარება. თავის



მიმართვაში მან თურქეთის

მოსახლეობას სთხოვა ქუჩებში გამოსულიყვნენ და სუვერენულ მთავრობას გვერდში დადგომოდნენ. შედეგმა არ დააყოვნა თურქეთის ყველა დიდ ქალაქში ელვის სისწრაფით ათასობით მამაკაცი გამოვიდა, რომლებიც შიშველი ხელებით იცავდნენ ქვეყანას. მასობრივი არეულობა მთელი ღამის მანძილზე გაგრძელდა. 2016 წლის ივლისის თვეში სასწავლო მიწვევით ვიმყოფებოდი თურქეთის ქალაქ ერზურუმში, ათათურქის უნივერსიტეტში, მართალია სტამბოლისგან განსხვავებით აქ სისხლიანი შეტაკებები არ მომხდარა, თუმცა ვითარება ძალიან დამაბული იყო. დაწყების მომენტიდან თვალს ვადევნებდი განვითარებულ მოვლენებს, მეორე დილას კი უნივერსიტეტის მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად მაინც გავედი ქალქის ცენტრში და ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ალბათ ერზურუმის ყველა მცხოვრები განურჩევლად ასაკისა თუ სქესისა რესპუბლიკის გამზირზე იყო გამოსული, ისინი სახელმწიფო ორგანოების შენობებთან ხელისუფლების წევრებს ოვაციებით, ხმამაღალი შეძახილებით და გამამხნეველი სიტყვებით ესალმებოდნენ. ქალაქის ქუჩებში პრეზიდენტი ერდოღანისადმი მიძღვნილი სიმღერები ისმოდა. სკოლის დაწყებითი კლასის ბავშვები არნახული პატრიოტიზმით შლიდნენ პლაკატებს და სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეებს მტრებად მოიხსენიებდნენ.

ერდოღანის „სამართლიანობისა და განვითარების პარტიას“ (AKP) ანატოლიაში, რომელიც ქვეყნის 97%-ს შეადგენს საკმაოდ დიდი ელექტორატი ჰყავს, განსხვავებით ევროპული ნაწილისა, რომელიც რუმელიაში მდებარეობს. (ამის ბოლო მაგალითი



სტამბოლის მერი გახლავთ ოპოზიციური პარტიიდან, რომელიც ქალაქს 2019 წლიდან მართავს). პრეზიდენტი ერდოღანი პოპულარულია ანატოლიაში, რადგან ბოლო წლებში მის მიერ გაკეთებული განცხადებები პანთურქიზმისა და ისლამური სახალიფოს აღდგენის შესახებ ამ რეგიონში მცხოვრები მოქალაქეებისთვის მისაღებია, მათი ყოველდღიური ჩაცმულობის სტილი თუ ვიზუალი ბევრად არის აცდენილი იმ ღირებულებებს, რომელიც ათათურქმა საუკუნის წინ „ლაიციზმის“ რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნით დაამკვიდრა თურქულ პოლიტიკაში.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობა თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს სულთან მაჰმუდ II-ის დროს მომხდარი აჯანყების სურათს. ფაქტი ერთია ორივე შემთხვევაში, რომ არა მოსახლეობის ერთსულოვანი მხარდაჭერა ხელისუფლების მიმართ ყველაფერი სხვანაირად წარმართებოდა. მარტივი მისახვედრია, რომ თუკი სამხედროებს ზურგს ადგილობრივი მოსახლეობა არ უმაგრებს, ყველაფერი განწირულია. დანარჩენი გადატრიალებებისგან განსხვავებით 2016 წლის მცდელობამ აჩვენა რომ თუკი 1960, 1971, 1980 წლებში, ქვეყანაში მძიმე ეკონომიკურ-პოლიტიკური შედეგებით იყო გამოწვეული სამხედრო გადატრიალებები, რასაც ვერ ვიტყვით ბოლო ფაქტზე. მოსახლეობამ ირიბად, მაგრამ ძალიან ხმამაღლა განაცხადა, რომ მათ მოსწონთ დღევანდელი თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური დინამიკა.


ფეთჰულა გიულენისა და რეჯივ თაიფ ერდოღანის დაპირსპირება - 15 ივლისის მოვლენებიდან ძალიან მალევე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქვეყანაში არსებულ მიმდინარე კრიზისში ლომის წვლილი 1999 წლიდან თურქეთიდან „თვითგადასახლებაში“ მყოფ სასულიერო და საზოგადო მოღვაწეს ფეთჰულა გიულენს მიუძღვოდა. ერთ დროს პრეზიდენტ ერდოღანის სულიერი მასწავლებელი და მისი პოლიტიკური იდეების გამზიარებელი, დღეს თურქეთის რესპუბლიკაში ნომერ პირველ მტრად არის გამოცხადებული, გიულენის ორგანიზაცია სახელწოდებით „ჰიზმეთი“ და ამ ორგანიზაციის წევრები მუდმივი დევნისა და დაპატიმრებების მსხვერპლნი არიან. თურქეთის ხელისუფლებამ ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციას უწოდა „FETÖ“ (Fethullahçı Terör Örgütü) და

ტერორისტულ ორგანიზაციად შერაცხა. ფეთქულა გიულენის სახელით დღეს მსოფლიოს მასშტაბით 150-მდე სასწავლო ცენტრები და სკოლები ფუნქციონირებს. დაფინანსების წყაროების შესახებ არაფერია ცნობილი, ასევე უცნობია ზუსტი რაოდენობა ამ ორგანიზაციებში მომუშავე პირების. 2016 წლის შემდეგ გიულენის მომხრეების მიმართ დევნა თურქეთის ტერიტორიას გასცდა და გერმანიაშიც იჩინა თავი. 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შესახებ აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი მიხეილ სვანიძე ძალიან საინტერესო მომენტს აღნიშნავს : „ თურქეთს ძალზე დიდი სამხედრო-სტატეგიული მნიშვნელობა აქვს და ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული იყო თურქეთში სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებით.თურქეთი ნატოს წევრია და მჭიდროდ თანამშრომლობს მასთან. თურქეთის უმაღლესმა სარდლობამ, არ არის გამორიცხული, რომ აშშ-ს რჩევით, გადაწყვიტა მოეწყო სახელმწიფო გატარიალება და ხელში აეღო ძალაუფლება“. ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ ეს თეორია 2016 წლის არშემდგარი სამხედრო გადატრიალების კვლევისას, რადგან ცნობილია რომ პრეზიდენტსა და სამხედროებს შორის წლებთან ერთად შიდა დაძაბულობა მატულობდა, ამას დამატებული თანამდებობებიდან გაშვებული ძალიან ბევრი სამხედრო მოხელე. ძალიან ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ დღევანდელი თურქეთის არმია აცდენილია ქემალისტურ იდეოლოგიას და ნელი ნაბიჯებით მიიწევს პანთურქიზმისკენ. ფაქტი ერთია, პრობლემა რომ არ არსებობდეს სახელმწიფოსა და სამხედროებს შორის 2016 წლის მოვლენა არ მოხდებოდა. პრეზიდენტი ერდოღანი უკვე მრავალი წელია ტრიბუნიდან მოუწოდებს აშშ-ს, რომ გადმოსცეს გიულენი შტატებმა თურქეთს, მაგრამ ამაოდ. დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებიდან ძალიან მალე, ერდოღანმა მოსთხოვა ტრამპს გიულენის ექსტრადაცია, რაზეც ტრამპა უპასუხა, რომ თურქი სასულიერო პირის ფეთქულა გიულენის ექსტრადაცია არ განიხილება. ამ პოზიციის გამტარია ბაიდენის ადმინისტრაციაც, ალბათ გიულენის საკითხი ერდოღანისთვის უკვე წყლისნაყვას წარმოადგენს, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები თავის პოზიციას თითქმის არასდროს იცვლის. თავად სასულიერო პირი უარყოფს რაიმე ტიპის ჩარევას გადატრიალებაში. მეტიც, ის ამბობს, რომ ერდოღანმა ეს ყველაფერი თავად მოაწყო „დიქტატურის ასაგებად“ („ to build a dictatorship“), რასაც თავის მხრივ ერდოღანიც, თურქეთის ოპოზიციაც და სახელმწიფო დაზვერვაც უარყოფენ. აღსანიშნავია ერთი დეტალი, რატომ ადანაშაულებს პრეზიდენტი ყველაფრის მოწყობაში გიულენს, როდესაც დაზვერვის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ წარუმატებელ გადატრიალებამდე რამდენიმე თვით ადრე ქვეყნის ჯამშუმურმა სააგენტომ გაშიფრა გიულენისტების მიერ გაგზავნილი მილიონობით საექვო გზავნილი, თუმცა შეთქმულების შესახებ არ იყო არაფერი ნათქვამი.



გაზეთ Economist-ის ვრცელ სტატიაში აღნიშნულია, რომ „ფეთქულა გიულენის მოზრაობა, რომელიც წარსულში ერდოლანთან ერთად მოქმედებდა, ისევეა პასუხისმგებელი, როგორც რეჟიფ თაიფ ერდოლანი თურქეთში დემოკრატიის ჩამორჩენაში“. 2016 წლის 15 ივლისიდან დღემდე, 2016 წლის ზაფხულის შემდგომ, ერდოლანი კვლავ განაგრძობს დაკავებებს, ე.წ „წმენდა“ ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურების ყველა დონეზე, სამხედრო პირებით დაწყებული, სკოლის მასწავლებლებით დამთავრებული. გადატრიალების მცდელობის შემდგომ დაახლოებით 600 000 ადამიანის საქმე იქნა გამოძიებული, აქედან 100 000 დააკავეს. გამოითქვა ეჭვი, რომ წამების შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. სასამართლომ 337 ადამიანს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მათ შორის არიან გადატრიალების მცდელობაში მონაწილე მაღალჩინოსანი სამხედროები მეჭმედ ფართიგოჩი და ჯემილ თურჰანი. სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა პენსილვანიაში მცხოვრებ ფეთქულა გიულენსაც. ამ ამბებიდან მალე 6 წელი შესრულდება, გამოძიება და დაკავებები ისევ გრძელდება. ძნელია ითქვას რა იქნება მომავალში, სამომავლო პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება დაგვანახებს რა პერსპექტივები გააჩნია თურქეთის რესპუბლიკას საშინაო თუ საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე.

*ქეთა მამულაშვილი*



# პოლიტიკა

## ნაქბა და პალესტინელი ბავშვების ტრაგედია

„ომის ყველაზე დიდი საშინელება  
ტრაგიკული ისტორიების  
ჩვეულებრივ მოვლენებად ქცევაა.“

ხალიდ ხალიფა<sup>1</sup>

(„სიკვდილი მძიმე შრომა“, 2016)

„საიდან ხარ?“ ეს ერთი, უბრალო შეკითხვაა, რომელზე პასუხის გაცემაც იოლია. იოლია ბევრი ჩვენგანისათვის, თუმცა ამ შეკითხვის მიღმა ბევრი ერის ტრაგიკული ისტორია იმალება. სახლი, ჩვენთვის ასოცირდება სიმშვიდესთან, კომფორტთან და სითბოსთან, მაგრამ რა უნდა ვქნათ თუ არ გვაქვს სახლი, რომელსაც დავტოვებთ და რომელშიც დავბუნდებით? რა უნდა ვქნათ, თუ ჩვენი სახლი არ არის ჩვენი სახლი და იძულებით ვაფარებთ მას თავს? როდესაც იძულებულნი ვართ, რომ საკუთარი მშობლიური მიწა და ფესვები მივატოვოთ და თავი მშვიდობას შევაფაროთ?



საქართველოს უახლესი ისტორიიდან გამომდინარე, ეს გრძნობა ჩვენთვისაც ნაცნობია. ნაცნობია აფხაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს ომებიდან გამომდინარე. გამოცდილება ყოველთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან იყო მძიმე ომის მომსწრე ნიშნავს იმას, რომ შეგიძლია ზუსტად გაიგო სხვისი ტრაგედიის სიმძიმე, თუმცა მეორეა ამ ტრაგედიებს შეხედო როგორც ამბებს, რომლებიც შენთვის მეტად უცხო და უჩვეულოა.

ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ამ კონფლიქტის მიღმა კი ბევრი მიზეზი იმალება, ეს დავა დღემდე გადაუჭრელ საკითხს წარმოადგენს. დღეს, პალესტინის ტერიტორიის 78% ისრაელს აქვს ოკუპირებული, მათ შორის არის მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო და ლაზას სექტორი.

დღეს, პალესტინის ტერიტორიაზე მოსახლე 4.8 მილიონი პალესტინელიდან, 2.3 მილიონი არის ბავშვი, რომელთაგან 1.3 მილიონი დასავლეთ სანაპიროზე, ხოლო ერთი მილიონი ლაზას სექტორში ცხოვრობს. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ (1989)

მიხედვით, ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის, განათლების, დაცვისა და მონაწილეობის უფლება. ეს სტანდარტი მთელი მსოფლიოსთვის საერთოა, თუმცა, რასაკვირველია, არსებობს გამონაკლისები. სწორედ ასეთი გამონაკლისია დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორში მცხოვრები პალესტინელი ბავშვების ყოფა. ყოფა, რომელშიც საერთაშორისო სტანდარტები სრულიად დათრგუნულია და ბავშვთა ცხოვრება განსხვავებულ კალაპოტში მიედინება.

დღეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას (UNICEF) აქვს ხუთი, ძირითადი მიზანი, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს პალესტინელ ბავშვთა რეალობის გაუმჯობესებას:

- ყველა ბავშვს აქვს უფლება, იცხოვროს ბედნიერ გარემოში;
- ყველა ბავშვს აქვს სრულფასოვანი განათლების მიღების უფლება;
- ყველა ბავშვი უნდა იყოს დაცული ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან;
- ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს თანაბარი სიცოცხლის უფლება;
- ყველა ბავშვს აქვს სუფთა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტმა მრავალი ბავშვის სიცოცხლე შეიწირა, მრავალი ბავშვი კი სახლის გარეშე დატოვა. იყო ბავშვი და ხედავდე ომის საშინელ შედეგებს, ხედავდე ნგრევას, სისხლსა და აგრესიას ნიშნავს იმას, რომ იყო ტრავმირებული სიცოცხლის ბოლომდე. ეს ტრავმები კი ბავშვებში, ხშირ შემთხვევაში, მძიმე ფსიქოლოგიური ფონით გამოიხატება. ეს შეიძლება იყოს გამუდმებული შფოთვა, კანკალი, შიში, უძილობა და ა.შ...

ომის მძიმე ეკონომიკურ-სოციალური შედეგი ბავშვებზე მძაფრად ისახება. პალესტინელ ბავშვს არ აქვს სახლი, მისი სახლი კარავია. პალესტინელი ბავშვი არის ომისა და შემდეგ, ოკუპაციის მოწმე. ამას ემატება უკიდურესი სიდუხჭირე, რომლის ნაწილიც ბავშვები არიან. 2012 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 27% დაუსაქმებელია, დაუსაქმებელია, ხოლო პალესტინელების 26% უკიდურესი სიღარიბის ზღვარზეა. პალესტინელ ბავშვთა 50% - ზე მეტს აქვს შეუფერებელი სამედიცინო დახმარება. ბავშვთა 42% აქვს ერთ სახეობაზე მეტი თანდაყოლილი დაავადება, ხოლო 19% უნარშეზღუდულია.

ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლისა და განათლების მიღების უფლება. პალესტინელ ბავშვთა მხოლოდ 70% დადის დაწყებით სკოლაში. ის ბავშვები, რომლებიც ლტოლვითა ბანაკებში ცხოვრობენ ან იმ სოფლებში, სადაც სკოლა ფიზიკურად არ არსებობს, რჩებიან განათლების გარეშე. სკოლის მოქმედ მოსწავლე და მასწავლებელთა სიცოცხლეები, დასავლეთ სანაპიროზე საფრთხის ქვეშ დგას.

საკლასო ოთახებში, მოსწავლეები ხდებიან ძალადობრივი დისციპლინის მსხვერპლნი. მოსწავლეთა დაახლოებით 61% - ს ძალადობა საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. ეს მაშინ, როდესაც საკლასო ოთახები მოსწავლეთათვის უნდა იყოს კონფლიქტისაგან თავშესაფარი, სადაც შესაძლებელია სწავლა და აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, უნდა აღინიშნოს არსებული განათლების დონეც, რომელიც საკმაოდ დაბალია. 2013 წლის მონაცემებით, ღაზას სექტორში 123 000 მოსწავლემ სწავლა შეწყვიტა. პალესტინელი ბავშვების 22% ხუთ წლამდეც კი ვერ აღწევს.

ბავშვები, ფაქტობრივად, ყველაზე დაუცველი ფენაა პალესტინურ საზოგადოებაში. მათ ელემენტარული უფლებებიც კი, როგორცაა თავისუფალი გადაადგილება, შეზღუდული აქვთ. ბავშვები ხშირად კარგავენ თავიანთ მეგობრებს სწორედ ამ საზარელი მდგომარეობის გამო.



მოსახლეობის სწრაფი ზრდა და სუსტი რესურსები იწვევს ძალიან ბევრ პრობლემას. წყლის რესურსები ძალიან შეზღუდულია, რაც იწვევს ჰიგიენის ნაკლებობას და ეს ყველაფერი ერთად კი, მძიმე დაავადებებს. ღაზას სექტორში არსებული წყლის 95% გამოუყენებადია, რადგან საკმაოდ დაბინძურებულია. მოსახლეობის მხოლოდ 10% აქვს პირდაპირი წვდომა სუფთა და უსაფრთხო დასალევ წყალზე. ეს ფაქტი კი ძალიან მძიმედ აისახება ახალშობილებსა და ბავშვებზე. ახალშობილთა მხოლოდ 40% იკვებება ბუნებრივი საკვებით.

უნდა აღინიშნოს ბავშვთა ადრეულ ასაკში ქორწინება და დისკრიმინაცია. მიუხედავად იმისა, რომ დასაქორწინებელი ასაკის ქვედა ზღვარი 18 წელია, ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც გოგონებს 15 წლამდეც კი ათხოვებენ. ადრეული ქორწინება და ადრეული ფეხმძიმობა ფატალური შედეგის მომტანი შეიძლება იყოს, რადგან 15 წლის გოგონები თავად არიან ბავშვები. რაც შეეხება დისკრიმინაციას, ხშირად მისი მსხვერპლნი მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები ხდებიან, რომელთათვისაც უდიერად მოპყრობა ჩვეული მოვლენაა.

ეს არის ომის ის მძიმე შედეგები, რომელსაც პალესტინა და პალესტინელები დღემდე იმკიან, თუმცა ყველაფერს თავისი ორი მხარე აქვს. ყოველდღიურად, პალესტინელი ბავშვების გარკვეული რაოდენობა ავლენს სწავლის მიმართ მძაფრ

სურვილსა და მისწრაფებას, რათა შეიქმნან უკეთესი მომავალი. სწორედ ასეთი დამოკიდებულებასა და ხედვას შეუძლია საზოგადოებაში გარკვეული პრობლემების აღმოფხვრა და მომავალში უფრო მშვიდობიანი და ნათელი თაობის ჩამოყალიბება.

*მარიამ ჭიჭიკოშვილი, ელენე კუკავა*

## ირანის ბირთვული პროგრამის ისტორია

საერთაშორისო დღის წესრიგის რადიკალური ცვლილებების გამო, დღითიდღე უფრო და უფრო აქტუალური ხდება ირანის ირგვლივ არსებული საკითხები. ირანის სამომავლო პერსპექტივებზე უდიდესი ზეგავლენა იქონია ბირთვულმა პროგრამამ, რომელიც მჭიდრო კავშირშია მის ისტორიულ წარსულთან და თანამედროვეობასთან. ირანის ბირთვული პროგრამის ისტორია გვაჩვენებს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ბრძოლას ზეგავლენისა და უსაფრთხოებისთვის ახლო აღმოსავლეთში მდებარე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარ სახელმწიფოში. ირანის ისტორიაში ერთმანეთს ენაცვლება დაპირისპირებისა და დიპლომატიური კავშირების ხანგრძლივი პერიოდი, სადაც ბრძოლის ესტაფეტად ყოველთვის გვევლინებოდა დასავლური და აღმოსავლური ფასეულობები.

### ირანის ბირთვული პროგრამა წინაპირობები და ისტორია

ირანის ბირთვული პროგრამის, როგორც იდეის ჩამოყალიბებაზე, ხოლო შემდგომ განხორციელებაზე საუბარი 1950-იანი წლებიდან შეიძლება. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. თუმცა სანამ უშუალოდ ამ ფაქტზე ვისაუბრებ, საინტერესოა წინაპირობები, რითაც შესაძლებლობა მოგვეცემა ავხსნათ რიგი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მართებულობა. ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელების წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს 1953 წლის სამხედრო გადატრიალება. პოლიტიკურად დატვირთული 1953წელი ირანის ისტორიაში ჩაიწერა როგორც ეტაპი, რომელმაც ქვეყანის მართვის კურსი დასავლურ ორბიტას მოარგო. სამხედრო გადატრიალება, რომელშიც დიდი წვლილი ამერიკისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა შეიტანეს ირანის პრემიერ მინისტრ მოჰამედ მოსადეყის დაკავებით დასრულდა. (History.com Editors, 2009) ქვეყნის მმართველობა აიღო შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმა. პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით

შაჰის რეჟიმი პროდასავლური იყო. ჩვეულებრივ ეს გამოიხატა კიდევ ირანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რამეთუ „დასავლურ ქცევებზე“ (ალკოჰოლის მოხმარება, ქალებზე მოკლე კაზის ჩაცმა...) (Suzanne & Razipour, 2019) თვალს ხუჭავდნენ, სამაგიეროდ გატარებული მმართველობის შემდგომ ირანმა მიიღო „იარაღი“ ,რომელმაც მას საშუალება მისცა შემდგომში ხმამაღლა ესაუბრა ბირთვულ იარაღსა და რეგიონში ჰეგემონობის მოპოვებაზე. 1967 წელს ირანის შაჰმა ამერიკისგან მიიღო 5 მეგავატის სიმძლავრის ატომური რეაქტორი, რომლის მშენებლობაშიც ირანს ეტაპობრივად დაეხმარა საფრანგეთი და გერმანია. ირანმა სწრაფად შეძლო დაუფლებოდა ახალ ტექნოლოგიებს და დაიწყო კიდევ მისი ბუნებრივი რესურსების გამოყენება, რათა ბირთვული პროგრამა სრულყოფაში მოეყვანა. თუმცა ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ აშკარა იყო შაჰის მმართველობის დროს ეკონომიკური წინსვლა, მას თან ახლდა სირთულეები: ბიუროკრატის კორუმპირებულობა, რეპრესიები, ტრადიციონისტური ტრადიციონისტური უმრავლესობის გაღიზიანება. ფაქტობრივად, საფუძველი მზადდებოდა წყობილების შეცვლისთვის. (Filkins, 2020) შემდგომი ეტაპი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ირანის ბირთვული პროგრამის განვითარებაზე იყო 1979 წლის ისლამური რევოლუცია. მან შეცვალა ქვეყნის გეოპოლიტიკური პრიორიტეტები. ისლამური რევოლუციას, როგორც ისტორიკოსები უწოდებენ „ნამდვილ რევოლუციას“ მოჰყვა პოლიტიკური და სოციალურ ეკონომიკური სისტემის სრული შეცვლა. (Homan, 1980) დაამხეს შაჰის რეჟიმი, რომელიც საზღვარგარეთ „გაიქცა“ და ქვეყნის მართვა უმაღლესი რანგის პოლიტიკურმა და რელიგიურმა მოღვაწემ - რაჰბარმა ჩაიბარა. შემდგომ მოვლენებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს არანაკლები რეპრესიები და პროდასავლური კურსის შეცვლა. ფაქტობრივად, ირანი იქცა ჩაკეტილ სახელმწიფოდ, სადაც პროცესებზე დაკვირვება საკმაოდ რთული გახდა. გაჩნდა საშიშროება ტერორისტული ორგანიზაციებისთვის იარაღის გადაცემის, ბირთვული პროგრამის სრულყოფის შემთხვევაში იარაღის არაკეთილსინდისიერად გამოყენების და ა.შ. მაშინ როდესაც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას ხელი ჯერ კიდევ 1968 წელს მოეწერა, რატიფიცირებიდან (1970) 9 წლის შემდგომ სახელმწიფო ინტერესები რადიკალურად შეიცვალა და ეს ყველაფერი დაუფარავად. რაც შეეხება უახლეს ისტორიას. (K.Kerr, 2021 ) ირანი დღესდღეობით ცდილობს ითამაშოს რეგიონში ერთ-ერთი ლიდერის როლი და ამის საფუძველი უნდა ითქვას, რომ აქვს. მას ხელს უწყობს, როგორც ტერიტორია, ასევე ბუნებრივი რესურსები- ნავთობი, გაზი, ურანი, მოსახლეობის უმრავლესობა საკმაოდ კარგ განათლებას ფლობს (საუბარია ე.წ.მესამე თაობაზე) და მთავარი აქვს სამხედრო პოტენციალი. (გაჩეჩილაძე, 2011) რაც შეეხება უმუშაოდ ირანის ბირთვულ პროგრამას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

თარიღი ირანის ბირთვული სრულყოფისკენ მიმავალ გზაზე იყო 2011 წლის 12 სექტემბერი, როდესაც ოფიციალურად გაიხსნა ირანის პირველი ბირთვულის ატომური ელექტროსადგური ბუშეჰრის I რეაქტორი. მისი მშენებლობა ჯერ კიდევ 1995 წელს დაიწყო რუსეთის სამთავრობო სააგენტო Rosatom-ის ძირითადი დახმარებით. ("Iran sees Bushehr plant at full capacity in one year". , 2007)

ბირთვული პროგრამის გააქტიურებამ ცხადყო, რომ ირანის მომძლავრებულ სურვილს, იყოს ჰეგემონი და ჰქონდეს სახელი ბირთვული სახელმწიფოსა, რა თქმა უნდა, ბევრი დიდი და პოლიტიკური ამინდის შემქნელი სახელმწიფო არ დაუშვებდა. მათგან აღსანიშნავია ცივი ომის მთავარი შემოქმედი ორი სახელმწიფო აშშ-სსრკ (დღევანდელი რუსეთი) და ისრაელი. საუბარს ამ უკანასკნელით დავიწყებთ. ორ სახელმწიფო ერთმანეთს არ ესაზღვრება, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ ტერიტორიული დავა მათ შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია. მთავარი პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: ისრაელს, რა თქმა უნდა, არ სურს რეგიონში მეორე ბირთვული სახელმწიფოს არსებობა, განსაკუთრებით ირანის სახით, რამეთუ ამით საფრთხე ექმნება თვით ისრაელს. რეგიონში მეორე ბირთვული სახელმწიფო ირანის ბირთვულ უპირატესობას გააბათილებს და მას მოწყვლადს გახდის, რაც სრულებით არ არის მის სახელმწიფოებრივ ინტერესებში. აქედან გამომდინარე, ისრაელი დიპლომატიური ხელრხებით ცდილობს, მსოფლიოს ყურადღება ირანისკენ მიმართოს, რათა შეაჩეროს მისი ასეთი სწრაფვა ბირთვული შეიარაღებისკენ. ( Knell, 2021) რაც შეეხება, ირანისა და რუსეთის ურთიერთობას, მათ საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვთ, თავისი თბილ-ცივი ურთიერთობებით. მთავარი რაც შეიძლება გამოიყოს არის ის, რომ ამ ორი სახელმწიფოს ისტორიაში ერთმანეთს ენაცვლება შიშისა და კეთილგანწყობის პერიოდები. თავდაპირველად ირანის პროდასავლური ხედვები რუსეთს სახიფათოდ მიაჩნდა, თავის მხრივ ირანს კომუნისტური სსრკ

აშინებდა, რამეთუ ცნობილი ფაქტია, რომ 1945-46 წლებში სტალინს გეგმაც კი ჰქონდა ირანის დაყოფისა. თუმცა 1980-იანი წლებიდან ვითარება შეიცვალა და შეიძლება ითქვას ირანისთვის დღესდღეობით ყველაზე მისაღები მეზობელი სწორედ რუსეთის ფედერაცია არის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მე-20 საუკუნის ბოლოდან რუსეთმა გაზარდა ეკონომიკური თანამშრომლობა ირანთან, მათ შორის ბირთვული ენერჯეტიკის განვითარებაში, სამხედრო დანიშნულების





საქონლით ვაჭრობაში.რუსეთი ირანს აწვდის S-300 მოდელის ჰაერ და რაკეტაწინააღმდეგო სისტემებს. 1995 წელს რუსეთმა ირანში დაიწყო ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა,რამაც ისრაელი და აშშ შეაშფოთა. ორ სახელმწიფოს შორის არსებობს კონტრაქტი ბირთვულ ნარჩენებთან დაკავშირებით,რომლის მიხედვითაც რუსეთი ვალდებულია ბირთვული ნარჩენები ბუმბუკის ატომური ელექტროსადგურიდან რუსეთშივე გაიტანოს. (Vatanka, თ. გ.) ამერიკა ირანის ისტორიაში ერთ-ერთ ცენტრარულ ადგილს იკავებს. 1950 წლის რევოლუციის შემდგომ აშშ-ს გავლენა ირანში ფაქტობრივად ნულის ტოლი იყო. 1980 წლის 7 აპრილს აშშ-მ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა,რასაც.1995 წლიდან ეკონომიკური სანქციები მოჰყვა დღემდე. ირან-აშშ-ს დამაბულ და ბუნდოვან ურთიერთობაში აღსანიშნავია პრეზიდენტ ბუშის დოქტრინა,რომლის მიხედვითაც ირანი „ბოროტების ღერძის“ სახელმწიფო გახლდათ. იგი ადანაშაულებდა ირანს მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებისკენ სწრაფვის გამო.მიუხედავად იმისა,რომ ირანი არ მალავდა მისი პროგრამის სრულყოფისკენ სწრაფვას. ახორციელებდა ბირთვული ენერგეტიკის პროგრამას და აცხადებდა,რომ მას მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათი ექნებოდა.

#### **თანამედროვე მოვლენები: ვენის მოლაპარაკებების მიმდინარეობა**

2015 წელს ქალაქ ვენაში ხელი მოეწერა Joint Comprehensive Plan of Action (JCPOA)-ს, ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ. ხელშეკრულება გარკვეულ შეზღუდვებს უწესებდა ირანს ბირთვულ პროგრამასთან მიმართებაში, ხოლო დანარჩენი ხელმომწერი ქვეყნები კი ვალდებულბას იღებდნენ ირანზე ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული სანქციები მოეხსნათ (Robinson 2018). 2018 წლის 9 მაისს აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საჯაროდ გამოაცხადა გადაწყვეტილება, გამოსულიყო ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმიდან - JCPOA, რასაც დიდი აღშფოთება მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. შეგვიძლია ვთქათ, რომ ამ ნაბიჯს მხოლოდ ორი სახელმწიფო - ისრაელი და საუდის არაბეთი მიესალმნენ. მკვლევარებმა კი მიუთითეს ტრამპის გადაწყვეტილების დამლუპველ შედეგებზე, რადგანაც ეს ნიშნავდა Pacta sunt servanda-ს ძირითადი პრინციპის დარღვევას (Zaidi 2018).



დღესდღეობით, ამერიკის შეერთებული შტატები და ირანი ცდილობდნენ 2015 წლის ბირთვული შეთანხმების აღდგენას და ვენაში მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ორი სახელმწიფო ჩიხში რჩება და იზრდება შეშფოთება იმის გამო, რომ დრო იწურება. მოლაპარაკებები უკვე 10 თვეა მიმდინარეობს, თუმცა უშედეგოდ. ირანის მთავარმა ბირთვულმა მომლაპარაკებელმა ალი ბაგერი კანიმ განაცხადა, რომ ირანმა ევროპელებს ორი პროექტი გადასცა, ერთი სანქციების მოხსნაზე და მეორე ბირთვული შეზღუდვების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ წინამორბედ პრეზიდენტს ჰასან როჰანს გაცილებით ზომიერი განცხადებები ჰქონდა, ვიდრე დღეს პრეზიდენტ აბრაჰამ რაისს. მიუხედავად ამისა, ირანის ახალმა მთავრობამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა გააგრძელოს მოლაპარაკებები და აგრძელებს წინა მთავრობის გზას (Ali Vaez 2021).

ორივე ქვეყნისთვის ამ უთანხმოებამ შეიძლება მოიტანოს დამღუპველი შედეგები და დაზარალებს მთელ ახლო აღმოსავლეთსაც. ირანის ინტერესებს კარგად ასახავს პრეზიდენტ აბრაჰამ რაისის სიტყვით გამოსვლას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. მან განაცხადა, რომ აშშ-ს არასაიმედო პარტნიორად მიიჩნევს. - ”ჩვენ არ ვენდობით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დაპირებებს“. შესაბამისად, ნათელია, რომ ირანი თავს დაზარალებულ მხარედ თვლის და ფიქრობს, რომ ამჯერად დრო მის მხარეზეა. მიუხედავად ვაშინგტონის საქნციებისა, ირანის ეკონომიკამ გადარჩენა მოახერხა და ირანის მხარე აცხადებს, რომ მათ აქვთ ბერკეტები და მეტ დათმობას მოელიან დასავლეთისგან (Ali Vaez 2021).

აბრაჰამ რაისმა განაცხადა, ისიც რომ ირანს სურს პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა დანარჩენ მსოფლიოსთან. მან არაერთხელ მიუთითა მულტიპოლარული სამყაროს ჩამოყალიბებისა და აშშ-ს ჰეგემონობის დაკნინების შესახებ. ეს ყველაფერი შეიძლება იყოს შეტყობინება ირანის პოზიციის შესახებ. რეისმა გამოსვლისას ნათლად თქვა, რომ თვლის, რომ რეგიონალური ძალთა ბალანსი თეირანის სასარგებლოდ იხრება. ირანი გრძნობს უპირატესობას რეგიონალურ ძალთა ბალანსში - ავღანეთში თალიბების ტრიუმფის და ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე გრძელი ომის ქაოტური შეწყვეტის შემდეგ (Nasr 2022). მას მიაჩნია, რომ აზიური ძალები იზრდებიან ვაშინგტონის ხარჯზე და რომ ჩინეთი და რუსეთი არ იზიარებენ აშშ-ს ინტერესებს ირანის შეკავებისა და მისი ეკონომიკის ჩახშობაში. სულ მცირე, ირანი იმედოვნებს, რომ ბირთვული მოლაპარაკებების დროს რუსეთისა და ჩინეთის პოლიტიკურ მხარდაჭერას მოიპოვებს. ამას უკავშირდება ირანის სურვილიც გაწერვიანდეს SCO-ში (შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია), რაც დიდ უპირატესობას მისცემს მას. როგორც გაეროს სიტყვით გამოსვლას აღნიშნა რაისმა, ირანი მთელი სანქციების ერთობლივად მოხსნას ითხოვს (Yazdanshenas 2021). ე.წ. “დადანაშაულების თამაში“ გრძელდება მოლაპარაკებებისას და ორივე მხარე ერთმანეთს აბრალებს მოლაპარაკებების გაჭირნაურებას. ისრაელმა, რომელიც არ არის მოლაპარაკებების მონაწილე, თქვა, რომ მის დასავლელ მოკავშირეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ირანი აჩერებს მოლაპარაკებებს, რადგან ის აგრძელებს ბირთვული პროგრამის განვითარებას. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გაჭირნაურებული ბირთვული დიპლომატია აძლიერებს თეირანის თვითმნიშვნელოვნების გრძნობას და საერთაშორისო ყურადღების მოპყრობასაც ახერხებს (Pamuk 2021).

მკლევართა ნაწილის მიხედვით, ირანს არ აქვს გადაწყვეტილი ბირთვული იარაღის წარმოება. სამაგიეროდ, თეირანს სურს მომავალში იარაღის შექმნის შესაძლებლობა ჰქონდეს, რაც მას. ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად სჭირდება. ეს ბირთვულ ენაზე ცნობილია, როგორც a hedging strategy. ამის მტკიცებულებად შეგვიძლია ჩავთვალოთ ირანის დათანხმება 2015 წლის შეთანხმებისთვის, რომელმაც მკვეთრად შეამცირა თეირანის ბირთვული პროგრამა. ნათელია, რომ ბირთვული მიღწევები ქვეყანას დააბრუნებს საერთაშორისო იზოლაციის სტატუსში: მრავალმხრივი სანქციების შედეგად, სხვა ქვეყნებს გაუჭირდებათ ირანთან ვაჭრობის შენარჩუნება. ეს ყველაფერი უფრო მეტ ტკივილს მიაყენებს ირანელ ხალხს, რომლებიც უკვე ჩაფლული არიან უამრავ კრიზისში (Brewer 2021). ამის შესახებ თავად რაისმაც სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ დასავლეთის ქვეყნებს სურთ, რომ ირანმა აღადგინოს „breatout time“ - დროის ხანგრძლივობა, რომელიც დასჭირდება თეირანს, რათა დააგროვოს საკმარისი გამდიდრებული ურანი ბირთვული იარაღისთვის - ერთ წლამდე, როგორც ამას JCPOA ითვალისწინებს. ირანს ახლა მხოლოდ ერთი თვე აშორებს ამისგან. ამერიკის მხარე მზადაა მოხსნას სანქციები გარკვეული ხარისხით, მაგრამ მას არ სურს ერთდროულად გააუქმონ ყველა სანქცია და შემდეგ დაელოდონ როდის დაუბრუნდება ირანი შესაბამისობას სანამ მისი ბირთვული პროგრამა განაგრძობს ზრდას (Ali Vaez 2021).

დღესდღეობით კი რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ვენის მოლაპარაკებები კიდევ უფრო გააჭინაურა. ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ მოლაპარაკებების მიმდინარეობას ექსპერტები დადებითად აფასებდნენ. რამდენიმე კვირის წინ ყველა მხარეს ნამდვილად სჯეროდა, რომ გარიგება უკვე შედგებოდა და ირანის მოთხოვნებთან დაკავშირებით გარკვეული გადაწყვეტილებებიც იყო მიღებული, თუმცა შემდგომ უკვე საერთაშორისო ვითარება შეიცვალა. უკრაინაში რუსეთის შეჭრამ შეარყია ევროპის სტაბილურობა და ნავთობის ფასებიც საგრძნობლად გაიზარდა. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ვენაში მარცხი კიდევ უფრო მსოფლიოს კიდევ დესტაბილიზაციას მოახდენს, რაც დაკავშირებულია ახალი ბირთვული იარაღის შექმნასთან ახლო აღმოსავლეთში და, შესაძლოა, კიდევ ერთ ომს.

ამ ყველაფერს ასევე მოჰყვა რუსეთის უხეში ჩარევა მოლაპარაკებების ბოლო ეტაპის მიმდინარეობისას. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 4 მარტს განაცხადა, რომ მოსკოვი დაჟინებით მოითხოვდა წერილობით გარანტიებს აშშ-ს სახელმწიფო მდივნისგან გარანტიების მიღებაზე, რომ სანქციები მას უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით არ დააზარალებს. 6 მარტს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ანტონი ბლინკენმა ლავროვის მოთხოვნას „არარელევანტური“ უწოდა და თქვა, რომ ბირთვული შეთანხმება და მოსკოვის სანქციები უკრაინაში ომის გამო ერთმანეთთან კავშირში არაა. ირანის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ალი შამხანმა 7 მარტს Twitter-ზე დაწერა, რომ მისი ქვეყანა ეძებს „კრეატიულ გზებს“ შეთანხმების აღსადგენად: „ვენის მონაწილეები მოქმედებენ და რეაგირებენ ინტერესებიდან გამომდინარე და ეს გასაგებია“, - განაცხადა შამხანმა. მისივე თქმით, ირანის მოქმედებებიც ხალხის ინტერესებითაა გათვალისწინებული და გადაწყვეტილებების დასაჩქარებლად ახალ გზებს ეძებენ. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰოსეინ ამირ-აბდოლაჰიანმა კი აღნიშნა, რომ თეირანი „არ დაუშვებს რაიმე საგარეო ფაქტორს გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე ვენის მოლაპარაკებებზე“ ყველა მხარის მომლაპარაკებლებმა აღნიშნეს, რომ პოტენციური შეთანხმება ახლოსაა

(RadioLiberty 2022). მოლაპარაკებები მომავალში კვლავ გაგრძელდება და შესაბამისად, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ მიმდინარე მოვლენებს. როგორც ვხედავთ, საგარეო ფაქტორებს დიდი გავლენა აქვს მოლაპარაკებებზე და ჯერჯერობით ირანის ბირთვული პროგრამის მომავალი გაურკვეველია.

*ელენე მიქანაძე, თამარი ბიბიჩაძე*

## ავღანელი ქალები თალიბანის პირისპირ

მარგარეტ ეტვუდის დისტოპიურ რომანზე დაყრდნობით გადაღებულ სერიალში „მხევლის წიგნი“ ერთი ასეთი სცენაა: სერიალის მთავარი გმირი, ჯუნ ოზბორნი სამსახურში მიდის და იგებს, რომ ქვეყნის ახალმა მთავრობამ ქალების მუშაობა აკრძალა. დაახლოებით ასე განვითარდა მოვლენები ავღანელი ქალებისთვისაც. ერთმანეთს მიყოლებული ომის დეკადებმა, ბოლო 27 წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე ანგარიშებმა ადამიანის უფლებების კუთხით, მიმდინარე პანდემიამ და ღრმად ფესვგადგმულმა სიღარიბემ ავღანეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჰუმანიტარული დახმარების კრიტიკული აუცილებლობის წინაშე დააყენა. შეცვლილი კონტექსტი, ცხადია, მთელ ერზე აისახა, თუმცა, პროცესების შედეგები ქალებისა და გოგონებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ კრიზისის წინა ხაზებზე სწორედ ისინი დგანან.

### ისტორია და დაბრუნება წარსულში

ქაბულში შოკი და იმედგაცრუება მძვინვარებს. არადა, ამბავი ახალი არაა. თალიბანი ავღანეთს 1996-2001 წლებშიც მართავდა და ქალების მიმართ მაშინაც ბრუტალურ პოლიტიკას ატარებდა. მათ ეკრძალებოდათ განათლების მიღება, მეურვე მამაკაცის გარეშე გარეთ გასვლა და მუშაობა. სავალდებულო იყო ჰიჯაბის ტარება. არასრულწლოვან გოგონებს უფროს მამაკაცებზე აქორწინებდნენ. წესების დარღვევა კი წამებით ან სიკვდილით ისჯებოდა. შემდეგ იყო აშშ-ს მიერ თალიბანის რეჟიმის დამხობა და 2001 წლიდან ცხოვრების ნორმალური რეჟიმით გაგრძელება. თუმცა, ახლა ავღანეთი უკან, წარსულში ბრუნდება, რაც ნიშნავს იმას რომ ქალებიც ბრუნდებიან იქ, სადაც დაბრუნება, ცხადია, არც ერთი მათგანის ოცნება არ იყო.

თალიბანის ფუნდამენტალისტმა ჯგუფმა ავღანეთი სრული კონტროლის ქვეშ 15 აგვისტოს აიღო. ათასობით ადამიანი მათი მმართველობის ქვეშ მოექცა და აღდგა რეპრესიული კანონების უმრავლესობა. გოგონები სკოლაში ისევ ვეღარ დადიან. დაქორწინებულ ქალებს ეკრძალებათ გარეთ მარტო გასვლა, დაუქორწინებლებს კი მეომრებზე ათხოვებენ.

2021 წლის 11 აგვისტოდან, ანუ თალიბანის ქაბულში შესვლიდან, BBC თითქმის ყოველდღიურად აშუქებდა მოვლენებს. ავღანელი ქალები კი უკავშირდებოდნენ გამოცემას და უყვებოდნენ, ეტაპობრივად როგორ მცირდებოდა იმ სივრცეების რაოდენობა, სადაც მათი ყოფნა იყო დასაშვები.

15 აგვისტოს, ქაბულში, ავღანეთის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, სახელად მაარი სამსახურში მივიდა, სადაც მას უფროსმა უთხრა, ჩაელაგებინა თავისი ნივთები და დაეტოვებინა შენობა. ასევე სთხოვა, ეს ბრძანება გადაეცა ყველა მისი დანარჩენი ქალი კოლეგასთვის.

ქალაქის სხვა მხარეს, გეოგრაფიის მასწავლებელი ხატერა იწყებს გაკვეთილს, რომელსაც 40 მოსწავლე ესწრება - ყველა ვაჟია. სულ მალე კლასში ხატერას კოლეგები შედიან. მასწავლებელს მოახლოებული საფრთხის შესახებ აცნობეს - თალიბანი ქაბულს უახლოვდება. სკოლის დირექტორმა გადაწყვიტა ყველა სახლში გაეგზავნა. გარეთ გასულ ხატერას კი საოცარი სანახაობა დახვდა. ხელში ბარგით მისი თანამოქალაქეები ყველა მიმართულებით მირბოდნენ.

დაახლოებით იგივე დროს, ზალა, ავღანეთის ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტი მეილზე იღებს შეტყობინებას, რომლის მიხედვითაც მომდევნო 48 საათის განმავლობაში ის ევაკუირებული იქნება აშშ-ში. გარეთ გასული კი ვერ ხვდება, რა ხდება. ერთ-ერთმა მოქალაქემ ზალას უთხრა, რომ თალიბანმა ქაბული დაიკავა. ის ძალიან პატარაა იმისთვის, რომ საკუთარ თავზე გამოეცადა თალიბანის პოლიტიკა, თუმცა ბევრი საშინელი ისტორია მოუსმენია მშობლებისგან, რომლებიც 1990-იან წლებში თავად იყვნენ რეჟიმის სისასტიკის მხილველი.

ეს იმ ქალების მცირე ნაწილია, რომელთა ცხოვრებაც თალიბანის ავღანეთში დაბრუნებასთან ერთად დამძიმდა. ერთი ხელის მოსმით მათ ავღანეთის მიერ გავლილი 20 წელი წაშალეს და ისინი წარსულში დააბრუნეს. ყველა ინტერვიუში, სადაც თავად ავღანელები საუბრობენ ამ პროცესებზე, ჩანს როგორი მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო მათთვის თალიბანის დაბრუნება.

**განათლების ახალი წესები ქალებისთვის**

2000-იანი წლებიდან 2018 წლამდე ავღანეთში სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 1 მილიონიდან 9,2 მილიონამდე გაიზარდა. მათი 38% გოგონა იყო. 2021 წლის აგვისტომდე არ არსებობდა დირექტივები, რომლებიც გოგონებს განათლების მიღებას ავღანეთის 34 პროვინციიდან ერთში მაინც აუკრძალავდა - მათ ყველა საფეხურის განათლებაზე ჰქონდათ ხელმისაწვდომობა. სურათი რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც თალიბანმა ძალაუფლება აიღო ხელში. 14 ნოემბერს გაცემული ბრძანების მიხედვით, 34 პროვინციიდან მხოლოდ 7-ში არის შესაძლებელი საშუალო (7-12 კლასი) განათლების მიღება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავღანეთის 34 პროვინციიდან 27-ში გოგონები ვერ სწავლობენ მე-7-12 კლასებში. გამოწვევების წინაშე დგებიან ასევე მაშინაც, როცა საუნივერსიტეტო განათლების მიღება სურთ.

იქამდე, 5 სექტემბერს, გამოიცა დოკუმენტი, რომლითაც თალიბანმა ავღანელ ქალებს, რომლებიც სწავლობენ ან არიან დასაქმებული უნივერსიტეტში, ახალი დრეს კოდი დაუწესა. ყველა ქალმა სტუდენტმა, მასწავლებელმა და ადმინისტრაციის თანამშრომელმა ნიკაბი უნდა ჩაიცვას. სამოსი აუცილებლად შავი უნდა იყოს. ასევე აუცილებელია ხელთათმანების ჩაცმა, რათა ქალები დარწმუნდნენ, რომ ხელებიც დაფარული აქვთ. ახალი განკარგულება ითვალისწინებს, რომ კლასები გენდერის მიხედვით იყოს სეგრეგირებული ან უკიდურეს შემთხვევაში, ფარდით განცალკევებული. ასევე განისაზღვრა, რომ გოგონებს მხოლოდ ქალმა მასწავლებლებმა უნდა ასწავლონ და იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ პროფესიაში ქალები არ არიან, მაშინ „კარგი ხასიათის“ მოხუცი მამაკაცების მასწავლებლობაც დასაშვებია.

„ახალი ცვლილებები, როგორცაა გენდერული სეგრეგაცია სკოლებში და უნივერსიტეტებში, ქმნის შიშს და დისკრიმინაციის კულტურას ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ. ქალების შავი ტანსაცმლით შემოსვა არ არის ავღანური კულტურის ნაწილი. ეს რეპრესიული პოლიტიკის ცხადი ნიშანია.“ - ამბობს ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტი, რომელმაც ავღანეთი, თალიბანის შემოსვლით გამოწვეული საფრთხეების გამო, დატოვა.

ბურკის ტარება 1990-იან წლებშიც სავალდებულო იყო. ავღანეთს მაშინაც თალიბანი მართავდა. თუმცა, ახალ განკარგულებას ახალი წესები აქვს დამატებული. მაგალითად, ამიერიდან ქალებისა და მამაკაცებისთვის უნივერსიტეტებს განცალკევებული შემოსასვლელი და გასასვლელი უნდა ჰქონდეს. გარდა იმისა, რომ ქალებმა და კაცებმა ერთმანეთისგან გამოყოფილ სივრცეებში უნდა ისწავლონ, ქალები ასევე ვალდებული არიან ხუთი წუთით ადრე დაასრულონ გაკვეთილი, რათა თავი აარიდონ შესვენებებზე მამრობით სქესთან ერთად ერთ სივრცეში ყოფნას. სხვა

შემთხვევაში კი ქალები მოსაცდელ ოთახებში უნდა გაჩერდნენ, სანამ მამაკაცები დატოვებენ შენობას.

თალიბანის წარმომადგენლებმა ამ პროცესების დასაწყისშივე თქვეს, რომ კანონები ისეთი მკაცრი არ იქნებოდა, როგორც წარსულში იყო. თუმცა, საექვოა, რამდენად აპირებენ ამ სიტყვის ერთგულებას. 6 სექტემბერს ქალებმა ქალაქ მაზარ-ი-შარიფის ქუჩები დაიკავეს ერთი მოთხოვნით - შეუნარჩუნდეთ უფლებები. პლაკატებზე დაწერილი მოწოდებების ძირითადი შინაარსი ასე გამოიუყურებოდა „ქალების უფლებების დარღვევა ადამიანების უფლებების დარღვევას უდრის“ და „ჩვენ გვინდა თანამონაწილეობა პოლიტიკური პროცესების ყველა საფეხურზე“. 4 სექტემბერს ჩატარებული იგივე შინაარსის პროტესტის დასაშლელად თალიბანმა ცრემლსადენი გაზი და გამაფრთხილებელი გასროლები გამოიყენა დიდი რაოდენობით შეკრებილი ქალების წინააღმდეგ ქალაქ ქაბულის ცენტრში. ბოლოს კი, პროტესტიც აიკრძალა.

### დასაქმება

2004 წელს ავღანეთში მიღებული კონსტიტუციით დაცულია ქალების შრომითი უფლებები. თუმცა, 2021 წლის 15 სექტემბრის შემდეგ მათმა უმრავლესობამ სამსახურის დაკარგვის შესახებ განაცხადა. მიზეზი თალიბანის ახალი შეზღუდვები და საჯარო სივრცეში გადაადგილების შეცვლილი პირობებია. გამოწვევები, რომლის წინაშეც ქალები დგანან, ერთგვარი არ არის და ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა სახე აქვს. ეს განსხვავება აირეკლავს იმ სოციო-კულტურული ნორმებს, რომლის მიხედვითაც ქალისთვის სამუშაო სივრცედ, მაგალითისთვის სამედიცინო სფერო უფრო აღიქმება, ვიდრე სხვა რომელიმე. მთლიანობაში, თალიბანის ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად, შესამჩნევი ცვლილებებია ქალთა დასაქმების კუთხით. მითუმეტეს იმ ფონზე, როცა არ არსებობს რაიმე გეგმა ქალების სამსახურებში სრულად დაბრუნების შესახებ.

გარდა ამისა, ტაქსის მძღოლებს თალიბანი მანქანებში სიმღერის ჩართვას და იმ ქალების მომსახურებას უკრძალავს, რომლებიც ჰიჯაბს არ ატარებენ. ეს ძალადობისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის, ღია სივრცეებს კი ქალებისთვის საშიშად აქცევს.

6 სექტემბერს თალიბანის სპიკერმა, ქალების უფლებებზე დასმული კითხვის პასუხად, განაცხადა, რომ ამ უფლებებს პატივს სცემენ შარიათის კანონებიდან გამომდინარე. რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში მას დეტალურად არ განუხილავს. თუმცა, მისი განხილვის გარეშეც ცხადია, რომ შარიათის თალიბანური ინტერპრეტაცია ქალებისა და მამაკაცების თანასწორად აღქმას საერთოდ არ ითვალისწინებს.



## მედია

მედია გარემო, რომელიც ცოტა ხნის წინ შეფასებული იყო, როგორც დამოუკიდებელი და მრავალფეროვანი, რადიკალურად შეიცვალა თალიბანის დაბრუნების შემდეგ. RSF -ის მონაცემებით, 2021 წლის 15 აგვისტოს შემდეგ, 700 ქალი ჟურნალისტიდან მხოლოდ 100-ზე ნაკლები აგრძელებს მუშაობას, ისიც კერძო რადიოსადგურებსა და ტელევიზიებში. ქალი ჟურნალისტების ერთმა ჯგუფმა ქვეყნიდან გაქცევით აარიდა თავი დასჯასა და დევნას. მათ, ვინც ქვეყანაში იმყოფება, აეკრძალათ მუშაობა, ხოლო იმ ნაწილს, რომელმაც ქაბულში გამართული ქალების პროტესტი გააშუქა დაემუქრნენ, დააკავეს, და თალიბანის თავდასხმის ობიექტებად იქცნენ. შემცირებული სამოქალაქო სივრცეები კი ქმნიან შეზღუდულ გარემოს ჟურნალისტებისთვის, რომლებსაც უნდათ გააშუქონ ავღანეთში მიმდინარე მოვლენები. ახალ მედია წესებზე დაყრდნობით კი, რომელიც თალიბანმა გასული წლის 22 ნოემბერს გამოაქვეყნა, აკრძალულია ქალი მსახიობების სატელევიზიო დრამებში გამოჩენა. მთელი ეს პროცესი, რასაც შეიძლება თამამად დაერქვას საჯარო სივრცეებიდან ქალების მიზანმიმართული „გაქრობა“, ხელს უწყობს მედია გარემოში მათ ფაქტობრივ არარსებობას და მამაკაცების კონკრეტულ პროფესიებში დომინირებას. პარალელურად ქალი აქტივისტები ყვებიან, როგორ გაქრა მათი ოჯახის შემოსავლის წყაროები ყოველდღიურობიდან, იქიდან გამომდინარე, რომ ოჯახს ფინანსურად ისინი უზრუნველყოფდნენ, ახლა კი სახლებში არიან გამოკეტილი.

## ძალადობა და ჯანდაცვის სისტემა

ოჯახში ძალადობა ავღანელი ქალებისთვის მუდმივი პრობლემა იყო. გასული წლის 15 აგვისტომდეც ციფრები საკმაოდ მაღალი იყო: კვლევების მიხედვით, ავღანელი ქალების 87%-ს ძალადობა გამოცდილი აქვს. თალიბანის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ კი, ძალადობის მსხვერპლთა რიცხვი გაიზარდა, ხოლო მათთვის განკუთვნილი თავშესაფრები გაუქმდა. ამ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები იძულებულები გახდნენ მსხვერპლთათვის დახმარება შეეწყვიტათ. თალიბანმა კი ბენეფიციარებს ულტიმატუმი წაუყენა - ან დაბრუნებულიყვნენ სახლებში, მოძალადე ქმრებთან, ან ციხეში ჩასვამდნენ.

ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ჰუმანიტარული კრიზისის მნიშვნელოვანი ნაწილია. ქალები, რომლებსაც აქვთ კომპლექსური ჯანმრთელობის საჭიროებები, არიან ორსულები ან მძიმედ დაავადებულები, ამ კუთხით განსაკუთრებით რთული გამოწვევების წინაშე დგანან, რაც მოიცავს შიშსა და არასაიმედო გარემოს, გადაადგილებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს

(იგულისხმება მაჰრამთან ერთად გადაადგილების აუცილებლობა), სამედიცინო დაწესებულებამდე მისასვლელი მანძილის სიდიდეს, ქალებისთვის უსაფრთხო ტრანსპორტის ფაქტობრივ არარსებობას და ჯანდაცვაში დატრენინგებული ქალი თანამშრომლების ნაკლებობას, ფინანსურ პრობლემებს და ა.შ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჰუმანიტარული კატასტროფა, რომლის წინაშეც ახლა ავღანელი ქალები და გოგონები დგანან, ქმნის პრობლემებს მათი ფუნდამენტური უფლებების კუთხითაც, რომლის გამოყენების საშუალება არც აქვთ.

### საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობა


დრამატული ცვლილება მოხდა ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ნაწილშიც. რიცხვებში რომ გადავიყვანოთ, ახლა მათი რაოდენობა პოლიტიკაში ნულის ტოლია, 15 აგვისტომდე კი პარლამენტარების 28% ქალი იყო. ამჟამინდელი თალიბანის ხელისუფლება სრულად მამაკაცებითაა დაკომპლექტებული და არც არსებობს რაიმე გეგმა ან საფუძვლიანი დაპირება იმისა, რომ ქალებს აღუდგებათ უფლებები. ეს ყველაფერი იმ ფონზე ხდება, როცა ქვეყნის ბოლო კონსტიტუცია, რომელიც 2004 წელს მიიღეს, პარლამენტში გენდერულ კვოტირებასაც ითვალისწინებს. თუმცა, ახლა თალიბანი დროებით 1967 წლის კონსტიტუციას იყენებს და უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონსტიტუციითაც დაცულია აქტიური საარჩევნო უფლება. თუმცა, აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა საკითხში, კანონების თალიბანური ინტერპრეტაცია არასდროს ტოვებს სივრცეს ქალების უფლებების განსახორციელებლად.

\*\*\*

ავღანელი ქალების განვითარების შესაძლებლობები ქრება. ისინი ყველა არსებული გზით ითხოვენ დახმარებას. ეს გზები კი არც ისე ბევრია და ყოველდღე უფრო და უფრო მცირდება. 2021 წლის 20 დეკემბრის მონაცემებით ავღანეთში მედიის 40% დაიხურა, ქალი ჟურნალისტების 80%-მა კი სამსახური დაკარგა. ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ თუ ყველაფერი ამ ტემპით გაგრძელდება, ქალები აღარ იქნებიან ავღანეთის საზოგადოების ნაწილი. ყველა პრინციპულად მნიშვნელოვანი წითელი ხაზი თალიბანმა უკვე გადაკვეთა. არავინ იცის, რას მოუტანს 2022 წელი ავღანელ ქალებს, თუმცა ამ ეტაპზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ ბრძოლაში თალიბანის პირისპირ მარტო დარჩნენ.

ირმა ჭანტურია

# ენა და ლიტერატურა



## ზოგიერთი არაბული პოლისემიური ზმნის შესახებ

ზოგიერთი სიტყვა განსაკუთრებული პოლისემიურობით გამოირჩევა, ამასთანავე, ამ თვისებას ისინი ავლენენ ხოლმე სრულიად სხვადასხვა ენაში. მაგ., ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „თვალი“ განმარტებულია, როგორც: ა) მხედველობის ორგანო, ბ) ძვირფასი თვალი, თვალი პატიოსანი, გ) ღირსეული, ძვირფასი ადამიანი, დ) მცირე ნასვრეტები (პურში, ყველში), ე) მცირე ზომის ნახვრეტი (ნემსის, მახათის), ვ) მცირე ზომის ხვრელი (თონეში, საპაეროდ ან ცეცხლის შესანთებად), ზ) ჯაჭვის რგოლი, თ) ცალკე სახლი, ან სახლის დანაყოფი. გარდა ამისა, „თვალი“ შეიძლება ნიშნავდეს ურმის ბორბალს. „თვალი“ ასევე მიემართება „ჩასაბერი საკრავის ნახვრეტს, რომელზე თითის დადება-აღებით გამოაცემინებენ საჭირო მელოდიას.“ „თვალი“ აქვს ნაქსოვს (საქსოვ ჩხირზე წამოცმული მარყუჭი); „თვალი“ გადატანითად ნიშნავს ადამიანს, რომელიც შენს დასანახს ხედავს (ეს კაცი ჩემი თვალია სოფელში) ან მოთვალთვალეს (ან თვით თვალთვალს). არაბულ ენაში, რომელიც ქართულს, როგორც ცნობილია, არ ენათესავება და ენათა სემიტურ ოჯახს წარმოადგენს, სიტყვა „თვალი“ ع - გარდა მხედველობის ორგანოსი, შეიძლება ნიშნავდეს (როგორც ქართულშიც) მოთვალთვალეს, წყაროს, ავანგარდს (ჯარში), ყველაფრიდან საუკეთესოს, ქონებას, ჭის ჭრილს, კიბლის მხრიდან მომავალ ღრუბელს, გამორჩეულ ადამიანს, მონეტას, ხუთ ან ექვსდღიან წვიმას, მზის დისკოს, გამოდიოდეს მნიშვნელობით „იგივე“, „თვით“ და ა.შ. თურქულ ენაში, რომელიც, როგორც ასევე კარგადაა ცნობილი, არ ენათესავება არც არაბულსა და არც ქართულს, სიტყვა „თვალი“, გარდა მხედველობის ორგანოსი, შეიძლება ნიშნავდეს: მზერას, ხედვას, წყაროს, ხვრელს, უჯრას, ნემსის ყუნწს, ოთახს; ხოლო ინდოევროპულ სპარსულ ენაში სიტყვა „თვალი“, მხედველობის ორგანის გარდა, ნიშნავს: მზერას, ნახვრეტს, ხვრელს, სიტყვა 𐬨𐬀 - თან წყვილში კი - იმედს, მოლოდინს.

ამდენად პოლისემიური სიტყვები თავისთავად საკმაოდ საინტერესო მასალას გვაწვდიან დაკვირვებისთვის.

მოცემული სტატიის ფარგლებში, ჩვენი ინტერესის უშუალო საგანია არაბული ზმნები, რომლებიც პოლისემიურობის ყველაზე მაღალ ხარისხს ავლენენ ენაში. საანალიზო მასალა ამოკრებილია არაბული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან. სულ ამოკრებილი იყო 320 ზმნა, რომელთაგან, საბოლოოდ გამოვყავით 8 ზმნა, რომელიც ყველაზე მაღალი პოლისემიურობით გამოირჩა. ყველა მათგანი წარმოდგენილია პირველი თემის ფორმით და წარმოადგენენ სამთანხმოვნიანი ძირის ზმნებს. ქვევით, მასალა დალაგებულია მნიშვნელობათა კლებადობის მიხედვით.

1. ضَرَبَ (ი) – დაარტყა, სცემა; ცემდა (გული); გაამრავლა; მოკლა (ჭადრაკში მოწინააღმდეგის ფიგურა); დადგა (კარავი); სტკიოდა (კბილი, ჭრილობა); დანესტრა (მორიელმა); დაფარა (მდედრი); მოიტანა (მაგალითი); დაუკრა (მუსიკალურ ინსტრუმენტზე); გადაადგილდა, იმოგზაურა (في), დახეტილობდა და სხვ.

გარდა მოხსენიებული მნიშვნელობებისა, ეს ზმნა შეიძლება იღებდეს სხვა სემანტიკურ ელფერსაც მყარ გამოთქმებში:

ضرب له أجلاً - თარიღი დაუთქვა;

ضرب الأرز - ბრინჯს კანი გააცალა;

ضرب الباب - კარზე დააკაკუნა;

ضرب الجرس - ზარი დარეკა;

ضرب حُقناً - ნემსი გაუკეთა;

ضرب خطأ - ხაზი გაავლო;

ضرب اخماساً لأسداسٍ - გამოსავლის საპოვნელად ძალისხმევა დახარჯა;

ضرب الرِّقْمَ القِيَّاسِيَّ - რეკორდი მოხსნა;

ضرب السلام - სამხედრო სალამი მისცა;

ضرب ضَرْبِيَّةً - გადასახადი დააკისრა (على);

ضرب أطنابه في - ფესვი გაიდგა;

ضرب أطنابه على - დაბანაკდა;

ضرب طوباً - აგური გააკეთა;

ضرب عُقْفَهُ - თავი მოჰკვეთა;

ضرب قَائِبَهُ - ასლი გადაიღო;

ضربه كَفّاً - სილა გააწნა;

ضرب له مَثَلاً - მაგალითი უჩვენა;

ضرب نُفُوداً - ფული მოჭრა;

ضرب مؤعداً - შეხვედრა დაუთქვა;

ضرب إلى الخُمرة - გაწითლდა;

ضرب به الأرض - მიწაზე დააგდო;

ضرب في الخَيْال - დრუბლებში დაფრინავდა;

ضرب بِسَنَمِهِمْ وَنَصِيبٍ فِي - აქტიურად მონაწილეობდა;

ضرب بالنظَرِهِ إِلَى - მზერა მიაპყრო;

ضرب بِوَجْهِهِ صَاحِبِهِ - უკან დაუბრუნდა;

ضرب على كلمة - სიტყვა უკან წაიღო;

ضرب في جَدِيدٍ بَارِدٍ - წყალს ნაყავდა.

2. قام (უ) - ადგა, იდგა; აღიმართა; აღდგა; გაჩნდა, ჩამოყალიბდა; არსებობდა; ხდებოდა, ადგილი ჰქონდა; გაფრინდა (თვითმფრინავი); გავიდა (მატარებელი და მისთ.);

გაემგზავრა (إلى); გამოვიდა, აღდგა (ვინმეს წინააღმდეგ على ضد); პატივი მიაგო (ვინმეს -); ემყარებოდა, ეფუძნებოდა (რამეს على); მიჰქონდა (რამე -); დადგა (რამე -); აკეთებდა, ასრულებდა, მოიმოქმედებდა (რამეს -); მიჰყავდა საქმე, მართავდა (რამეს -); დაიწყო რამის კეთება (სხვა ზმნასთან ერთად).

მყარ შესიტყვებებში:

قام باعلاء الحكم - ძალაუფლება ჩაიგდო ხელში;

قام اوده - გამოასწორა რამე;

قام بدور - როლს თამაშობდა;

قام بشانه - მოუარა;

قام بالواجب عليه - შეარსულა ვალდებულება;

قام الحرب على ساق - ომი გამძვინვარდა;

قام الحق - სიმართლე გახდა აშკარა;

قامت قيامته - გაბრაზდა, გაჯავრდა;

قام مقامه - მისი ადგილი დაიკავა, ჩაანაცვლა;

قام واعد - იყო ძალიან იმედგაცრუებული;

قام ولا يعد - არ იყო მტკიცე, არ იყო მყარი.

3. قطع (أ) - გაჭრა, გაწყვიტა, მოჭრა, მოკვეთა; დაჭრა; გადაჭრა, გადაკვეთა, გადაღობა; გამორთო (დენი); შეწყვიტა რაიმეს კეთება; გაიარა, ჩაიარა (რაიმე მდგომარეობამ); მოიხმარა; გაფრინდა თბილ ქვეყნებში (ფრინველი); იყო შთამბეჭდავი ( في ); დაფარა მანძილი; გადალახა სირთულე; დაამტკიცა, დაადასტურა ( بن რომ).

მყარ გამოთქმებში:

قطع الأمل - დანებდა იმედებს, დანებდა;

قطع الثمن - დასთანხმდა ფასს;

قطع تذكرة - იყიდა ბილეთი;

قطع عليه حديثه - საუბარი შეწყვიტა;

قطع اشواط - პროგრესირდა;

لا يقطع عقله - ვერ იჯერებს;

قطع عليه الطريق - გზა მოუჭრა;

قطع عهدا - დადო ხელშეკრულება;

قطع ذهابا بلا إياب - უკანმოუსვლელად წავიდა.

4. وقع (أ) - დაეცა, დავარდა; მოხვდა; ჩაედინებოდა, ხვდებოდა (რამეში في ); ხდებოდა, ადგილი ჰქონდა; ჰქონდა სექსუალური კავშირი (ქალთან -); მდებარეობდა (მაგ., ქალაქი); ექცეოდა ვინმეს გავლენის ქვეშ (تحت); კვალი აიღო (على); დაჯდა (ჩიტი); ჰქონდა კანონიერი ძალა, იყო ძალაში; დაიშალა, დაიყო (على) და სხვ.

გარდა, ამისა:

وقعوا في بعضهم - ჩხუბში ჩაებნენ;

وقعت في حب - შეუყვარდა;

وقعت الحرب - ომი დაიწყო;

وقع في الفخ - მახეში გაება;

وقع الكلام في نفسه - მისმა სიტყვებმა აღაფრთოვანა;

وقع في غير موقعه - არასწორ ადგილას, არასწორ კონტექსტში იყო გამოყენებული;

وقع الامر منه موقعا حسنا - ყველაზე მისასალმებელი იყო მისთვის;

وقع موقع الاستغراب - გამოიწვია გაკვირვება;

وقع في النقوس موقعا جليلا - კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

5. حَلَّ (უ) – 1. გახსნა, შეხსნა (კვანძი); გადაჭრა, მოაგვარა (პრობლემა); ამოხსნა (თავსატეხი); გახსნა (სითხეში); გახრწნა; მოხრახნა; გარეკა (პარლამენტი, მთავრობა და მისთ.); დაშალა (სამხედრო ფორმირება); მოასუსტა; 2. დადგა (დრო, ჟამი); ადგილი დაიკავა; დასახლდა, ჩამოხდა; მიეწია (უბედურება); დაემართა (რამე –); განსხეულდა (ვინმედ –).

მოცემულ ზმნას, როგორც ნაჩვენებია, ორი ძირითადი სემანტიკური მიმართულება აქვს; ისინი ლექსიკონებში გამოტანილია, როგორც ორი, ერთმანეთის იდენტური ზმნის მნიშვნელობები. ვფიქრობთ, ეს არის ერთი ზმნის ორი სემანტიკური მიმართულება, რომელთა შორისაც კავშირის დანახვა მაინც შესაძლებელია.

გარდა ზემოთ აღწერილისა, მყარ გამოთქმებში ეს ზმნა გამოიყენება:

حَلَّ مَحَلَّهُ - იყო სწორ ადგილას;

حلت في قلبه - მის გულში ადგილი ჰქონდა;

حل في نوبه - ცოდვები შეუწდო;

حل الدين - ვალის გადახდის დრო დადგა;

حل لونه - გაუფერულდა, გახუნდა.

6. نزل (ი) – ჩავიდა, ჩამოვიდა, ჩამოხტა, ჩამოდრვა (საიდანმე –); ჩამოვიდა (ტრანსპორტიდან –); ჩამოსვა, ჩამოიყვანა (ვინმე –); გარდმოველინა (ყურანი, აია, სურა); დაეცა, დადაბლდა (ფასი); შესუსტდა (ეპიდემია); წვიმდა; ჩამოხდა, ცხოვრობდა; დაჯდა (ფრინველი, თვითმფრინავი); დაეთანხმა (რამეს –); მიეწია (უბედურება ვინმეს –); უარი თქვა (რამეზე –); თავს დაესხა, თავს დაეცა.

მყარ გამოთქმებში:

نزل الى البر - ნაპირზე გადმოვიდა;

نزل الى الميدان - მოედანზე გავიდა;

نزل ضيفا على - გამოიყენა ვინმეს სტუმართმოყვარეობა;

نزل على حكمه - დაიმორჩილა;

نزل عنه رغبته - დაიმორჩილა;

نزل منزلا - ვინმეს ადგილი, პოზიცია დაიკავა;

نزل منزلة فلان - პოზიცია აქვს.

7. وضع (د) – დადო, ჩადო, დადგა, მოათავსა; ბეჭედი დაუსვა; ჩაიცვა, დაიხურა, ჩააცვა, დაახურა (على); გახადა, მოხადა (عن); შეიმუშავა, შეადგინა (სია და მისთ.); გამოიგონა, შეთხზა, დაწერა; შვა, გააჩინა (ქალმა) და სხვ.

მყარ შესიტყვეებში:

وضع أساسا - საფუძველი ჩაუყარა;

وضع ثقته في - ნდობა დაამყარა;

وضع من قدره - გაუფასურდა რამე;

وضع اقتراحات - შესთავაზა;

وضع نصب عينيه - დაამტკიცა;

وضع موضع الشك - ეჭვი მიიტანა;

وضع تحت يده - ძალაუფლება გადავიდა ვინმეზე;

وضع حدا - ბოლო მოუღო;

وضع في مقدمة اهتمامه - განსაკუთრებით მიაქცია რამეს ყურადღება, მიანიჭა პრიორიტეტი;

وضع نظاما - სისტემაში მოიყვანა;

وضع الفكرة موضع الفعل - იდეა განახორციელა;

وضع يده الف اسير - 1000 პატიმარი დააკავა.

8. أخذ (ه) - აიღო; წაიღო, წაიყვანა; მიიღო; მიჰყვებოდა, მისდევდა რამეს (-); ხელი მოჰკიდა საქმიანობას, დაიწყო რაიმეს კეთება (-); ხელი სტაცა, ჩასჭიდა (-); გაკიცხა, დაადანაშაულა (რამეში من ، على); სწავლობდა (ვინმესგან عن); სარგებლობდა (من).

მყარ შესიტყვეებში:

أخذ مجراه - დასასრულს უახოვდება;

أخذ جذره - იცავდა;

أخذ رأيه - აზრი ჰკითხა;

أخذ بيده - დაეხმარა;

أخذ مجلسه - მისი სკამი დაიკავა;

أخذ بالحسن - იყო მეგობრული;

أخذ نفسه - ამოისუნთქა;

أخذ أهنته - მოემზადა;

أخذ مأخذ فلان - ვიღაცის მაგალითს მიჰყვას;

أخذ عليه طريقه - გზა გადააუღობა;

أخذ العدة ل - მოემზადა;

أخذ عليه عهداً - ვალდებულება დააკისრა;



شيء يأخذ القلوب - გულის დამატყვევებელი რამ.

ზემოთმოცემული მასალის საფუძველზე შეიძლება განვაზოგადოთ, რომ ზმნების მიერ გამოვლენილი პოლისემიურობა არაბულში შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

ა) როდესაც მოცემული ზმნა გადმოსცემს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ მნიშვნელობებს, რომელთა წარმოდგენა ერთ სემანტიკურ ველში ძნელია და ამ მნიშვნელობებს იგი აჩვენებს დამოუკიდებლად, ცალკე აღებული, ამისთვის მას არ სჭირდება რაიმე დამხმარე საშუალება, როგორცაა, მაგალითად, კონტექსტი, მყარი გამოთქმა, ან წინდებული-ნაწილაკი. მაგალითად, ضرب შეიძლება ნიშნავდეს: დაარტყა, გაამრავლა, დაუკრა (მუსიკალურ ინსტრუმენტზე) და სხვ. და ამ მნიშვნელობებს ის გადმოსცემს დამოუკიდებლად, სხვა დამხმარე საშუალებების გარეშე;

ბ) როდესაც ზმნა გადმოსცემს განსხვავებულ მნიშვნელობებს, ცალკე აღებული, დამხმარე საშუალებების გარეშე, მაგრამ ეს მნიშვნელობები ერთიანდება ერთ საერთო სემანტიკურ ველში, ისინი ერთმანეთს ენათესავენ ან ერთმანეთისგან გამომდინარეობს. მაგალითად, غط ნიშნავს: გაჭრა, გაწყვიტა, მოჭრა, მოკვეთა; დაჭრა; გადაჭრა, გადაკვეთა, გადაღობა; გამორთო (დენი); შეწყვიტა რაიმეს კეთება; გაიარა, ჩაიარა (რაიმე მდგომარეობამ) - ამ მნიშვნელობათა მოაზრება საერთო სემანტიკურ ველში შესაძლებელია.

გ) როდესაც ზმნის მიერ გადმოცემული სხვადასხვა მნიშვნელობა პირდაპირ უკავშირდება წინდებულ-ნაწილაკს, უფრო მეტიც, მნიშვნელობათა განსხვავება სწორედ წინდებული-ნაწილაკის მიერაა ინსპირირებული, გამოწვეული მაგ: أخذ - ნაწილაკის გარეშე ნიშნავს აიღო, წაიღო, წაიყვანა, ხოლო من على ნაწილაკებით - გაკიცხა, დაადა-ნაშაულა; عن ნაწილაკით - სწავლობდა (ვინმესგან), ხოლო من ნაწილაკით - სარგებლობდა. მნიშვნელობები განსხვავებულია, მაგრამ ამას ხელს უწყობს წინდებული-ნაწილაკი.

დ) როდესაც ზმნა გადმოსცემს განსხვავებულ მნიშვნელობას მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მყარი შესიტყვების ფარგლებში, მხოლოდ მოცემული კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც მხოლოდ ამ გამოთქმის შემადგენელი ნაწილი: وضع ცალკე აღებული ნიშნავს „დადო“, მაგრამ გამოთქმებში სხვა მნიშვნელობებს იღებს: وضع من قدره - გაუფასურდა რამე, وضع نصب عينيه - დაამტკიცა, وضع الفكرة موضع الفعل - იდეა განახოციელა.

ამავე დროს, ხშირად, მოცემულ ზმნა წარმოადგენს მოცემული გამოთქმის მნიშვნელობის ძირითად, ღერძული მნისნელობის, ელემენტს: وضع نصب عينيه - დაამტკიცა; وضع الفكرة موضع الفعل - იდეა განახოციელა.

*მარიამ ჯერანაშვილი, ლიზა შონია*

## ქალთა ემანსიპაციის საკითხი არაბი რომანტიკოსების შემოქმედებაში

XIX საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში გარდამავალი ეპოქაა, როდესაც მკვიდრდებოდა აზროვნების ახლებური ტიპი, ჩნდებოდა განსხვავებული მოთხოვნილებები და იდეები. ამ ეპოქამ წინ წამოწია მრავალი პრობლემა, რომელსაც მანამდე არ ენიჭებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელსაც არაბმა რომანტიკოსებმა, განსაკუთრებით კი ჯებრანმა და ალ მანფალუტიმ დიდი ადგილი დაუთმეს საკუთარ შემოქმედებაში, იყო ქალთა ემანსიპაციის საკითხი თანამედროვე არაბულ საზოგადოებაში. XVIII ს-ის II ნახევარში აშშ-ში დაწყებულმა ქალთა მოძრაობამ, რომელიც სწრაფად აიტანა საფრანგეთმა და შემდეგ მთელი ევროპა მოიცვა, XIX ს-ის მეორე ნახევრისთვის არაბულ სამყარომდეც მოაღწია. მაგრამ თუ ვეცდებით ერთმანეთს შევადაროთ ამერიკისა და ევროპის ქალთა მოძრაობა არაბული ქვეყნების მოძრაობას, ვნახავთ, რომ პირველ შემთხვევაში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლაში ქალთა ხვედრითი წილი გაცილებით მაღალი იყო, თუმცა არაბულ სამყაროში მათი უფლებებისთვის მებძოლად მამაკაცები გვევლინებიან.

იქიდან გამომდინარე, რომ დასავლეთისაგან განსხვავებით არაბულ სამყაროში ქალის მდგომარეობა გაცილებით მძიმე იყო, აქ ის უფრო მძაფრი მსჯელობის საგნად იქცა. ამასთან უნდა ავლნიშნოთ, ისიც, რომ არაბი რომანტიკოსებისთვის ეს საკითხი მომგებიანიც ჩანდა, რადგან მისი მეშვეობით მათ ეძლეოდათ საშუალება კიდევ ერთხელ გამოევიწყინათ თავიანთი კრიტიკული დამოკიდებულება არსებული საზოგადოების მიმართ.

რომანტიკოსები უპირველესად გარბოდნენ მათთვის მიუღებელი სინამდვილიდან და იკეტებოდნენ საკუთარ თავში, სადაც ცდილობდნენ მოეპოვებინათ დაკარგული ჰარმონია და განეხორციელებინათ იდეალი. თუმცა გვიჩნდება კითხვა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო მათთვის იდეალი? პასუხი საკამოდ ნათელია იდეალს ყველაზე მეტად სიყვარული შეესაბამებოდა. სიყვარულის თემა კი ორგანულად გახლდათ დაკავშირებული ქალთან. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომანტიკოსების ასეთი დიდი ინტერესი ქალის პრობლემებისადმი განპირობებული იყო როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მოტივებიდან. თუმცა ისინი არ ყოფილან პიონერები, ამ საკითხთან დაკავშირებით პირველი სიტყვა არაბ განმანათლებლებს ეკუთვნით, რომანტიკოსებმა კი გააგრძელეს მათი წინამორბედების მიერ დაწყებული საქმიანობა და ამ საკითხის დამუშავების პროცესი.

მაგრამ სანამ უშუალოდ მიმოვიხილავთ აღნიშნულ თემას უპირველესყოვლისა საინტერესოა დავსვათ საკითხი თუ რას წარმოადგენს არაბული რომანტიზმი ?

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა ახალ არაბულ ლიტერატურაში ჩასახვას და განვითარებას იწყებს XX ს-ის დასაწყისიდან. მან წარმატებით გაარგძელა არაბი განმანათლებლებისა და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეების მიერ „ნაჰდას“ პეროდში დაწყებული საქმიანობა არაბული კულტურის განსაკუთრებით კი ლიტერატურის აღორძინებასა და განვითარებაში. მათ უდიდესი როლი ითამაშეს ძველი სალიტერატურო ფორმებისა და შინაარსის დაძლევისა და ახლის დაწერვაში. არაბი მკითხველი კი აზიარეს ახალ ლიტერატურულ ჟანრებს, როგორებიცაა: მოთხრობა, ნოველა,

პროზად დაწერილი ლექსი და სხვა . მათმა დემოკრატიულმა და ჰუმანურმა იდეებმა კი ნაყოფიერი გავლენა იქონია როგორც თანამედროვე , ისე მომდევნო თაობის არაბ მწერლებსა და პოეტებზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ არაბი განმანათლებლებისა და რომანტიკოსების მოღვაწეობის პერიოდში ქალს არ გააჩნდა რაიმე

როლი საზოგადოებაში. იგი მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას, მას ეკრძალებოდა საზოგადოებაში გამოჩენა, საუბარი ზედმეტი იყო მის რაიმე სახის საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. ამას ემატებოდა ისიც, რომ ქალი ვერ სარგებლობდა დიდი უფლებებით ოჯახში. არ იყო აღიარებული მისი , როგორც დედის დიდი როლი და მნიშვნელობა. ოჯახშიც და მის გარეთაც ქალს უყურებდნენ და აფასებდნენ როგორც მონას, რომლის ერთადერთ და უცვლელ დანიშნულებას შეადგენდა მამაკაცის მოვლა და მისი სურვილების უსიტყვო შესრულება. დიდი არაბი განმანათლებელი კასიმ ამინი სამართლიანად შენიშნავდა, რომ : „მუსლიმის თვალში ქალი არ წარმოადგენს ნამდვილ ადამიანს” . მართლაც, საუკუნეების განმავლობაში ქალი იმყოფებოდა მოძველებული ტრადიციებისა და წეს- ჩვეულებების ტყვეობაში. მაგრამ დრო შეიცვალა. ნელ-ნელა დასავლეთთან კონტაქტების გაძლიერებასთან ერთად ცვლილებები ხდებოდა არაბთა ყოფაშიც. თუმცა ეს ცვლილებები არაბული საზოგადოების წინაშე აყენებდა ახალ პრობლემებს, ვინადან და რადგანაც ახალი ცხოვრება ითხოვდა შარიათის მიერ საუკუნეების განმავლობაში დადგენილი, მაგრამ უკვე მოძველებული წეს-ჩვეულებების შეცვლას. ბუნებრივია არაბულ საზოგადოებას უკვე აღარ შეეძლო მომავალში დარჩენილიყო შუასაუკუნოებრივი ტრადიციების ტყვეობაში. ამიტომაც განმანათლებლების მიერ დაყენებული პრობლემების გვერდითმწვავედ დადგა ქალთა პრობლემის საკითხიც.

მართლაც განმანათლებლებმა პირველებმა აღნიშნეს ის უზარმაზარი როლი, რომელსაც ასრულებს ქალი ერის ცხოვრებაში.ლიბანელი ბუთრუს ალ-ბუსთანი ევროპული ცივილიზაციის წარმატების უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევდა იმ ფაქტს , რომ ქალმა დაიკავა მაღალი ადგილი საზოგადოებაში. მან 1849 წლის 14 დეემბერს წარმოთქვა სიტყვა ქალთა განათლების შესახებ: „ თუ ჩვენ გვინდა ქვეყნის რეფორმირება, მაშინ ქალთა განათლება არის კიბის პირველი საფეხური და კარი რომელიც ყველაზე წინ უნდა გაიღოს” .

ქალთა უფლებების დაცვაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით ეგვიპტელ განმანათლებლებს, კერძოდ, ატ ტაჰტავის (1801-1873) და წარმოშობით ქურთ კასიმ ამინს (1865- 1908).საფრანგეთში ყოფნისას (1826-1831) დაწერილ წიგნში „პარიზის აღწერა” ნათლად ჩანს ატ- ტაჰტავის დაინტერესება ქალთა საკითხით. იგი ვრცლად მოგვითხრობს პარიზელი ქალების თვისებების, გატაცებების, საქმიანობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეფასებებს აკეთებს მუსლიმური თვალთახედვიდან გამომდინარე, ის მაინც ცდილობს შეძლებისდაგვარად შეინარჩუნოს ობიექტურობა. მას აღელვებდა ეგვიპტელი ქალის მდგომარეობა, მისი უფლებები და უუფლებობა. ის მოითხოვდა და აქტიურად უჭერდა მხარს ეგვიპტეში სასწავლო და სააღმზრდელო ორგანიზაციის რეფორმას, რაც უპირველესად გულისხმობდა სწავლების სისტემის შეცვლას, ან კიდევ უკიდურეს შემთხვევაში,

გაუმჯობესებას მაინც. რაც შეეხება კასიმ ამინს მან აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით დაწერა ორი მნიშვნელოვანი ნაწარმოები : „ქალის განთავისუფლება” და „ახალი ქალი”. მან, „არამართო პირველმა ჩამოაყალიბა ქალის საკითხი და დეტალებში დაამუშავა, არამედ მისი დაცვა აქცია თავისი ცხოვრების მიზნად, სპეციალურად მიუძღვნა მას თავისი სამწერლო საქმიანობა” . კასიმ ამინის აზრით, ის მდგომარეობა, რომელიც ქალს უკავია აღმოსავლეთში, დამღუპველია ერისთვის. საბოლოოდ კი მიდის დასკვნამდე, რომ ერის აღორძინება, პროგრესისთვის ბრძოლა უნდა დაიწყოს ქალის საყოფაცხოვრებო პირობების შეცვლითა და ოჯახის გარდაქმნით. მისი აზრით, შეხედულებებით, ქალი არაფრით არ ჩამორჩება მამაკაცს, არსებული სხვაობა შექმნილია ხელოვნურად და დროთა განმავლობაში გაქრება .

აღსანიშნავია, რომ არაბი რომანტიკოსების მიერ არჩეული ქალთა მდგომარეობის მოგვარების გზები კი არ უპირისპირდებოდა განმანათლებლებისას, არამედ გაგრძელება და განვითარება იყო მისი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაბ რომანტიკოსთა შორის გვექონდა შეხედულებათა ერთიანობა.

არაბი რომანტიკოსებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ჯებრან ხალილ ჯებრანი (1883-1931), რომელმაც განმანათლებლებთან შედარებით ქალის როლი კიდევ უფრო აამაღლა და მას მიანიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა ერის ძლიერებაში:

„...ქალი ერის ისეთივე საზომია, როგორც სხივი ჩირაღდნისთვის”. სინამდვილეში კი ბუნებრივია ის ხედავდა, რომ ქალს არ გააჩნდა საკუთარი მე და ის მამაკაცის ხელში ერთგვარ სათამაშოდ იყო ქცეული „რომელსაც ყიდულობენ, როგორც ნივთს სახლის მოსართავად” სწორედ ამიტომ, ჯებრანმა გაილაშქრა აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ტრადიციის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც საცოლეს ქალის სურვილის გაუთვალისწინებლად ირჩევენ. იგი ეწინააღმდეგებოდა ისეთ ქორწინებას, რომელიც აიძლებდა ქალს გაჰყოლოდა ცოლად უცნობ მამაკაცს უსიყვარულოდ. ის თავის მოთხოვნაში, „მომტვრეული ფრთები” აღნიშნავდა, რომ „ქორწინება ჩვენს დროში გარიგებაა სასიძოვბსა და ქალიშვილების მამებს შორის, რაც სინანულისა და დაცინვის ღირსია. სასიძოვები თითქმის ყოველთვის იგებენ, მამები ყოვლეთვისკარგავენ, გოგონები კი, რომლებიც ნივთებივით გადადიან ერთი ხელიდან მეორეში, მოკლებულნი არიან ყოვლევგარ სიხარულს. მათი ხვედრი სახლის ბნელ კუთხეებში ყოფნაა”. თუ განმანათლებლები გამოსავალს ხედავდნენ განათლებაში და მათი ბრძოლა იფარგლებოდა ოჯახში ქალის უფლებების აღიარებით, ჯებრანმა აღიარა განათლების მნიშვნელობა, მან აღიარა, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ ხელი შეუწყო ქალის შეგნების ზრდას.

არაბ რომანტიკოსებს შორის გამორჩეული ადგილი უკავიახალილ მუტრანს(1872-1949), რომელმაცარაბულ პოეზიაშიშემოიტანა ეპიკური ლექსი. პოეტი ამ სახით წერს ლექსებს: „ვარდი და ზამზახი”, „ერთგულება”, „მსხვერპლი ემბრიონი”, „ორი ბავშვი” და სხვა.მათში სიყვარულის პარალელურად, ანალიზის ობიექტია ისეთი სოციალური მოვლენები, როგორიცაა ქალის როლი და ადგილი საზოგადოებაში. ის ილაშქრებს ფულისა და ქონებისადმი გრძნობათა დამორჩილების წინააღმდეგ. პოეტმა დაგმოდრომოჭმული ადათწესები, რომლის მიხედვითაც ქალს ათხოვებენ მისი ინტერესების გაუთვალისწინებლად. მისი ლექსის: „ორი ბავშვი” მიხედვით ბავშვობიდან ერთმანეთზე შეყვარებულ ქალ-ვაჟს არ შეუძლია შეუღლდეს, რადგან მათ შორი დგას ქონებრივი უთანასწორობა. მდიდარი მშობლები აიძლებელ შვილს ცოლად გაჰყვეს მდიდარ უცნობ კაცს. მუტრანს მიჩნია, რომ სწრფად უნდა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება ქალისადმი. მაგრამ, მისი აზრით, ამის მისაღწევად ბრძოლაა საჭირო. იგი იმედოვნებდა, რომ მოვა დრო და ქალი თავის სიტყვას იტყვის ერის მომავლის წინაშე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაბ რომანტიკოსებს , შორის როგორც უკვე აღნიშნეთ, აზრთა ერთიანობა ნამდვილად არ ყოფილა ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ალ-მანფალუტი (1876-1924), რომელსაც ჯებრანისა და მუტრანისგან სრულიად განსხვავებული პოზიცია ეკავა. თუ დავაკვირდებით ვნახავთ, რომ მისი შეხედულებები ატარებს უფრო კონსერვატულ ხასიათს და ხშირად დაფუძნებულია რელიგიურ შეხედულებებზეც, რისი მიზეზიც სავარაუდოდ მისივე განათლებაა, რომელიც მიღებული ჰქონდა კაიროსალ- აზჰარის უნივერსიტეტში . ამასთან შეიძლება ითქვას, რომ ის გახლდათ უფრო სენტიმენტალისტი , ვიდრე რომანტიკოსი რის გამოც წინა პლანზე წევდა არა სიყვარულს , არამედ მოვალეობის გრძნობას. თუმცა მიუხედავად იმისა , რომ ალ-მალფანუტიმ არ გაიზიარა სხვა რომანტიკოსების გზა ქალის პრობლემის გადასაჭრელად, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ვერ ხედავდა არაბი ქალის მძიმე ხვედრს და ვერ ხვდებოდა მის გამომწვევ მიზეზებს. მისი აზრით ქალის უბედურების მთავარი მიზეზი არის ის, რომ ოჯახსა და შვილების აღზრდაში მისი როლი სრულიად უარყოფილია. იგი გამოსავალს ხედავდა შემდეგში: მამებმა და არა დედებმა ასწავლონ ქალიშვილებს ოჯახის საქმეები, ხოლო ქმრები მათ ისე მოეპყრონ როგორც ადამიანებს. ის ეწინააღმდეგებოდა ქალისთვის ისეთი განათლების მიღებას, რომელიც სცილდება ოჯახისა და შვილების აღზრდის ფარგლებს. მისი აზრით სკოლა ხრწნის ქალის ბუნებას , რის გამოც ეწინააღმდეგებოდა გოგონების სკოლაში შეყვანას. მისთვის დაუშვებელია საუბარი ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებზე არა მარტო საზოგადოებაში, არამედ ოჯახშიც. მოთხორობაში „ჩადრი” ის აღნიშნავდა , რომ ოჯახში მთავარი უნდა იყოს მამაკაცი , ცოლი კი მასზე უნდა იყოს დამოკიდებული. მან უდიდეს დანაშაულად მიიჩნია ქალისთვის ჩადრის მოხსნა , რადგან მისთვის ჩადრი იყო სიმბოლო არაბი ქალის სიწმინდისა და კდემამოსილებისა.

ჯებრანისგან განსხვავებით ალ- მანფალუტიმ არ მისცა ქალს ქმრის დამოუკიდებლად არჩევის უფლება.გადამწყვეტი სიტყვა მიაკუთვნა მამას, ან ძმას, ქალი კი უბრალოდ უნდა დამორჩილებოდა ოჯახის გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში თუ ქორწინება დაკავშირებული არ იქნებოდა ანგარებიან მიზნებთან. მან გაილაშქრა სიყვარულის

წინააღმდეგაც და თქვა , რომ ცოლ-ქმრული ცხოვრების საფუძელი არა სიყვარული, არამედ ურთიერთგაგება დაურთიერთპატივისცემაა.

ჩვენთვის ასევე საყურადღებოა ცნობილი ეგვიპტელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მუჰამმად ჰუსაინ ჰაიქალის (1888-1956 წწ) დამოკიდებულება ქალთა საკითხისადმი. ამ თემას მან მიუძღვნა მხატვრული ნაწარმოები „ზეინაბი” (1914წ) და „ასე შეიქმნა”(1955წ).

„ზეინაბში“ მ. ჰაიქალი შეეცადა ეჩვენებინა, რომ გლეხის ქალსაც შეუძლია სიყვარული. მან პროტესტი გამოთქვა ტრადიციის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ოჯახის შექმნაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მამაკაცს, მშობლებს, ქალის აზრი კი აბსოლუტურადაა უფლებელყოფილი. მწერალმა დააყენა საკითხი ქალისა და მამაკაცის უფლებრივი გათანასწოების შესახებ. ამავე საკითხს შეხო მ.ჰაიქალი მეორე ნაწარმოებში „ასე შეიქმნა“. თუმოქმედება „ზეინაბში“ სოფელში იშლება და მოქმედი პირები სოფლის მცხოვრებლები არიან, „ასე შეიქმნაში“ ყოველივე ქალაქში ხდება, პერსონაჟებიც ქალაქელები არიან, ამასთანავე მაღალი წრიდან და განათლებულნი. თუ „ზეინაბში“ ავტორი გამოვიდა ოჯახშიც კი ქალის უფლებობის წინააღმდეგ, „ასე შეიქმნაში“ მწერალმა რადიკალურად საპირისპირო ვითარება დაგვიხატა -ქალს უკვე მოპოვებული აქვს თავისუფლება, თანასწორობა მამაკაცთან როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. ორივე ნაწარმოებში ორი უკიდურესობაა ნაჩვენები: ერთში ქალის სრული უფლებობა, მეორეში სრული თავისუფლება. მწერლის აზრით, ორივე საზიანოა საზოგადოებისთვის, ვინაიდან და რადგანაც აბსოლუტური თავისუფლებისთვის ეგვიპტელი ქალი მოუმზადებელია, რადგან ევროპულ დონემდე ჯერ არ არის მისული. საბოლოოდ კი , ორივე უკიდურესობამ ერთნაირი შედეგი გამოიღო, ვერ შეიქმნა იდეალური ოჯახი, ორივე შემთხვევაში ოჯახი დაინგრა. თუ პირველში მიზეზი იყო მოძველებული ტრადიციები, მეორეში ტრადიციების აბსოლუტური უარყოფა. მუჰამად ჰაიქალიკი ცდილობს ამ ორ უკიდურესობას შორის იპოვოს ოქროს შუალედი.

როგორც უკვე შესავლაში ავღნიშნეთ არაბ რომანტიკოსებს აქვთ იდეალი, რომლის განხორციელება არსებულ სინამდვილეში შეუძლებელი იყო, სწორედ ამიტომ მათ უნდა აირჩიონ ან იდეალი ან სინამდვილე. მათ რჩებათ ერთადერთი გამსოავალი: ჩაიკეტონ საკუთარ თავში ან სინამდვილეს გაექცნენ. თუმცა ისინი მიჰყვებიან დასავლეთის რომანტიკოსების გზას, რის გამოც ბუნებაში გაქცევა უფრო ფართოდაა წარმოდგენილი ვიდრე საკუთარ თავში ჩაკეტვა. თავის მხრივ კი ბუნებაში გაქცევის გამოხატულება იყო შინაგანი სამყაროს წვდომა, ადამიანის სულიერი მხარეების გამოვლენა და შესწავლა. ეს მოვლენა თითქმის უცნობი იყო არაბული ლიტერატურისთვის, არაბმა რომანტიკოსებმა კი ჩაგვახედეს ჩვენს სულში. მათ ადამიანისსაკუთარი „მეს“ გამოვლენის საუკეთესო საშუალებად მიიჩნიეს სიყვარული

მართლაც არაბმა რომანტიკოსებმა თავიანთ შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმეს სიყვარულის თემას. ჯებრანთან სიყვარულის თემა მჭიდროდაა დაკავშირებული ქალთა ემანსიპაციის პრობლემასთან. როგორც რომანტიკოსს შეეფერებოდა, მან ქალთა

გადარჩენის გზა დაინახა სიყვარულში, რომელიც, მისიაზრით, წარმოადგენს „ერთადერთ თავისუფლებას ამ სამყაროში“. ჯებრანმა სიყვარული მიიჩნია ყველაზე ამაღლებულ გრძნობად, ყველაზე ძლიერად ამ შვენიერ მოვლენად. მან სამყაროში აღმოაჩინა ორი ძალა, რომელთაც ყველაფერი ხელეწიფებდათ. ესენია სიყვარული და სიკვდილი. მაგრამ უფრო მაღლა დააყენა სიყვარული. მისი გაგებით, სიყვარულის ხელოვნურად გამოწვევა შეუძლებელია. ის თავად მოდის და მოსვლისთანავე ააღორძინებს გულს. სიყვარული ადამიანს მოეველინება მოულოდნელად, პირველი შეხვედრისთანავე იპყრობს გულს. პირველი შეხვედრით გამოწვეული სიყვარული არის მარადიული. ვინც უარყოფს ასეთ სიყვარულს, მწერლის აზრით, არის „...უვიცი. ჭეშმარიტი სიყვარულია სული ასულიერი ურთიერთგაგებისა და თუ ეს გაგება არ მიიღწევა მაშინვე, მაშინ ის არ მოხდება არასდროს“.

მაშასადამე შეგვიძლია დავასკვნათ , რომ არაბი რომანტიკოსების შემოქმედებაში უდიდესი როლი უკავია ქალთა უფლებებისთვის ბრძოლას. თუ განმანათლებლები ქალთა ხსნის გზას ხედავდნენ განათლებაში და მათი ბრძოლა იფარგლებოდა ქალის უფლებების აღიარებით ოჯახში , რომანტიკოსებმა , განასაკუთრებით კი ჯებრანმა აღიარეს განათლების მნიშვნელობა, მაგრამ მათთვის გადამწყვეტი ფაქტორი გახლდათ ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებები ქორწინებაში, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია თავისუფლება სიყვარულში.

**დიდებაშვილი მარიამი, აშორტია თეკლე**


## **ჩრდილოსემიტური გავლენა სამხრეთარაბულ ენაზე**

ჩრდილოსემიტური გავლენა სამხრეთარაბულ ენაზე ისტორიულ კონტექსტში განსახილველი თემაა. სანამ უშუალოდ ამ საკითხზე ვისაუბრებთ, შევეხოთ ზოგადად სამხრეთარაბულს. სემიტურ ენათა კლასიფიკაციისას სამხრეთ-დასავლურ სემიტურ შტოს ორ ჯგუფად ყოფდნენ: ჩრდილოარაბულად და სამხრეთარაბულად (ეთიოპურთან ერთად, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამხრეთარაბულს ჩრდილოარაბულთან უფრო მეტი საერთო ნიშანი გააჩნია, ვიდრე ეთიოპურთან.

საკუთრივ სამხრეთარაბული ორ ქვეჯგუფად იყოფა: თანამედროვე, რომელშიც ერთიანდება შემდეგი სამეტყველო ენები: შაჰრი, მეჰრი, სოკოტრი, ჰარუსი. მეორე კი ეპიგრაფიკული ქვეჯგუფია, რომელიც ძირითადად ცნობილია იემენის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეპიგრაფიკული წარწერებით, ასევე ჰიჯაზსა და ელ-ულას ოაზისში.



სამხრეთარაბული ანბანი შეიცავს 29 ასოს – თანხმოვანებსა და ნახევრადთანხმოვნებს. აქ 6 ასოთი მეტია, ვიდრე სხა ძველ სემიტურ ანბანებში.



რაც შეეხება რიცხვით სახელებს, მათ აღსანიშნავად, რომაელების მსგავსად, ისინი იყენებდნენ მათი შესაბამისი სიტყვების პირველ ასოებს. სამხრეთარაბულ დამწერლობაში ასოები ვერტიკალურად, გადახრის გარეშე იწერება. ასოთა განლაგება ცხადყოფს, რომ სამხრეთ არაბეთის ქვისმთლელნი გამოირჩეოდნენ ოსტატობით. სიტყვები ერთმანეთისაგან სპეციალური ვერტიკალური ნიშნით არის გამოყოფილი. წერის მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივაა. გადატანისას სიტყვები დამარცვლილია. სახელების ფორმირების, ზმნის უღლების, ნაცვალსახელებისა და ლექსიკის თვალსაზრისით, სამხრეთარაბული გარკვეულწილად უახლოვდება აქადურს, თუმცა მსხვრეული მრავლობითის არსებობა მას ჩრდილოარაბულთან ანიჭებს მეტ მსგავსებას.

ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ, გარდა ამ ანბანისა, ჩრდილო-დასავლეთ არაბეთსა და სირიაში ცნობილი იყო კიდევ სამი დამწერლობა, რომლებიც მისი გავლენით აღმოცენდნენ და, შესაბამისად, განსხვავებაც ნაკლება შეიმჩნეოდა. აქედან პირველად უნდა აღინიშნოს საფაური, რომელიც ახ.წ. II-III საუკუნეებს განეკუთვნება და აღმოაჩინა 1857 წელს კ. გრეჰემმა. საფაური ძეგლები დამასკოს სამხრეთ-აღმოსავლეთით გვხვდება. აქ მცხოვრები ხალხის შესახებ მწირი ინფორმაცია არსებობს. გადმოცემით, საფაელთა სახელმწიფო ემორჩილებოდა საბას (სამხრეთარაბული სახელმწიფო), მაგრამ ადგილობრივები სამხრეთარაბულისაგან განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობდნენ.

ამ დამწერლობიდან მეორე გახლავთ სამუდური, იგივე პროტოარაბული. ამ ენაზე შესრულებული წარწერები ნაპოვნია სირიასა და მოგვიანებით ნაჯდიში. ეს წარწერები ძირითადად შიდავენ საკუთარ სახელებს, გვხვდება ცხოველთა სახელებიც. ის ფაქტი, რომ სამუდური წარწერები ბედიუნებს დღემდე აქვთ დაცული, პრესტიჟის საქმეა.

მესამე ტიპია ლიჰიანური. აღნიშნული ძეგლები თარიღდება ძვ.წ. აღ.-ის 400-200 წლებით. აქედან აღსანიშნავია დედანის მეფის წარწერა. ლიჰიანურის ანბანი შეიცავს 27 თანხმოვან ასოს. წერის მიმართულება კი მარჯვნიდან მარცხნივ არის.

კარსტენ ნიბური იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც ევროპას აცნობა სამხრეთარაბული წარწერების შესახებ. შემდგომში იოსებ ჰალევიმ არაერთი ადგილიდან ჩამოიტანა 685 წარწერის ასლები და 1882-94 წწ.-ში ედუარდ გლაზერმა სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად მოიპოვა 2000 წარწერა (ყველა მათგანი გამოქვეყნებულიც არ არის). ამ მეცნიერებმა დიდი შრომა ჩადეს სამხრეთარაბული წარწერების აღმოჩენასა და შესწავლაში.



სამხრეთარაბული ლიტერატურა ეპიგრაფიკული ხასიათისაა, მეტალსა და ქვაზეა შესრულებული. უძველესი წარწერები თარიღდება ძვ.წ. აღ.-ის VII-VI საუკუნეებით. ამ ენაზე შესრულებული წარწერების შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჰალევიმ, ლითმანმა, ჰომელმა და როდოკანაკისმა. მათმა შესწავლამ ცხადყო, რომ სამხრეთარაბთა უძველესი სახემწიფო იყო მინა, რომლის მოსახლეობამაც ძვ.წ. აღ.-ის მერვე საუკუნეში ინდოეთისა და წითელი ზღვის სანაპიროზე დააარსა კოლონიები. მათ სავაჭრო უთიერთობები დაამყარეს ქანაანლებთან და არამეელებთან სირიაში. ირკვევა, რომ ქალაქ ღაზაში ისინი გაეცნენ ფინიკიურ დამწერლობას, რის შესახებაც მეცნიერთა მოსაზრებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება (ამაზე ყურადღებას გავამახვილებთ სამხრეთარაბული ანბანის წარმოშობის შესახებ მსჯელობისასაც).

ამ ენაზე შესრულებული წარწერები მეექვსე საუკუნის შემდეგ აღარ მოგვეპოვება. მომდევნო საუკუნიდან იემენში ვრცელდება ისლამი და მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც არ სურდა მისი მიღება, აფრიკაში გადასახლდა.

თანამედროვე აბისნიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში დაიწყო სამხრეთარაბული ტომების გადასახლება, მოგვიანებით მათ დააარსეს აქსუმის სამეფო. აქედან მოღწეული ძეგლები შესრულებულია სამხრეთარაბულთან მეტად ახლოს მდგომი ანბანით. ისინი ორ ნაწილად იყოფა:

ერთენოვნად და ორენოვნად. აქსუმის ხალხის ენა იყო გეეზი(გადასახლებულთა ენა), ანუ კლასიკური ეთიოპური. სამეფომ მეთე საუკუნემდე იარსება. რაც შეეხება კლასიკურ ეთიოპურ ენას, დღემდე არსებობს, როგორც საღვთისმეტყველო ენა.

საინტერესოა, განვიხილოთ ისტორიულ ასპექტში ისიც, თუ როგორ მოახდინა გავლენა ჩრდილოსემიტურმა ენებმა სამხრეთარაბულზე. ამის გასაგებად საჭიროა გავეცნოთ იმ ისტორიულ ურთიერთობებს, რომლებიც არსებობდა მათ შორის ჯერ კიდევ სარგონ II-ის მეფობამდე. სავარუდოდ, ასურელები და არაბები პირველად ლევანტში ლაშქრობის დროს შეხვდნენ ერთმანეთს.

მველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნის ბოლოს სარგონი ცალსახად აღიარებს, რომ ასურელები კარგად არ იცნობდნენ არაბებს, რაც აღნიშნულია ხორსაბადის ანალებში, სადაც ის ამტკიცებს, რომ იძულებით გადასახლა ზოგიერთი მათგანი, ვინც ახლად განადგურებულ სამარიაში შეხვდა. ეს არაბები იყვნენ „შორიდან, ცხოვრობდნენ უდაბნოში, მათ არც ერთი ზედამხედველი ან გამგებელი არ იცნობდა“. ამ არაბებს, რომლებიც შეიპყრეს, უნდა ეცხოვრათ სამხრეთ-დასავლეთ სირიაში, რეგიონში, რომელსაც ეხება სარგონსა და მის მმართველებს შორის წარმოებული პროვინციული კორესპონდენცია. სარგონის მეფობის დროს აგრარული წარმოება მძიმედ დაზარალდა და სრულიად შესაძლებელია, რომ ამან დააჩქარა არაბების ფართომასშტაბიანი მოძრაობა აღმოსავლეთისაკენ მესოპოტამიაში საარსებო წყაროს მოსაძებნად. თუმცა რთულია მე-8 საუკუნის ბოლომდე მესოპოტამიაში არაბული საკუთარი სახელების იდენტიფიცირება როგორც ფონოლოგიური, ასევე ლექსიკური თვალსაზრისით. ზადოვი თავის კვლევებში ამბობდა, რომ ვერ იპოვა დამადასტურებელი დოკუმენტები ზემო მესოპოტამიასა და ასურეთში, გარდა ჰარანისა.

ასურეთში არაბთა შეღწევის უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია ლურსმული დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც ეხება არაბთა ცხოვრების სტილს, ნათელს ჰფენს, როგორი იყო დამასკოს არეალი 732 წლამდე პერიოდში. ასურელთა ინტერესი არაბთა მიერ შემოთავაზებული საქონლის მიმართ, რომელიც ლევანტის გავლით გადიოდა, მომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ ეს გზა არაბეთის ნახევარკუნძულიდან მესოპოტამიის მომხმარებლამდე მიდიოდა. ერთ-ერთ წერილში სარგონი, როგორც ჩანს, კითხულობს, თუ რატომ ძარცვავდნენ ზოგჯერ არაბები, რაზეც პასუხად მიიღო: „იმ წელს წვიმა ცოტა იყო“. ფირფიტის გატეხილი ნაწილი კი გვამცნობს არაბების გადასახლების მცდელობას. შემდგომში სარგონმა თავის მმართველს დაავალა, რომ არაბები გადაეყვანათ ჰინ-დანის მიდამოებში, სადაც თავიანთი საქონლის ძოვება თავისუფლად შეეძლოთ. რაც შეეხება საკუთარ სახელებს, ამ ეპოქამდე მცირეა მტკიცებულებები იმ ახალი მესოპოტამიური ტოპონიმების არსებობაზე, რომლებიც

დაკავშირებულია არაბულ ტომებთან. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ აშურბანიკალის წარწერები, რომლებშიც არაბთა ბელადების სახელებია გამოვლენილი.

ასურულ-ბაბილონური დოკუმენტები მოწმობს, რომ არაბები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სავაჭრო ურთიერთობებში მესოპოტამიასთან და სირიასთან ძვ. წ. მე-8 საუკუნიდან მოყოლებული. ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება ნიშნავს კულტურული ურთიერთობების დაწყებას და სწორედ ამ დროს ხდება ლექსიკის ურთიერთგაცვლა. სამხრეთარაბულ და ჩრდილოარაბულ ტომებს რადგან ჰქონდათ ეს კავშირები ასურულ-ბაბილონელებთან, ნიშნავს, რომ ეს ლექსიკის სესხება და ურთიერთგაცვლა მაშინ მოხდებოდა.

კარგი იქნება, თუ შევხებით აქადურისა და სამხრეთარაბულის კავშირსაც. ვოლფ ლესლაუს მოტანილი აქვს მოსაზრებები იმ მეცნიერებისა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ეს გარკვეული საერთო ნიშნები როგორც მორფოლოგიაში, ისე ლექსიკაში სამხრეთსემიტურსა და აქადურს შორის იმით აიხსნება, რომ ისინი მონათესავე სემიტური დიალექტებია და, ერთი მხრივ, უნდა დავაჯგუფოთ აქადური და სამხრეთსემიტური, მეორე მხრივ კი – დასავლური სემიტური ენები: ქანაანური, არამეული და ჩრდილოარაბული. ვოლფ ლესლაუ ასევე ხაზს უსვამს იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ არ არსებობდა საკმარისი არგუმენტები აქადურისა და სამხრეთსემიტურის დასაკავშირებლად.

ის, თუ რატომ იყო მსგავსება მათ შორის და რატომ შეიძლებოდა არსებულიყო ერთიანი ლექსიკა, აიხსნება იმით, რომ უძველესი დროიდან ჩრდილოარაბულ ტომებსაც და სამხრეთარაბულ ტომებსაც უკვე შეხება ჰქონდათ ასურელებთან და ბაბილონელებთან. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ურთიერთგაცვლა მათ შორის ლექსიკის სფეროშიც აუცილებლად მოხდებოდა.

რაც შეეხება დამწერლობას, როდესაც მსჯელობენ სამხრეთარაბული ანბანის წარმომავლობის შესახებ, უპირველესად ხაზს უსვამენ, რომ იგი მომდინარეობდა ფინიკიურიდან. სამხრეთარაბული ტომები მჭიდროდ იყვნენ ჩართულნი ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობაში ლევანტის ქვეყნებთან და, მათ შორის, ფინიკიელებთან. როგორც ფინიკიელები, ასევე სამხრეთ არაბები ნავიგაციის საქმესა და საზღვაო ვაჭრობაში აქტიურობდნენ, ეს განაპირობებდა მათ შეხვედრებს და სწორედ სავაჭრო ურთიერთობების შედეგად გავრცელდა დამწერლობა ყველაზე სწრაფად. ეს ურთიერთობები სამხრეთ არაბულ ტომებსა და ფინიკიელებს შორის კარგად ხსნის

იმას, რომ სამხრეთარაბული დამწერლობა, მეტად საფიქრებელია, ფინიკიურისგან განვითარდა.

საკუთრივ ფინიკიურის წარმოშობის შესახებ გვაქვს ორი თეორია. არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ცდილობენ ფინიკიურის დაკავშირებას ლურსმულ დამწერლობასთან, მაგრამ ეს არ მტკიცდება. უფრო მეტი არგუმენტი ჩანს იმის სასარგებლოდ, რომ დასავლური სემიტური დამწერლობა, სანამ მას ფინიკიურის სახე მიეცემოდა, ჩამოყალიბდა ეგვიპტურის საფუძველზე. ეგვიპტეშივე დაიწყო იეროგლიფური დამწერლობა, რომლის საბოლოო გამარტივების შედეგადაც მივიღეთ უძველესი დასავლური სემიტური დამწერლობა, ცნობილი, როგორც სინას დამწერლობა. მისი სახელწოდება მომდინარეობს სინას ნახევარკუნძულზე ნაპოვნი სტელეებით, სადაც ნიშნები თითქოს ეგვიპტურია, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ისინი არსებითად სახეცვლილია და არის წინამორბედი კლასიკური დამწერლობისა, რომელსაც ეწოდა ფინიკიური და უძველესი ებრაული.

უშუალოდ სინას ნახევარკუნძულის ამ წარწერებს ხომ არ უკავშირდება სამხრეთარაბული? იყვენენ მეცნიერები, რომლებიც ამ აზრს იზიარებდნენ. მაგრამ აქ დგება ქრონოლოგიის პრობლემა, ვინაიდან სინური წარწერები თარიღდება ძვ. წ. მეორე ათასწლეულით, დაახლოებით მე-19 საუკუნიდან დაწყებული. რაც შეეხება ძველ ებრაულსა და ფინიკიურს, მათზე შესრულებული ძეგლები თარიღდება ძვ. წ. XI საუკუნით. აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა სამხრეთარაბული დამწერლობის ნიმუშები დავუკავშიროთ ძვ. წ. აღ.-ის მეორე ათასწლეულის სინურ წარწერებს, მაშინ, როდესაც არ არსებობდნენ არც ებრაელები და არც ფინიკიელები? მართალია, მეცნიერთა ნაწილი ცდილობს სამხრეთარაბულის დაკავშირებას სინას ნახევარკუნძულთან და ფიქრობს, რომ ამ ტომებმა ძვ. წ. მეორე ათასწლეულში დაიწყეს ეთიოპიის ტერიტორიაზე გადასვლა, მაგრამ უფრო მეტად მისაღებია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სამხრეთარაბული წარწერები უნდა დავათარიღოთ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით, იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც უკვე გამოკვეთილად არსებობდა ფინიკიური დამწერლობა. თვითონ სამხრეთარაბული დამწერლობა წარმოიქმნა იემენის ტერიტორიაზე და არა სინას წარწერებიდან, არამედ ფინიკიურთან კავშირში, რაც შეიძლება კვალიფიცირებული იყოს, როგორც ჩრდილოსემიტური გავლენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი.

ამრიგად, წარმოდგენილი მასალა სამხრეთარაბული ენის ნასესხები ლექსიკის სფეროში, თეორიები მისი ანბანის წარმოშობისა და მონათესავე დიალექტების შესახებ, ისტორიული ფონის ნაწილობრივი ანალიზი გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. აშკარაა ჩრდილოსემიტური გავლენა სამხრეთარაბულზე, რაც

გამოწვეული იყო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებით და დამტკიცებულია დროის სხვადასხვა მონაკვეთსა და სხვადასხვა სივრცეში აღმოჩენილი ძეგლებით, ისტორიული მონაცემებით. ეს გავლენა იკვეთება როგორც ლექსიკის სფეროში (ასურულ-ბაბილონური ნასესხობანი სამხრეთარაბულში), ასევე დამწერლობის წარმოშობაშიც – სამხრეთარაბული ანბანი, ყველაზე აღიარებული თეორიის თანახმად, უძველეს ჩრდილო-დასავლურ სემიტურ, ფინიკიურ დამწერლობას უკავშირდება.

*მაქა ნაციშვილი; თეკო ჩხაპელია*



### **„ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობის კონცეფციის აღმოსავლური წყაროები – „რამიანა“ და „ლეილი და მაჯნუნი“**

საქართველოს კავშირი აღმოსავლურ სამყაროსთან უძველესი დროიდან დასტურდება. მრავალსაუკუნოვანმა

პოლიტიკურ-ეკონომიკურმა

ურთიერთობებმა თავისი კვალი დატოვა ქართულ კულტურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებასა და ლიტერატურაში. ქართულად ითარგმნა: ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, გურგანის „ვისი და რამინი“, ონსორის „ვამეყ და აზრა“, ნიზამი

განჯევის „ლეილი და მაჯნუნი“, „ხოსროვი და შირინი“ და მრავალი სხვა ლიტერატურული ნაწარმოები. ამგვარი ლიტერატურული ურთიერთობების წიაღში დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ლიტერატურის შედეგრი.

„ვეფხისტყაოსანი“ სამიჯნურო-საგმირო პოემაა. მიჯნურობა და რაინდობა პოემის მთავარი მოტივებია, თუმცა უდავოა, რომ ამასთან ერთად, რუსთაველი მეგობრობის სანიმუშო იდეალს ქმნის. აკად. ვ. კეკელიძის შეფასებით, რუსთაველისეული მოყვრობისა და მეგობრობის ღრმა გრძნობა სცილდება ეროვნულ-პოლიტიკურ ვიწრო ჩარჩოებს და სხვადასხვა ეროვნების გმირებს მოუწოდებს ზოგადი საკაცობრიო იდეალების სამსახურისკენ (1952: 127). არაბი, ინდოელი და მულღაზანზარელი

გმირების მეგობრობის ჩვენებით რუსთაველი, მართლაც, მოყვასისა და მეგობრის ზოგადსაკაცობრიო იდეალს აყალიბებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ის გამონაკლისი არაა, ამის დასტურად სწორედ აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშებს მოვიტანთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ რუსთაველისეული „მოყვრობა-მეგობრობა“ ემსგავსება როგორც შუა საუკუნეების აღმოსავლური ლიტერატურის ძეგლებში დადასტურებულ მეგობრობის კონცეფციას, ისე უფრო ადრეულ პერიოდში შექმნილ ეპოს „რამაიანასაც“ (2009: 550-555).

„რამაიანა“ სანსკრიტულ ენაზე შეიქმნა. ინდუსური ტრადიცია ეპოსის ავტორად ბრძენ ვალმიკს მიიჩნევს, რომელიც სხვა წმინდა ტექსტების ავტორიც უნდა ყოფილიყო. კოსალის მეფის უფროსი ვაჟის, რამას თავგადასავალი ძალზედ პოპულარული გახდა მთელ აღმოსავლურ ლიტერატურაში. აქედან გაიცნო და შეითვისა ის მსოფლიო ლიტერატურამაც.

რამას და ლაქშმანას საუბარმა ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობა პირველად სოლომონ იორდანიშვილს მოაგონა (1951: XIV). მოგვიანებით „რამაიანას“ და „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსება რუსთაველის პოემის ინგლისურად მთარგმნელმა, ქეთრინ ვივიანმა აღნიშნა (1981: 216-222). დღეისათვის არანაირი ცნობა მოგვეპოვება იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა აღნიშნული ეპოსი შუა საუკუნეებში ქართულად და იცნობდა თუ არა მას რუსთაველი, თუმცა ინტერტექსტური ანალიზი ცხადყოფს, რაოდენ დიდია მასში ასახული მეგობრობის გავლენა „ვეფხისტყაოსნისეულ“ მეგობრობაზე.

„ვეფხისტყაოსანში“ სამი რაინდის – ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის–მეგობრობა „რამაიანას“ რამას, ლაქშმანას, სუგრივას მეგობრობას ჰგავს. ავთანდილისა და ტარიელის დამეგობრება შემდეგნაირად ხდება: ავთანდილი ნადირობისას გადაეყრება უცხო მოყმეს, რომელიც ყველას დიდად გააოცებს თავისი სიმამაცით, თუმცა შემდეგ უგზო-უკვლოდ გაუჩინარდება; ავთანდილი სატრფოს დავალებით მიდის უცხო მოყმის მოსაძებნად; სამწლიანი ძებნის შემდეგ მიაკვლევს ტარიელის სამყოფელს. გამოქვაბულში დაბრუნებულ ტარიელს ასმათი ურჩევს, რომ საჭიროა, ისეთი კაცის ყოლა, რომელიც გასაჭირში მუდამ მის გვერდით იქნება და ამით დარდს შეიმსუბუქებს. ტარიელს დარდის გამზიარებელი არავინ ეგულება ქვეყნად. მაშინ, ასმათი დააფიცებს ტარიელს, რომ ასეთ კაცს თავად მიგვრის, თუკი უცხოს არაფერს დაუშავებს. შეხვედრისთანავე ტარიელი და ავთანდილი გადაეხვევიან ერთმანეთს, უცხოობას არ მოერიდებიან და დიდხანს იტყობენ. მაშასადამე, ისინი ერთი ნახვით

დამეგობრდნენ. ასევე ერთი შეხვედრით დამეგობრდნენ ტარიელი და ფრიდონი: ტარიელი ავთანდილს უამბობს, რომ ფრიდონი მისი ერთი დანახვით მოიხიბლა („შემომხედნა, მოვეწონე...“). გავა დრო და ავთანდილი და ფრიდონიც დამეგობრდებიან. „რამაიანაშიც“ სამი მეგობარია. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში დამეგობრების მოტივი არის განსაცდელში ჩავარდნილის დახმარება: ტარიელის განსაცდელი გამოწვეულია ქაჯების მიერ სატრფოს დატყვევებით. ზუსტად ასეთი ვითარება გვაქვს „რამაიანაშიც“: რამას მეუღლე სიტა დაატყვევეს რაქმასებმა. რამას სატრფოს გამოხსნაში დაეხმარება უმცროსი ძმა, ლაქშმანა და მაიმუნთა მეფე სუგრივა. საყურადღებოა კიდევ რამდენიმე მომენტი:

1. რაქმასების მიერ გატაცებული სიტას გამოსახსნელად რამა მარტო არ მიდის, მას ლაქშმანა და სუგრივა ეხმარებიან. სამი მეგობარი საერთო ძალით დაიხსნის რამას სატრფოს. ნესტანის ქაჯთაგან გამოსახსნელადაც სამი მეგობარი იბრძვის;

2. „ვეფხისტყაოსანში“ ფრიდონი ჯერ ტარიელს ხვდება. ბიძაშვილების მიერ გამოდევნილი, დაჭრილი მხედარი შეხვდება ტარიელს, რომელსაც უამბობს თავის გასაჭირს. ტარიელი ფრიდონს დაეხმარება ბიძაშვილების ლაშქრის დამარცხებასა და კუთვნილი კუნძულის დაბრუნებაში. „რამაიანაში“ სუგრივა, ფრიდონის მსგავსად, თავისი სამეფოდან გამოდევნილია ძმების მიერ. რამა და ლაქშმანა მას ტახტის დაბრუნებაში დაეხმარებიან. მაშასადამე, ფრიდონისა და ტარიელის, რამასა და სუგრივას მეგობრობა ყველაზე ნათლად ურთიერთდახმარებაში ვლინდება – კუთვნილი მიწის დაბრუნების სანაცვლოდ მოგვიანებით მეგობრის სატრფოს გამოხსნის დრო დგება;

3. ფრიდონის მსგავსად, პირველ მიმართულებას, „გასაღებს“ სატრფოს მოძებნის საქმეში რამას სუგრივა აძლევს, როდესაც უამბობს, როგორ დაატყვევეს დემონებმა სიტა. ასე იქცევა ფრიდონიც, როცა იგი ტარიელს შავი მონების მიერ ნესტანის დატყვევების ამბავს უყვება.

„რამაიანას“ გარდა, რუსთაველი თავისი დროის აღმოსავლური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებსაც იცნობდა. პოემაში იგი ასახელებს ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ გმირს – როსტომს, გურგანის ვისსა და რამინს, ნიზამი განჯევის „ლეილისა და მაჯნუნის“ გმირებს. დასახელებულ თხზულებებთან „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვაგვარ მსგავსებას ავლენს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ამ ეტაპზე მეგობრობის კონცეფციასთან დაკავშირებული ურთიერთმიმართებაა. რუსთველოლოგების მიერ შენიშნულია, რომ დასახელებულ თხზულებათაგან რუსთველისეული მოყვრობა-მეგობრობის კონცეფცია განსაკუთრებით ემსგავსება



მაჯუნისა და ნავფალის დამეგობრების ამსახველ სურათებს პოემაში „ლეილი და მაჯუნნი“.

„ლეილი და მაჯუნნი“ XII საუკუნის აღმოსავლური ლიტერატურის ბრწყინვალე შედეგია, რომელიც სიყვარულის ყოვლისმომცველ ძალას უმღერის. ნიზამი განჯევის პოემა მალევე გაიცნო და შეითვისა მსოფლიო ლიტერატურამაც. გარდა მიჯნურობისა, პოემაში მოცემულია სანიმუშო მეგობრობის ამსახველი ამბებიც, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილისა და ტარიელის მეგობრობას ემსგავსება. სატრფოს სიყვარულით გახელებული მაჯუნნი, ტარიელის მსგავსად, ტყეში გაიჭრება, იტანჯება და განუწყვეტლად ცრემლს ღვრის. ერთ დღესაც მას სანადიროდ ტყეში გასული რაინდი ნავფალი გადაეყრება, რომელიც მოიხიბლება მაჯუნნით და განსაკუთრებული თანაგრძნობით განიმსჭვალება მამინ, როცა შეიტყობს, რომ მაჯუნნი არის სატრფოსაგან მოშორებით გახელებული, უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი ჭაბუკი. ეს სცენა განსაკუთრებით ემსგავსება ავთანდილისაგან უცხო მოყმესთან შეხვედრის, მისი ვინაობით დაინტერესების და მისი თავგადასავლის შეტყობის ეპიზოდებს. ავთანდილის მსგავსად, უცხო მოყმით მოხიბლული ნავფალიც ახლად შექმნილ მეგობარს აღუთქვამს დახმარებას. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად „ლეილი და მაჯუნნის“ გმირები დამეგობრდებიან იმ მოტივით, რომ ახლად გაცნობილ ჭაბუკს დაეხმარონ განსაცდელში. განსაცდელი კი, ორივე შემთხვევაში, სატრფოსგან მოშორებითაა გამოწვეული.

განხილული ტექსტური ურთიერთმიმართებები ცხადყოფს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი კარგად იცნობდა აღმოსავლურ ლიტერატურას. პოემის სამყარო კი ეს ცოდნა აირეკლა. ნათლად ჩანს, რომ საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ხანგრძლივი პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობებით შექმნილი ისტორიული ვითარება და სამწერლობო ტრადიციების ურთიერთათვისების მკვეთრად გამოხატული ტენდენცია არის ის მთავარი მოცემულობა, რომლის წიაღშიც დაიბადა გასწავლებული იდეური თუ ლიტერატურული წყაროებით ნასაზრდოები რუსთაველისეული მეგობრობა.

*ცისანა ბაბუნიაშვილი*

## სიყვარულის აპოლოგია და მისი მხატვრული რეალიზაცია შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში

### („ვეფხისტყაოსნის“, „ტრისტანის და იზოლდას“, „ვისი და რამინის“ მაგალითზე)

სასულიერო მწერლობიდან საერო მწერლობაზე გადასვლა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ შეიცვალა ადამიანის იდეალი და მისი წვდომის გზა. თუ აგიოგრაფიული გმირის იდეალს ღვაწლით ან მარტვილობით, ანუ უხორცო თუ ხორციელი მსხვერპლით სასუფევლის დამკვიდრება წარმოადგენდა, საერო გმირისთვის მთავარი იდეალი სოყვარულია და ის ისწრაფვის ამ იდეალს ამქვეყნადვე „მიჰხვდეს“. გვიანდელ შუასაუკუნეებში სიყვარული იქცა ადამიანის საგმირო საქმეებისთვის აღმაფრთოვანებელ, ამაღლებულ, გმირის გამაკეთილშობილებელ გრძნობად, მისი პიროვნული სრულყოფის ძირითად გზად. „ვეფხისტყაოსანი“, „ტრისტანის და იზოლდას რომანი“, „ვისი და რამინი“ სწორედ სიყვარულის ამამაღლებელ ძალას უმღერის, რომელიც აშიშვლებს გმირში შინაგან „მე“-ს და სრულიად ახლებური კუთხით წარმოაჩენს მას, ხატავს რა გმირის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, მის ხასიათს. უნდა ითქვას, რომ სამივე ნაწარმოებში ერთნაირია მიჯნურობის გამოხატვის მოტივები და ხერხები: ერთი ნახვით შეყვარება, დაბნედა, დასნეულება, სასიყვარულო ცეცხლით წვა, სატრფოსთვის თავგანწირვა, მისი დავალების შესრულება, საჩუქრების და გულების გაცვლა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მიჯნურობა აღმოსავლური და ევროპული სიყვარულის კონცეფციების შეჯერებითაა გადმოცემული, მას მაინც ავტორისეული ხედვა ამთლიანებს.

„ვეფხისტყაოსნისგან“ განსხვავებული მორალი ამოდრავებთ „ვისრამიანისა“ და „ტრისტანისა და იზოლდას“ პერსონაჟებს. ამ რომანების მთავარი სიუჟეტური ქარგა ემყარება სასიყვარულო სამკუთხედს. ლტოლვა, რომელიც გამოწვეულია საყვარელი ადამიანის მიმართ, ახელებს პერსონაჟებს და ერთგვარად აღრმავებს უფსკრულს გრძნობათა სტიქიასა და საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს შორის (ელბაქიძე 2001, 272). ამის გამო პიროვნება მთელი თავისი ინდივიდუალიზმით ეწინააღმდეგება გაბატონებულ დოგმებსა და წესებს და განადიდებს აკრძალულ სიყვარულს.

საინტერესოა, მაინც რა არის „ვირამიანი“ და „ტრისტანი და იზოლდა“ - სულისგამხრწნელი რომანი თუ ყოვლისმომცველი სიყვარულის აპოლოგია? ჩანს, ამ თხზულებათა ავტორთათვის სიყვარული ერთგვარ ჩარჩოებშია მოქცეული:

შეყვარებულმა ადამიანმა ტანჯვაში უნდა განლიოს ცხოვრება, გადალახოს არაერთი დაბრკოლება და გაუძლოს მრავალ უძილო ღამეს. მსგავსი კონცეფცია უდევს საფუძვლად სიყვარულის გამოვლენას რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“. აქ შეყვარებული რაინდები თავს დებენ სატრფოთათვის და მზად არიან, მათთვის სიცოცხლეც კი დათმონ. ტარიელი გახელებულია, სისხლის ცრემლებს ღვრის სატრფოს დაკარგვის გამო და სიკვდილს ნატრობს, რათა საიქიოში მაინც შეძლოს მასთან შეერთება. ავთანდილი სატრფოს დავალების შესასრულებლად ყველაფერს თმობს და უცნობი, შესაძლებელია სულაც არარსებული „უცხო მოყმის“ საძებრად შორეულ მოგზაურობაში ებმება. ყოველივე ამას კი თან ახლავს ერთგვარი „სიხარული“ სატრფოს დავალების სესრულებისათვის მზაობის გამო. სწორედ ეს არის ის პარადოქსი, რაც გამოარჩევს შუა საუკუნეების რაინდულ სიყვარულს სხვა ეპოქებისგან. ამ დროს მიჯნური გრძელ გზასაც სიამოვნებით გადის და მრავალ ფათერაკსაც წარბშეუხრელად უსწორებს თვალს. „ვისრამიანში“ „ტრისტანისა და იზოლდას“ რომანში და „ვეფხისტყაოსანში“ ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ჩამოყალიბებულია გარკვეულ წესები სიყვარულისა. თუმცა ვეფხისტყაოსნიდან ამ ორ თხზულებას განასხვავებს მთავარ მოტივად ადიულტერის, ანუ მეუღლის ღალატის მოაზრება. მოაზრება უიმედოდ უყვარს ვისი, ისევე როგორც მეფე მარკს - იზოლდა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კანონიერი ქმრები არიან, მარად უსიყვარულობისთვის არიან განწირულნი.

ამ თხზულებების მორალურ-ეთიკურ კონცეფციაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია როგორც მოცემული ეპოქის ლიტერატურული გემოვნება და სტილი, ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წყობა, კულტურული ვითარება, რომელშიც აღმოცენდა შესაძარებელი ლიტერატურული ძეგლები. აღსანიშნავია, რომ ვისისა და რამინის და ტრისტანისა და იზოლდას სიყვარული, ზნეობრივ-მორალური ფიზიონომია და მათი საქციელი იმთავითვე მკითხველი საზოგადოების გასაკიცხად იყო გამხდარი. უკმაყოფილებას იწვევდა შეყვარებულთა ერთობ აღვირახსნილი, ხორციელი მიჯნურობა, რომელიც სასიყვარულო სამკუთხედს ქმნიდა.

ფეოდალურ ხანაში ქორწინება საქმიან გარიგებად იყო ქცეული, რის გამოც მეუღლეთა შორის ჭეშმარიტი სიყვარული ძნელად და, უფრო ხშირად, ვერ აღიძვრებოდა. ცოლქმრულ სიყვარულში დომინირებდა მოვალეობისა და აუცილებლობის ელემენტი, რის გამოც სიყვარულმა მთელი თავისი სიფაქიზითა და დახვეწილობით დაიწყო გამოვლენა „აკრძალული გრძნობის“ სახით (ელბაქიძე 2001, 281). ცოლქმრული ღალატის იდეალიზაციას არ ემხრობოდა ქართული „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც სიყვარული ღვთაებრივ გრძნობადაა წარმოჩენილი და

ტრფობის ობიექტი ზნეობრივად იდეალურ ქალად გვევლინება. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ რუსთველის ნაწარმოები ეკლესიის მხრიდან დევნის ობიექტიც კი ხშირად ხდებოდა. ქრისტიანული ერისთვის, სადაც სასულიერო ლიტერატურა იყო გაბატონებული, ერთგვარი ნოვატორობა და ადამიანური ვნებების შემოტანა, ბუნებრივია, უკმაყოფილობას გამოიწვევდა რიგ მკითხველშიც.

რაც შეეხება ვის ო რამინს და ტრისტანისა და იზოლდას რომანს, ყოვლისმომცველი ვნება ამ ორ ნაწარმოებში გამსჭვალულია აკრძალული სიყვარულის იდეით, რაც განპირობებულია უცილობელი და გარდაუვალი ბედისწერით. ვის ო რამინში ამ იდეის განხორციელების საფუძველი დაუბადებელი ქალის გათხოვებაა (დედამ შაჰ მოაბადზე ჯერ არდაუბადებელი ვისი დანიშნა). ბედისწერის „ხელად“ გვესახება „ტრისტანსა და იზოლდაში“ ძიძის მიერ სასიყვარულო სასმელის დამზადება და გმირების მიერ მისი გასინჯვა. ბედის გარდაუვალობაზე საუბრობენ თავად ნაწარმოებთა ავტორებიც. სპარსელი პოეტი ფახრ-ალ-დინ ასად გორგანი ერთგან ამბობს: „ყოველი კაცი ეტლისაგან იქმნების ბედნიერი და უბედური, ღმრთისა განგებისაგან მოვა კაცისა თავსა ზედა, რაცა მოვა, მით რომელ კაცთა სახელად მონა ჰქვიან“ (ელბაქიმე 2001, 283).

აღსანიშნავია, რომ ბედისწერასთან ერთად ნაწარმოების პერსონაჟებს ბრძოლა უწევთ მოვალეობებთანაც. სიყვარულისა და რაინდული მოვალეობების ჭიდილი, ვფიქრობ, სამივე ნაწარმოებში ნათლადაა გამოვლენილი. მიჯნურის სასოწარკვეთისა და ტანჯვის გამომხატველი ხანგრძლივი პასაჟების სანაცვლოდ ერთი სტროფის ფარგლებშია გადმოცემული სატრფოსთან განშორებით გამოწვეული უსაზღვრო სევდა და, ამავე დროს, ავთანდილის მზადყოფნა რაინდული თუ ადამიანური ვალის აღსასრულებლად:

*„მომორება საყვარლისა მას შეჰქმნოდა მისად ღაზოდ,*

*ცრემლსა ვითა მარგალიტსა ჰყრის ვარდისა დანასაზოდ.*

*რა გათენდა შეეკაზმა, მისტა მჭვრეტთა სალამაზოდ,*

*ცხენსა შეჯდა გაემართა, დარბაზს მივა სადარბაზოდ“ (რუსთაველი, 1966, სტრ. 141).*

აქ ავთანდილი წარმოდგენილია როგორც ჭეშმარიტი მიჯნური და სწორუპოვარი მეომარი, რომელიც შინაგანად მოტივირებულია თავისი მოვალეობის აღსასრულებლად. ამის ფონზე გვევლინებიან ტრისტანი და რამინი, რომლებთაც უწევთ საკუთარ თავთან გაცილებით მეტი ბრძოლის გადატანა. თუმცა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სიყვარულით გულდაღაზვრულნი გრძნობებს ვერ ერევიან და

უნებლიეთ ღალატობენ უახლოეს ადამიანებს (მოაბადი რამინის ძმაა, მეფე მარკი - ტრისტანის ბიძა). არადა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მთავარი „გამოცდა“, მათი ყველაზე დიდი ღირსება სწორედ საკუთარი ემოციების დაჯაბნასა და გულზე გონების გამარჯვებაში მდგომარეობს.

სამივე ნაწარმოებში ერთნაირია შუამავალი ქალის მოტივი. „ვისრამიანში“ და „ტრისტანისა და იზოლდას“ რომანში ის ძიძის სახით გვევლინება, „ვეფხისტყაოსანში“-ასმათისა. მათ ამ რომანებში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ, ისინი არიან შუამავლები და ხელშემწყომნი შეყვარებულ წყვილთა ურთიერთობისა. თუმცა ასმათის უანგარო ერთგულება განსხვავდება ვისის ძიძისა და იზოლდას ძიძის დამოკიდებულებისგან.

კიდევ ერთი მოტივი, რომელიც ამ თხზულებების სიყვარულის კონცეფციაში უმტავრესია, არის სასიყვარულო ფიცი, რაც ტრადიციულ თან ახლავს დიად გრძნობას შეყვარებულ წყვილს შორის. ეს მოტივი მსოფლიო ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია და ერთგვარად აწესრიგებს, ზნეობრივ ჩარჩოებში აქცევს შეყვარებულთა სამიჯნურო ურთიერთობას. ფიცს ხშირად თან სდევს რაიმე ნივთის ჩუქებაც, რაც ერთგვარ საკრალურ დანიშნულებასაც იძენს და სიმბოლური დატვირთვის მატარებელი ხდება (ელბაქიძე 2001). მოვიხმოზ ერთ-ერთ პასაჟს „ტრისტან და იზოლდადან“. ინგლისელი რაინდი ტრისტანი ირლანდიელ პრინცესას ნიჟარების სამაჯურს უძღვნის. რამინის სასიყვარულო ფიცის შემდგომ ვისი იის კონას მისცემს მას და ეტყვის: სადაც არ უნდა იყო, როგორც კი ამოსულ იას დაინახავ, მაშინვე მოგაგონდებიო. სასიყვარულო ფიცი და მისი დამადასტურებელი ნიშნის მოტივი ჩანს „ვეფხისტყაოსანშიც“. აქ სიყვარულის ფიცთან მჭიდროდ გადახლართულია პერსონაჟთა შინაგანი განცდებიც. სასიყვარულო ცეცხლით მოსილი თინათინი ავთანდილს ეუბნება:

*„ფიცით გიხმოზ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,*

*მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი“* (რუსთაველი, 1966, სტრ.137)

იმავე შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია ტარიელის მიერ სატრფოსთვის ბოძებული რიდე, რომელიც ქაჯეთში გამომწყვდეული ნესტან-დარეჯანისთვის დაკარგული სიყვარულის მოგონებაცაა და იმედის სიმბოლოც, რომ ერთ დღეს კვლავ დაუბრუნდება მიჯნური. სასიყვარულო ფიცის გამოხატულებად იქცა ტრისტანის მიერ იზოლდასთვის ნაჩუქარი სამაჯურიც, რომელსაც იზოლდა სხვა მამაკაცთან ქორწინებაში მყოფიც არ იხსნის.

საერთო ჯამში, სიყვარული ყველა თავისი დამახასიათებელი ნიშნითაა გამოვლენილი მოცემულ ნაწარმოებებში. რაც შეეხება ვისისა და რამინის, ტრისტანისა და იზოლდას დამოკიდებულებას, შმაგ გრძნობად ქცეული, აკრძალული სიყვარულის გამოვლენა დიადი სიყვარულის აპოლოგიადაა ქცეული.

*ეთერ ნარეკლიშვილი*

## **„მცდარი გაევროპელების" თემა აჰმედ მიდჰათის რომანში „ფელათუნ ბეი და რაქიმ ეფენდი“**

თურქული ლიტერატურის ისტორიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით თანზიმათის პერიოდს, რამდენადაც ამ დროს შექმნილი ნაწარმოებები ფრიად დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ხოლო როდესაც თანზიმათის პერიოდის ნაწარმოებებს განვიხილავთ, აუცილებლად გადავაწყდებით "მცდარი გაევროპელების" (Yanlış Batılılařma) თემას. ეს საკითხი, რომელიც აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული მემკვიდრეობის დღის წესრიგში მდგარ მთვარ პრობლემას წარმოადგენს, შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც თანზიმათის პერიოდში მოღვაწე ინტელიგენციის მღელვარების ძირითადი საბაზი.

თანზიმათის ინტელექტუალების შფოთის მთავარი წყარო ის ცვლილებები იყო, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში 1800-იან წლებში მიმდინარეობდა. ოსმალეთი, რომელსაც უკვე დიდი ხანია ძველი სამხედრო ძლიერება დაეკარგა და თანდათან ეკონომიკაც სუსტდებოდა, დასავლეთისაკენ იღებს გეზს. იწყება რეფორმებისა და თურქი ერის გაევროპელების პროცესი, რასაც საფუძველი 1839 წლის 3 ნოემბერს გამოცემულმა "გიულჰანეს ჰატი შერიფმა" დაუდო. რეფორმაციული მოძრაობისთვის სამაგალითო ქვეყნები ევროპული სახელმწიფოები გახდნენ, რომლებსაც ოსმალები ახლა უკვე თავიანთ ქვეყანაზე ბევრად ძლიერებად მიიჩნევდნენ.

რა თქმა უნდა, რეფორმები არ შეხებია მხოლოდ სახელმწიფო უწყებებს, არამედ მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო. გაიზარდა რა მათი რიცხვი, ვინც მსგავს დაწესებულებებში სამუშაოდ მომზადებას ევროპელი მასწავლებლებისა და

ოფიცრების მეთვალყურეობის ქვეშ, ზოგჯერ კი სრულიადაც ევროპაში გადიოდნენ, ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში ცხოვრების დასავლური წესი ჩამოყალიბდა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არცისე დადებითი შედეგების მომტანი აღმოჩნდა, რამეთუ თურქი ერის გაევროპელების პროცესი აბსოლუტურად არასწორად წარიმართა. სიახლეებისთვის ისედაც მოუმზადებელმა საზოგადოებამ "გაევროპელების" არსი მცდარად აღიქვა, რაც არათუ კეთილდღეობის, არამედ პირიქით, სრული კრახის მომტანი იქნებოდა ქვეყნისათვის.

ზემოთ ნახსენები ინტელექტუალებიც ამ გარემოში იზრდებოდნენ. ისეთმა მწერლებმაც, როგორებიც არიან ნამიქ ქემალი, რეჯაიზადე მაჰმუდ ექრემი და აჰმედ მითჰათ ეფენდი, ასევე მიიღეს დასავლური განათლება და ძალიან ახლოს გაეცნენ იქაურ კულტურასა და ხელოვნებას. მიუხედავად ამისა, ისინი თვლიდნენ, რომ ოსმალეთის იმპერიას დასავლეთის მხოლოდ "კარგი" მხარეები უნდა გაეთავისებინა. ხოლო ხალხი, ვინც მთლიანად ერწყმოდა ცხოვრების ევროპულ სტილს და ამასთან სრულიად შორდებოდა საკუთარ კულტურას, მათთვის ნეგატიურ სახეს იღებდა, ყალიბდებოდნენ ადამიანებად, რომლებსაც არ ესმოდათ ვერსტერნიზაციის არსი. სწორედ ამიტომაც, რომ შერიფ მარდინი, რომლის თქმითაც, თურქეთი გაევროპელების გზაზე უამრავ სირთულეს წააწყდა, ასევე აღნიშნავს, რომ თურქეთის გაევროპელების საკითხის განსახილველად და შესაფასებლად მთავარ წყაროს თურქული ლიტერატურა წარმოადგენს.

თანზიმათის მწერლები, როგორც წესი, იმ ცვლილებებს, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში მე-19 საუკუნეში მოხდა და, ასევე, ვესტერნიზაციის პროცესს დადებით, თანაც მეტად საჭირო პროცესად განიხილავენ. სწორედ მსგავსი ხედვის შედეგია ის ფაქტი, რომ მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებს, ისევე, როგორც მე-19 საუკუნის თურქულ თეატრს, უდაოდ ატყვია დასავლური სტილის გავლენა. მაგრამ შესაძლებლობა იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული პროცესი არასწორად წარიმართებოდა და ოსმალეთის მოსახლეობა ევროპული ცხოვრებისგან არასწორ მაგალითს აიღებდა, მწერლებისთვის შიშის მთავარ მოტივს წარმოადგენდა. სწორედ ამ მიზეზით, ბევრი მათგანის ნაწარმოებებში გამოყენებულია პერსონაჟები, რომლებსაც არასწორად ესმით ცხოვრების დასავლური წესი, "გაფუჭებულან" დასავლეთის გავლენით და გამუდმებით არასახარბიელო, სასირცხვილო სიტუაციაში ხვდებიან. ამგვარად გაჩნდა "ცრუ გაევროპელების" თემა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნაწარმოებებში მცდარად გაევროპელებული პერსონაჟები ყოველთვის ერთნაირი თვისებებით ხასიათდებიან, განურჩევლად ავტორებისა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ

თითოეულმა მწერლამა თავის შემოქმედებაში საზოგადოების სახე ზედმიწევნით გადმოსცა. თანზიმათის ლიტერატურაში მცდარად გაევეროპელებული პერსონაჟების ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ ეს უკანასკნელნი სრულიად გაერიყენ მშობლიურ კულტურას, მაგრამ ამავედროულად, არ შეუძლიათ რეალურად გაისისხლხორცონ ევროპულიც, რომელსაც ასეთი მონდომებით ბაძავენ. ასეთი პერსონაჟებისთვის იყო "ევროპელი" ან იყო "თანამედროვე" ნიშნავს მხოლოდ გარეგნულ მიბაძვას; განუწყვეტლივ სასმელის სმას, მოგზაურობას, ღამე გარეთ სეირნობას, აზარტულ თამაშებს, უაზრო ფულის ხარჯვასა და ა.შ. რეალურად, მცდარად გაევეროპელებულებმა დასავლეთის "სიკეთე" არ იციან რა არის, არ იცნობენ აქაურ კულტურას, ისტორიას, ხელოვნებას და ა.შ. რა თქმა უნდა, ნაწარმოებში ყოველთვის გვხვდება კონტრასტული მხარე "სწორად გაევეროპელებული" პერსონაჟის სახით, რომელმაც ვესტერნიზაციის არსი სწორად გაიგო და ყველაფერი, რაც დასავლურმა განათლებამ მოუტანა, სწორად გამოიყენა.

მოკლედ დაახლოებით ასე შეგვიძლია დავახასიათოთ "ცრუ გაევეროპელების" საკითხი თურქულ ლიტერატურაში. თანზიმათის პერიოდის მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში აღწერდნენ იმ ადამიანებს, რომლებსაც ყოველდღე ხედავდნენ თურქულ საზოგადოებაში და ამით ცდილობდნენ თავიანთი მკითხველი "მცდარად გაევეროპელებისაგან" დაეცვათ.

სწორედ მსგავს მწერლებს შორისაა აჰმეთ მითჰათ ეფენდი, რომელიც თავის ნაწარმოებებში თურქეთის პროდასავლურ ორიენტაციას განიხილავს. აჰმეთ მითჰათ ეფენდი თავის მოთხრობებში, რომანებში, პიესებსა თუ გაზეთებში გამოცემულ სტატიებში დასავლური ცივილიზაციასა და ოსმალეთის ღირებულებებს ერთმანეთს ადარებს. ყველაზე აქტუალური თემა მის შემოქმედებაში კი "ცრუ გაევეროპელების" თემაა. ჩვენ ამ სტატიაში აჰმეთ მითჰათ ეფენდის ერთ-ერთ რომანზე დაყრდნობით სწორედ ამ საკითხზე ვისაუბრებთ.

სანამ უშულოდ რომანის განხილვაზე გადავალთ, გვსურს მკითხველს გარკვეული ბიოგრაფიული მასალა გავუზიაროთ აჰმეთ მითჰათ ეფენდის შესახებ.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი ზომიერად მოდერნისტი, ამავე დროს ტრადიციული პიროვნებაა. ის არის საქმიანი ვაჭარი, ენციკლოპედისტი და დარვინისტი, რომელსაც სჯერა, რომ საზოგადოება დროის სვლასთან ერთად ვითარდება.

აჰმედ მითჰათ ეფენდი დაიბადა სტამბოლში წვრილი მოვაჭრის ოჯახში. მას მამა ადრე გარდაეცვალა, ამის გამო იძულებული გახდა მუშაობა დაეწყო. ბავშვობის წლები ბულგარეთში გაატარა, სადაც ფრანგული ლიცეუმი დაასრულა. 1866 წელს



დაქორწინდა და 1868 წლამდე სხვადასხვა საჯარო სამსახურში მუშაობდა. 1869 წელს ის გაგზავნილ იქნა ბალდადში, სადაც დაარსა გაზეთი. მისი სამწერლობო ცხოვრება სწორედ ბალდადში იწყება. 1876 წელს ის ბალდადიდან სტამბოლში ბრუნდება და იწყებს საგამომცემლო საქმიანობას. 1889 წელს იგი პირველად წავიდა ევროპაში.

აჰმედ მიდჰათი სიცოცხლის ბოლომდე ასწავლიდა მოხალისე მასწავლებლად ერთ-ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც გულის შეტევით გარდაიცვალა 1912 წელს.

უნდა ითქვას, რომ აჰმედ მიდჰათის წერილები ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას აკრიტიკებდა. მისი პოლიტიკური შეხედულებები იმდენად კრიტიკული იყო, რომ იგი კუნძულ როდოსზე გადაასახლეს. სწორედ აქ დაწერა რამდენიმე რომანი, რომელიც სტამბოლში მეჰმეთ ჯევედეთუს ფსევდონიმით გამოსცა.

აჰმეთ მიტჰათ ეფენდის შემოქმედება თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი ეხება პოლიტიკურ, სოციალურ, ქალთა განათლებისა და საზოგადოებაში სოციალიზაციის საკითხს. აჰმეთ მიდჰათი არის პირველი მწერალი, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილის ცხოვრებას აკრიტიკებს არასწორი აზროვნების გამო. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მის შემოქმედებაში პირველად ჩნდება რომანისა და მოთხრობისათვის დამახასიათებელი ელემენტები. ეს თურქული ლიტერატურისთვის აქამდე უცნობი იყო.

მწერლისთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ნაწარმოებები რიგითი მოქალაქეებისთვის გასაგებ ენაზე შეექმნა, ამიტომაც მისი ენაც საკმაოდ მარტივი და ადვილად აღსაქმელია.

აჰმედ მიტჰათ ეფენდი დასავლური კულტურითა და ლიტერატურით აღტაცებული იყო. თარგმნიდა ფრანგი მწერლების შემოქმედებას, მაგალითად ვოლტერს, დიუმას, პოლ დე კოკის ლექსებსა და ნაწარმოებებს. თარგმნისას ორიგინალის დაცვით არ გამოირჩეოდა. მისთვის მთავარი იყო მკითხველისთვის გასაგები ყოფილიყო ნაწარმოების აზრი.

რომანი "ფელათუნ ბეი და რაქიმ ეფენდი", რომელიც შესახებაც მოცემულ სტატიაში ვისაუბრებთ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია აჰმედ მიტჰათ ეფენდის შემოქმედებიდან. ფაქტობრივად, ამ რომანმა ჩაუყარა საფუძველი "მცდარი გავეროპელების" თემას თურქულ ლიტერატურაში.

აღნიშნული რომანის წერა აჰმეთ მიტჰათ ეფენდიმ 1874 წელს დაასრულა და ის პირველად 1875 წელს დაიბეჭდა.

სიუჟეტი მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდის სტამბოლში ვითარდება. ეს ის პერიოდია, როცა ოსმალეთის იმპერია ნგრევას იწყებს და ამავე დროს ევროპისკენ იღებს გეზს. უნდა აღინიშნოს, რომ რომანში ფრანგული ენისა და კულტურის გავლენა საგრძნობლად დიდია.

ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი მუსტაფა მერაჟი ეფენდის ვაჟი – ფელათუნ ბეი, მამის მსგავსად მატერიალური ფასეულობებით ზედმეტად დაინტერესებული ადამიანია. მას, როგორც შეძლებული ოჯახის შვილს, ფულის ხარჯვა არ ენანება. მიიჩნევს, რომ „ევროპელობა“ მხოლოდ კომფორტულ ცხოვრებას, მდიდრულ ტანსაცმელსა და გასართობ ადგილებში დროის ფლანგვას გულისხმობს. ფელათუნ ბეის რაიმე კონკრეტული საქმიანობა და სასმსახური არ აქვს. იგი მამისგან დანატოვარი დიდი ქონების მემკვიდრეობით უზრუნველად ცხოვრობს, თუმცა მთელ ქონებას მალევე გაანიავეს და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი თავის ყალბ მეგობრებს მიმართავს დახმარების თხოვნით, ისინი მას სტამბოლიდან ძალიან შორს სამსახურს უშოვიან. მთავარი გმირიც სრულიად გაღარიბებული და შერცხვენილი მიდის სტამბოლიდან და უცხო ქალაქში იწყებს ცხოვრებას. მისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ფასეულობები, როგორიც არის სიყვარული, ერთგულება, შრომა, მეგობრობა, დროის შეგრძნება, პასუხისმგებლობა და სხვა, აბსოლუტურად გაუგებარია. საინტერესოა მისი დამოკიდებულება ცოდნისა და მეცნიერებისადმი. ფელათუნ ბეისთვის მდიდარი ბიბლიოთეკის ქონა მნიშვნელოვანია, ყოველ ახლადგამოცემულ წიგნს მაშინვე ყიდულობს და ბიბლიოთეკის თაროზე დებს, ეს ევროპელობისკენ წინგადაგმულ ნაბიჯად მიაჩნია, თუმცა წიგნებს, რა საკვირველია, არ კითხულობს და მხოლოდ მათი ყიდვითა და თაროზე განთავსებით შემოიფარგლება. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ მასში ცოდნისა და მეცნიერებისადმი დამოკიდებულება მხოლოდ გარეგნული სახით არსებობს.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი–სახელი "ფელათუნი" ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის თურქული ვარიანტია. მწერლის მიერ ამ პერსონაჟისთვის აღნიშნული სახელის შერჩევა ძალიან კარგად წარმოაჩენს მისდამი ირონიულ დამოკიდებულებას, რადგანაც რეალურად ფელათუნ ბეი ფსევდოფილოსოფოსი, ფსევდო ცოდნის პატრონია.

რომანს ჰყავს მეორე მთავარი პერსონაჟიც რაჟიმ ეფენდის სახით. რაჟიმ ეფენდი ფელათუნ ბეის აბსოლუტური ანტიპოდი. ბავშვობაში დაობლებულს ძიძა ზრდის, რომელიც მთელ თავის ენერგიასა და სარეცხის რეცხვით მოპოვებულ თანხას მის განათლებას ახმარს. რაჟიმ ეფენდი დიდი შრომის შემდეგ ფრანგულს სწავლობს და უცხოელი ოჯახის შვილებს თურქულს ასწავლის. ის ჭკვიანი, კარგი განათლების

მქონე ახალგაზრდაა, რომელიც საკუთარი შრომისა და ძალისხმევის შედეგად უზრუნველყოფილი მომავლის შექმნას ახერხებს. რაქიმ ეფენდის აქვს ეროვნული თვითშეგნება და თვითმყოფადობა. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სიყვარულსაც. სწორედ სიყვარულია ის უმაღლესი კატეგორია, რომელიც ადამიანის თავისუფალი ნების გამოვლენის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის ფაქტი, რომ რაქიმ ეფენდისა და ფელათუნ ბეის ერთმანეთისგან რიგი სოციალური და ინდივიდუალური ფაქტორები განასხვავებენ. მათ შორის შეიძლება იყოს: **ოჯახი**–ფელათუნ ბეის ოჯახი მატერიალურად უზრუნველყოფილია, თუმცა მამა შვილების მორალური, სულიერი კუთხით განვითარებას ყურადღებას არ აქცევს, მისთვის მთავარია შვილების ევროპულად აღზრდა, რაც მხოლოდ ფუფუნებაში ცხოვრებაში გამოიხატება. რაქიმ ეფენდის კი მშობლები ადრე დაეხოცა და ბავშვობა ძიძის გვერდით გაატარა. მისთვის ის ფუფუნება, რაც ფელათუნ ბეის გააჩნდა, უცხოა; **სოციალური გარემო**–ფელათუნ ბეის სოციალური გარემო ზუსტად ისეთია, როგორც ცხოვრების წესსაც მისდევს. მისი ყალბი მეგობრები, ყალბი სიყვარული, ყალბი ურთიერთობები სწორედ ამის გამომხატველია. რაქიმ ეფენდის სოციალური გარემო კი ისეთი ადამიანებისგან შედგება, რომლებიც საკუთარი შრომის ხარჯზე აღწევენ მიზანს, ზუსტად ისე, როგორც თავად. **განათლება**– პერსონაჟები განათლების მხრივაც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ფელათუნ ბეის რაიმე სახის განათლებაზე და ცოდნაზე რომანში არაფერია ნახსენები, ხოლო რაქიმ ეფენდი კი სწორედ თავისი ცოდნით ირჩენს თავს.

რაც შეეხება ინდივიდუალურ ფაქტორებს, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ინდივიდუალიზმის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება ადამიანის საკუთარ „მე“-ს საზოგადოების გარკვეულ ნაწილთან მაინც გაიგივებაა. იქიდან გამომდინარე, რომ ფელათუნ ბეიმ ეს ვერ შეძლო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის, როგორც ინდივიდი ვერ შედგა. რაქიმ ეფენდის შემთხვევაში კი მისი შინაგანი სამყარო ჰარმონიულ ურთიერთობაშია იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ცხოვრობს.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ რომანი დაიწერა "ცრუ გაევროპელების" თემაზე დაყრდნობით. მთავარი პრობლემა, რომელიც რომანში იკვეთება, არის ევროპული ფასეულობების, ღირებულებების, კულტურის არასწორი ინტერპრეტაცია და ცხოვრებაში გატარება. მწერალი აღნიშნულ საკითხს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული პერსონაჟის შედარებით განიხილავს. ორი ოპოზიციური წყვილის შედარება იმისთვისაა საჭირო, რომ ერთის მეორეზე აღმატებულება თვალსაჩინო იყოს. რაქიმ ეფენდი სიმბოლოა იმ იდეალური გმირისა, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი და ბედიღბალი. ის წარმოადგენს ადამიანს, რომელსაც

გაევროპელება სწორად ესმის, ხოლო ფელათუნ ბეი სიმბოლოა სულიერად და მორალურად არშემდგარი ადამიანისა, რომლის არსებობაც აუცილებლად დასრულდება, თან ისე, რომ ამქვეყნად კვალსაც კი ვერ დატოვებს. ის განასახიერებს იმ ადამიანებს, რომლებსაც გაევროპელება არასწორად ესმით.

ყოველივე ზემოთ მოყვანილის მიხედვით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული რომანი "ცრუ გაევროპელების" თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. აჰმედ მითჰათ ეფენდიმ თავისი პერსონაჟებით ნათლად დაანახა საზოგადოებას ის კონტრასტი, რომელიც "სწორად" და "მცდარად" გაევროპელებულ ინდივიდებს შორის შეიძლება იყოს.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, "მცდარად გაევროპელების" პრობლემა თურქულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი, თანზიმათის პერიოდში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს და არაერთხელ გამხდარა გამოჩენილი მწერლების განსახილველი საკითხი. ის ფაქტი, რომ საზოგადოება ხშირად სწორად ვერ აფასებს სიტუაციას, ვერ ასხვავებს და ვერ ანაწილებს ფასეულობებს, არ შეუძლია რაიმე ახალთან სინთეზი ისე, რომ ძველსაც არ დაუკარგოს ფასი, არ ყოფილა მხოლოდ გარდასულ დღეთა პრობლემა და თანამედროვეობაშიც კვლავ არ კარგავს აქტუალობას.

*ნანო გოგია; ანა ციყელაშვილი*

## აბდულჰაკ ჰამიდის პოემა „საფლავი“

განსაკუთრებულია აბდულჰაკ ჰამიდის (1852-1937) როლი თურქული ლიტერატურის ისტორიაში. მისი შემოქმედების ნოვატორობა ჰამიდის სიცოცხლეშივე აღიარეს მისმა თანამოკალმეებმა.

აბდულჰაკ ჰამიდს ერთ-ერთ წერილში ასე მიმართავს მწერალი ნამიქ ქემალი: „ჩვეულებრივ, თვლიან, რომ მე ავადორძინე თურქული ლიტერატურა, სინამდვილეში ეს პატივი გერგოთ შენ და შინასის, მე მხოლოდ ხიდი ვარ თქვენ შორის.“

ასევე დიდად აფასებდა ჰამიდის ღვაწლს თურქულ ლიტერატურაში პოეტი ჯენაბ შეჰაბედინი: „რევოლუციური პოეზია ჩვენს ლიტერატურაში იწყება ჰამიდის შემოქმედებიდან.“ - წერდა იგი.

პოეტმა არ ისურვა გაკვალულ გზაზე სიარული. „მე ყოველთვის ვეძებდი ახალს, მე მგონი ჩემს ნაწარმოებებს ეს ეტყობა.“ - აცხადებდა იგი.

განმანათლებლური იდეები, მოწინავე საზოგადოებრივი აზრები, მისწრაფება ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ მთლიანად მსჭვალავს პოეტის შემოქმედებას. გარდა ამისა, აბდულჰაკ ჰამიდის ნაწარმოებებში დასმულია ფილოსოფიური პრობლემები, გადმოცემულია სათუთი ადამიანური გრძნობები და განცდები. თურქული ლექსიც პირველად ჰამიდმა დაასათაურა. მან გაბედულად დაარღვია ტრადიციული ბეითი და გარკვეულწილად შეცვალა თურქულ პოეზიაში გაბატონებული ვერსიფიკაციული სისტემა - არუზი. შეეცადა რითმის შეცვლასაც. განაცხადა, რომ რითმა უნდა არსებობდეს არა „თვალისთვის“, არამედ „სმენისთვის“. ჰამიდმა რევოლუცია მოახდინა პოეზიაში, პირველად შემოიტანა „დასავლური გაგება“ თურქულ ლიტერატურაში.

აბდულჰაკ ჰამიდის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია იმან, რომ პოეტმა მიიღო შესანიშნავი აღმოსავლური და ევროპული განათლება, ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა სამშობლოს გარეთ. მის შემოქმედებაში მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს დასავლური და აღმოსავლური კულტურის, პოეზიის ელემენტები.

ხალხური პოეზიისგანაც დიდად არის დავალებული აბდულჰაკ ჰამიდის შემოქმედება.

საოცარი პოეტური აღმაფრენით, მღელვარებით გამოირჩევა პოეტის ქმნილებები. ბუნებისა და სიყვარულის თემები ოსტატურად ენაცვლება ერთმანეთს. დიდი სულიერი ტკივილით, სასოწარკვეთილებით, წუთისოფლის ამაოებაზე ფიქრით არის გაჯერებული ჰამიდის პოეზია.

პოემას „Makber“ („საფლავი“) გამორჩეული ადგილი უკავია აბდულჰაკ ჰამიდის შემოქმედებაში. ეს პოემა შეიძლება ჰამიდის პოეტური შთაგონების მწვერვალადაც კი მივიჩნიოთ. აქ ხომ საოცარი გულწრფელობით და უშუალოდ, შესანიშნავი სახეებითა და ფერებით, რომელსაც ადრე არ იცნობდა თურქული პოეზია, გადმოცემულია პოეტის პირველი სიყვარულის, ერთგული მეუღლის - ფატმას - დაკარგვით გამოწვეული სულიერი აფორიაქება და განუსაზღვრელი მწუხარება.

ტუბერკულოზით დაავადებული ფატმა თან ახლდა პოეტს ინდოეთში ცხოვრების დროს. ამ მძიმე სენმა შეიწირა მისი ნორჩი სიცოცხლე, როდესაც ისინი ინდოეთიდან სამშობლოში ბრუნდებოდნენ. უსაზღვროა პოეტის მწუხარება სულის მეგობრის დაკარგვის გამო. „ჩემი პირველი ცოლი, რომელიც ღმერთმა მაჩუქა, ჩემთვის იყო არა

მხოლოდ მეუღლე, არამედ დედაც და ქალიშვილიც.“ ფატმას სიკვდილის შემდეგ ცხოვრებამ აზრი დაკარგა. აბდულჰაკ ჰამიდი ორმოცი დღე დასტიროდა მეუღლის საფლავს ბეირუთში. ლექსებით იოხებდა გულს. ფატმას საფლავის ქვაზე ასეთი ეპიტაფია შეიძლება ამოვიკითხოთ: „ეჰ, მკითხველო, სიკვდილთან ბრძოლაში უმწეოა მოხუცი და ახალგაზრდა. სასაფლაო პირამდე სავსეა მიწის მტვრადქცეულთა ღვთიური იდუმალებით. აი, აქ დამარხეს აბდულჰაკ ჰამიდის თვალის ჩინი, მეუღლე ფატმა. განსვენებული იყო ობოლი ფირიზადეთა საგვარეულოდან. თავისი სიცოცხლის გაზაფხულზე ის ჭლექის სნეულებამ შეიპყრო და საწუთრო დატოვა. ეს გულსაკლავი არსება ახლა დაყუჩებული სულია, რომელიც შენგან შენდობას ითხოვს“ (თარგმანი სერგი ჯიქიასი).

სევდის, გლოვის, ბედის წინაშე ადამიანის უძლურების, მიწიერი არსებობის არარაობის თემები მთლიანად თავმოყრილია ელეგიურ პოემა „საფლავში“. მკითხველს ეძლევა საშუალება პოეტის სულის უღრმესი ხვეულებიდან წამოსული ხმა მოისმინოს. მღელვარება, ბრალდება, ჩივილი, ამბოხი, მოთქმა, მუქარა, ხარხარი, დუმილი, სიმთვრალე, განშორება.... ყველაფერი ეს დიდი გრძნობით არის გადმოცემული პოემაში.

პოემას თვითონ აბდულჰაკ ჰამიდიც დიდად აფასებდა: „საფლავში“ მთელი ჩემი სული და გული ჩავაქსოვე. იგი მთელი გულწრფელობით არის დაწერილი.“

„საფლავი“ 1886 წელს დაიწერა. იგი პირველი ვრცელი ლირიკული პოემაა, საუკეთესოა იმ ელეგიურ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც კი შექმნილა თურქულ ენაზე. ექსპრესიისა და ემოციური ზეგავლენის ძალით არ მოეპოვება ბადალი თურქულ ლიტერატურაში. პოემა საკმაოდ გრძელია და 2360 მისრასაგან შედგება. ჩვენ ხელთ გვქონდა პოემის მცირე ნაწილი (189 მისრა).

პოეტი პოემის დასაწყისშივე იხსენებს საყვარელ მეუღლეს, რომელთანაც ძალიან ბედნიერი იყო და ახლა, როდესაც გვერდით აღარ ჰყავს, სევდა და მწუხარება იპყრობს. მას ზარავს იმის გააზრება, რომ ფატმას მშვენიერი სხეული შავ სამარეში განისვენებს და მის ნაცვლად მხოლოდ ცივი საფლავი შემოჰყურებს სვეგამწარებულ პოეტს.

ლირიკული გმირი თითქოს ერთგვარ ლოცვას ადავლენს სატრფოს წინაშე, მისი გრძნობები, აზრები, ფიქრები ერთიანად იშლება მკითხველის თვალწინ. სატრფოს დაკარგვით გამოწვეული ტკივილი უსაზღვროა. იმდენად, რომ მას უკვე სიცოცხლე მძიმე ტვირთად დასწოლია. ფატმას დაკარგვით ლირიკულმა გმირმა დაკარგა სიყვარულის, იმედის ერთგვარი ნავსაყუდელი და ახლა უჭირს საკუთარი ადგილის მოძებნა, ადგილის, სადაც მისი ცხოვრება ვიღაცისთვის ღირებული ექნება:

*„მე მიძნელებდა ამ მიწაზე პოვნა ადგილის,  
რადგან აღარ მყავს საყვარელი, მეგობარი დაგვარგე გულის“.*

სამარეს ახასიათებს ეპითეტი „ცივი“ („ის ცივ სამარეს მივაბარე“, „ბეირუთში დარჩა მხოლოდ საფლავი ცივი“). სწორედ ეს სიცივე თრგუნავს ლირიკულ გმირს, შორდება ბეირუთს და თან დაჰყვება დანაშაულის გრძნობა, ნანობს, რომ სატრფო დატოვა „მარტოდ, ეულად“.

პოეტი ცდილობს შეებრძოლოს დროს და სიკვდილს. არ უნდა აღიაროს რეალობა, სჯერა, რომ არსებობს მცირედი იმედი სატრფოს კვლავ ნახვისა, სთხოვს უზენაესს, გაანდოს ფატმას ადგილი და ყურთ არ იღებს სხვების ნათქვამს:

*„მეუბნებიან, მეგობარი დაივიწყეო, წავიდა იგი და არასდროს დამიბრუნდება.*

*ძალმძის განა, დავიჯერო ეს რეალობა, შემიძლია, შევურიგდე მე ამ სიმართლეს?“*

ცხოვრების გარდამტეხ მომენტში ადამიანის შინაგანი სამყარო შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს, მასში მოხდეს ერთგვარი ფერისცვალება, თუმცა ამისათვის იმხელა სულიერი ძვრებია საჭირო, შეიძლება, ეს წამი ყველა ადამიანის სიცოცხლეში არ დადგეს. ფატმა იმდენად ძვირფასი იყო აბდულჰაკ ჰამიდისთვის, გასაკვირი არ არის, რომ მისი მსოფლმხედველობა რადიკალურად შეიცვლებოდა სატრფოს გარდაცვალების შემდეგ. მეტამორფოზას გმირი თავადაც გრძნობს: „აშკარაა ჩემი სწრაფი ფერისცვალება“.

ბედნიერებას წერტილი დაესვა, ირგვლივ მხოლოდ სევდა, სიბნელე სუფევს, სწორედ ამგვარია სამყაროს აღქმა ლირიკული გმირისთვის. ამას მოწმობს შემდეგი სტრიქონები:

*„რასაც კი ვხედავ, საფლავია იგი ჩემს თვალში*

*და შიგ მე ვხედავ მხოლოდ სახეს ჩემი საყვარლის“.*

აქ ავტორი აზუსტებს, შეიძლება რასაც უყურებს, სულაც არ არის ტრაგიკული, მაგრამ მისი აღქმაა სუბიექტური.

ხშირად გაგვიგონია ფრაზა: დრო ყველაფრის მკურნალიაო. ადრე თუ გვიან ადამიანი ეჩვევა ყველანაირ სიტუაციას, საკუთარ ტკივილთან ერთად სწავლობს ცხოვრებას, თუმცა ავტორი სრულიად საპირისპიროს აცხადებს: „დრო ვერ ანელებს ტკივილსა და დარდს“. ტანჯვის დასრულება შეუძლია არა დროს, არამედ სიკვდილს:

*„ჩემი ხვედრი, მეტად მძიმე, მე ჯერ არ ვიცი,*

როდის განუჩენს ამ ჩემს ტანჯვას აღსასრულის ჟამს“.

ლირიკული გმირს სურს ფატმასთან შეხვედრა და სთხოვს სიცოცხლის კვლავ გაგრძელებას, გაღიმებას, სიცილს... თუმცა ქალი უკვე საფლავშია, ადგილას, სადაც გადის ზღვარი ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ყოფას შორის. გაცოცხლება შეუძლებელია, თუმცა აბდულჰაკ ჰამიდს იმდენად სურს სატრფოს ნახვა, მზად არის დათმოს თავისი სიცოცხლე. ამ სცენას მთელი სიცხადით წარმოიდგენს კიდეც:

*„აი, ჩვენ ვწევართ და გულს გვაწევს სიმძიმე მიწის.*

*ბორცვთა შორის ყველა ბორცვზე ამაღლებული“.*

ლირიკულმა გმირმა არ იცის უნდა იწამოს თუ არა უზენაესის სამართლიანობა, სწამს მისი არსებობის და სჯერა, რომ მისი ტკივილი, გოდება აღწევს ზეცამდე, თუმცა „ავადმყოფებს ხსნას ვერ აძლევს“.

ლირიკულმა გმირმა ფატმას უძღვნა სული. სწორედ ამიტომ არ უჭირს სიკვდილი, სულიერი არსებობა დასრულებულია, დარჩა მხოლოდ ხორციელი ყოფა, რომელიც წუთისოფელს აჯაჭვებს.

რაც უფრო მაღლა ხარ, მით უფრო ძნელია მიწაზე დაცემა. სატრფოსთან განშორება მოუწია ლირიკულ გმირს მაშინ, როცა მეჯნუნივით სიყვარულის ბურუსში იყო გახვეული. ერთი უკიდურესობიდან პოეტი გადავარდება მეორე უკიდურესობაში. მას აღარაფერი უყვარს, „სიყვარულს გადაემტერა“, ყველაფერი ეუცხოვება, მათ შორის სამშობლო მიწა.

„ქვეყანა მდელოიანი“, „მიწიდან ამოზრდილი ქმნილებები“, „რიყეზე მოძრავი თბილი ნიავი“ - ეს ყველაფერი სამყაროს მშვენიერს ხდის, თუმცა ესეც ერთგვარად აღიზიანებს ლირიკულ გმირს. მისი ტრაგედიის მიუხედავად, არაფერი შეცვლილა. „ტანჯვა მჭირდება, ყველაფერში ცვლილება მინდა“ - აცხადებს ის. სურს ეს ტკივილი სხვამაც გაიზიაროს, თუმცა ტრაგედიას სულ არ ეხმიანება არც სამყარო და არც ადამიანი. ლირიკული გმირის შინაგან სამყაროს ვერავინ სწვდება, ზედაპირული ღიმილი მის ბედნიერების მაუწყებლად მიაჩნიათ, „ეს კიდეც უფრო უძლიერებს უიმედობას“.

რუსთველი გვეუბნება: „არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრეფია“. ბედნიერებას მოპოვება სჭირდება. მასთან მისასვლელად რთული გზის გავლა არის საჭირო, თუმცა ფატმა არის „ვარდი უეკლო“, ადამიანი, რომელიც თავის არსებობითაც კი სიცოცხლეს „ლალს“ და „სვიანს“ ხდიდა.



აბდულჰაკ ჰამიდის აფიქრებს, რა მდგომარეობაშია ახლა სატრფოს სხეული:

*„მაგ კეკლოც სხეულს ძიძგნიან მგლები,*

*თუ ანგელოზნი პატიჟებენ ცად წასაყვანად?“*

ქალი იმდენად წმინდაა, თუ არსებობს ზეციური სამყარო, შეუძლებელია მისი ადგილი არ მოიძებნოს ფატმასთვის. ფატმას სხეული უნდა მოშორდეს წუთისოფელს, არ უნდა გახდეს მგლების საძიძგნი. თითქოს ეს გარემოებაც აიძულებს ლირიკულ გმირს იწამოს უზენაესის, ზეციური საუფლოსი.

ფატმა აბდულჰაკ ჰამიდისათვის არ იყო მხოლოდ მეუღლე. ის იყო მეგობარი, ქალიშვილი, დედა, ბავშვი. ქალვაჟურ სიყვარულთან ერთად მათ შორის არსებობდა მეგობრული, ოჯახური სიყვარული, შესაბამისად, ფატმას გარდაცვალებით არა ერთი პიროვნება, არამედ მასში გაერთიანებული უამრავი ადამიანი დაკარგა.

პოემის ბოლოს ლირიკული გმირი ემშვიდობება „სულის მეგობარს“, რათა დარდის გამოთქმით მშვიდი ძილი არ დაურღვიოს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ სიჩუმესთან ერთად შვებაც მოვა, რადგან ეს არის მარადიული გამოთხოვება ჭეშმარიტ სიყვარულთან.

*„ახლა კი ვრჩები სიჩუმეში განმარტობით,*

*სულის მეგობარს დასტრიალებს კვლავ ჩემი ფიქრი“.*

ამგვარ დამოკიდებულებას ქალის მიმართ, ადამიანური გრძნობების, სიყვარულის ასეთი ძალით გადმოცემას ჩვენ ვერ შევხვდებით ვერცერთ წინამორბედ პოეტთან. საკარო პოეზიაში, სადაც ხოტბას ასხამდნენ სულთნებსა და დიდებულებს, აღწერილი იყო აბსტრაქტული, ზღაპრული ლამაზმანები, მეფის ასულები, უცხო იყო ადამიანის შინაგანი სულიერი განცდების გადმოცემა. აბდულჰაკ ჰამიდმა თავის პოემაში პირველად დაილაპარაკა ადამიანურ ტკივილზე, განცდაზე, უბედურებაზე. პოემაში ოსტატურად ერწყმის ერთმანეთს ახალი ფორმები და პოეტური ხერხები თურქული პოეზიისთვის უჩვეულო შინაარსს. ნაწარმოების ძირითადი იდეაა ადამიანის უძლურება სიკვდილის წინაშე. პოეტი ავითარებს თავისებურ მსოფლმხედველობას სიკვდილზე, სიცოცხლის დისჰარმონიაზე. პოემაში არის მეტაფიზიკური წარმოდგენები ყოფიერებაზე, სულზე, ნების თავისუფლებაზე. პოემის დინება თითქმის სწორხაზოვანია: აქ არ ვხვდებით თემიდან ასე თუ ისე მნიშვნელოვან გადახვევას. ე.ი. შინაარსი უშუალოდ პასუხობს და ექვემდებარება ძირითად თემას. მწერალი ირჩევს ერთ თემას და თითქმის არ სცილდება მის ფარგლებს. ამ თვალსაზრისით, ეს პოემა არსებითად მონოთემატურია.

აშკარაა, რომ პოემა „საფლავი“ მაღალნიჭიერი პოეტური ქმნილებაა. აბდულჰაკ ჰამიდი ამ ნაწარმოებში გვევლინება ჭეშმარიტი, მარადიული სიყვარულის მომღერალ პოეტად. პოემა საუკეთესოა ელეგის ტიპის ნაწარმოებთა შორის, რომელიც კი შექმნილა თურქულ ლიტერატურაში. პოემაში მთლიანად ჩანს ჰამიდი, როგორც პიროვნება, როგორც პოეტი, როგორც მიჯნური. გადმოცემულია მისი ფილოსოფიური შეხედულებები სამყაროზე, დმერთზე, სიცოცხლის არსზე. პოემამ გამოქვეყნებისთანავე მაღალი შეფასება დაიმსახურა, კამათისა და მსჯელობის საგნად იქცა. რუმენ ეშრეფ უნაიდინი ასე მიმართავს ჰამიდს, როდესაც იგი „საფლავის“ შესახებ თავის შეხედულებებს უზიარებს პოეტს: „თქვენს ნაწარმოებებს შორის „საფლავს“ განსაკუთრებულად თქვენად მივიჩნევ. სხვა ნაწარმოებებში კორნელის, რასინის, ცოტა ვოლტერის, შექსპირის, ჰიუგოს, შატობრიანის გავლენა იგრძნობა. „საფლავში“ კი თქვენს ხელოვნებასა და სულთან ერთად თქვენ გხედავთ.“

აბდულჰაკ ჰამიდის მსჯელობა და ფიქრი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე მხოლოდ პოემა „საფლავით“ არ შემოიფარგლება. მან ამ თემაზე შექმნა მთელი რიგი ლექსებისა, სადაც განვითარებულია „საფლავში“ გადმოცემული აზრები. სიკვდილის თემა ისეთ ცნობილ ლექსებში, როგორებიცაა: „მიცვალებული“ (“Ölü”), „ესენი ისინი არიან“ (“Bunlar Odur”), „ახალდაქორწინებულთა ოთახი“ (“Hacle”) შეიძლება აიხსნას ფრანგული რომანტიზმის გავლენით. აბდულჰაკ ჰამიდის პოეტურ სახეებს ბევრი რამ აქვთ საერთო ალფონს ლამარტენის და ალფერდ მიუსეს ელეგიებთან. სავსებით ცხადია, რომ სტეფან მელარმეს ელეგია, რომელიც ეძღვნება თეოფილე გოტიეს ხსოვნას, ცნობილი იყო ჰამიდისათვის.

პოემა „საფლავში“ თავისთავად შესანიშნავი, თურქული პოეზიისთვის უცხო და უჩვეულო შინაარსი ბრწყინვალე პოეტურ სამოსელშია გახვეული, რაც უცილობლად განაპირობებს პოემის მაღალემოციური ზეგავლენის ძალას. ნოვატორული ელემენტები, რომლებიც ჰამიდმა დაამკვიდრა ლიტერატურაში, აშკარად ეტყობა ამ პოემის ფორმასა და პოეტურ ხერხებს. სამართლიანად აღნიშნავდნენ იმ დროის ლიტერატურული კრიტიკოსები, რომ პოემა „საფლავმა“ მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა „საკარო ლიტერატურას“ და გზა მისცა სრულიად ახალ ნოვატორულ პოეზიას.

„საფლავი“ ლირიკული პოემაა. ამიტომ, როგორც ეს ლირიკულ ნაწარმოებებში ხდება ხოლმე, აბდულჰაკ ჰამიდი მიმართავს ავტორისეულ გრძნობათა ლირიკულ გადაშლას. ნაწარმოების სიუჟეტიც აზრთა, გრძნობათა და განცდათა მონაცვლეობისაგან შედგება, რაც განსაზღვრავს ნაწარმოების აგებას ანუ კომპოზიციას.

ვნებათაღელვის გადმოსაცემად აბდულჰაკ ჰამიდი მონოლოგს ირჩევს. პოემა კომპოზიციური თავისებურებებით იქცევს ყურადღებას. ნაწარმოების ძირითადი იდეაა ადამიანის უძლურება სიკვდილის წინაშე, რასაც ფილოსოფიური განსჯით ნასაზრდოები და პოეტური განცდით ავსებული სტრიქონები აგვირგვინებს. მთელ პოემაში ისეთი არაფერია ჩართული, რომ ავტორმა ამ ხაზიდან გადაგვახვეწინოს და სხვა მოტივის შემოტანით მთავარი თემიდან დაცილების ერთგვარი ილუზია მაინც შექმნას. პოემა სწორხაზობრივად არის გაშლილი. ამ მონოთემატურობაშიც უნდა ვეძიოთ პოემის განსხვავებულობა საკარო პოეზიის ნიმუშებისგან, რომლებიც რაიმე არაჩვეულებრივ ამბავს გადაგვიშლიან, ახასიათებთ დახლართული, მძაფრი სიუჟეტი. ჰამიდი კი თავის პოემაში არაფერს არ მოგვითხრობს. ეს არის მისი გრძნობათა და აზრთა დინების ქალაქდზე გადმოტანა. პოემა ერთი კომპოზიციური მთლიანობაა. ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი. აქ არ არის აღმოსავლური ლიტერატურისათვის ტრადიციული კვანძის შეკვრა, კულმინაცია, პერსონაჟის დახასიათება. ნაწარმოების კომპოზიცია მარტივია, მკვრივია.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ ჩემი ნაშრომის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ახალი თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის აბდულჰაკ ჰამიდის ლირიკული პოემა „საფლავი“. ნაშრომში იდეურ-მხატვრულ ანალიზთან ერთად შევეცადე, მეჩვენებინა, თუ როგორ აირეკლა ეპოქის სიახლეები აბდულჰაკ ჰამიდის პოემაში, წარმოგვედგინა ჰამიდი, როგორც რეფორმატორი, ახალი ლიტერატურის ერთ-ერთი შემქმნელი და ამავე დროს ძველი და ახალი ლიტერატურის გზაგასაყარზე მდგარი პოეტი.

*სალომე ზაქარიაძე*

## ომის რეპრეზენტაცია იმან ჰუმაიდან იუნისის რომანში

### „ასო „ბ“ სიტყვებში „ბინა“, „ბეირუთი“

იმან ჰუმაიდან იუნისი ლიბანელი მწერალია, რომლის ლიტერატურული ქმნილებები ლიბანის მრავალწლიან სამოქალაქო ომს ეხება. რომანში ასო „ბ“ სიტყვებში „ბინა“, „ბეირუთი“ ასახულია სხვადასხვა პრობლემები, რომლის დაძლევა და გადალახვაც უხდებათ ადამიანებს.

ნაწარმოებში ავტორი ერთმანეთის პირისპირ დარჩენილ ქალთა ემოციურ სამყაროს და მათი თვალთ აღქმულ ომს გვიჩვენებს. წიგნი ქართულ ენაზე თარგმნა პროფ. დარეჯან გარდავაძემ, (თბ., გამომც. ინტელექტი 2020). წიგნის შესავალ ნაწილში იგი აღნიშნავს: „ამ რომანში ომთან და ძალადობრივ სცენებთან პირისპირ კი არ რჩება მკითხველი, არამედ ომი მთავარ გმირ ქალთა ემოციურ პრიზმაში აირეკლება და ისე მოდის ჩვენამდე.“ (გარდავაძე, 2020)

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის რეგიონებისთვის საერთაშორისო კონფლიქტმა მრავალი პრობლემა წარმოშვა. ამ კონფლიქტის დასაწყისად 1975 წლის 13 აპრილი ითვლება. ამ დროს მოხდა დაპირისპირება პალესტინელებსა და მარონიტთა ქრისტიანულ თემს შორის. კონფლიქტი დროთა განმავლობაში მეტად გამწვავდა და ფართო მასშტაბები შეიძინა. სირია ქრისტიანი მარონიტების თავდასაცავად ლიბანში შეიჭრა, მათ შორის, დედაქალაქ ბეირუთში. კონფლიქტი დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდა და ამ მძიმე პროცესებმა საზოგადოებაში გადააფასა ღირებულებები და შეცვალა ადამიანთა წარმოდგენები.

ნაწარმოებში წარმოჩენილია ქალთა ფსიქოტიპები, მათი ხასიათები და ემოციური სამყარო სამოქალაქო ომის პარალელურად. ოთხი მთავარი პერსონაჟი ქალი ლილიანი, კამილია, მაჰა და ვარდა ბეირუთის ერთი კორპუსის მაცხოვრებლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერსონაჟები ტიპური სახეებია, მაინც აქვთ ინდივიდუალური მახასიათებლები. თითოეული მათგანი გვიჩვენებს რა შეცვალა ომმა მათ ცხოვრებაში, როგორ იქცნენ ისეთი ტიპის ადამიანებად, როგორებიც არიან. მათი ისტორიები არ ჰგავს ერთმანეთს, თუმცა ომის ფონზე იკვეთება ისეთი ოჯახური, სოციალური პრობლემები, რომლითაც ეს პერსონაჟები მკითხველის აღქმაში ერთმანეთს უკავშირდებიან. პერსონაჟები, რასაკვირველია, ხასიათდებიან განმასხვავებელი ნიშნებით. ეს განსხვავება გამოიხატება მათ ხასიათებში, იმაშიც თუ როგორ ხვდებიან პრობლემებს, როგორ ხედავენ ამ პრობლემის გადაჭრის გზებს და როგორ ცდილობენ ყოველდღიურობის შეცვლას.

ომის თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილია. ყველაზე კარგად, სწორედ ამ დროს ვლინდება, რამდენად ასრულებს გარდამტეხ როლს ომის სისასტიკე ადამიანთა ფსიქიკაზე. ნინო პოპიაშვილი აღნიშნავს, რომ ომის ლიტერატურა მეოცე საუკუნიდან გვხვდება. თავდაპირველად, იგი აღნიშნავდა მხოლოდ მსოფლიო ომების თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებს, დღევანდელ რეალობაში კი, ომის ლიტერატურად ითვლება ყველა ის ნაწარმოები, რომელიც ომზე მოგვითხრობს. შესაძლებელია, არ იყოს აღწერილი ნაწარმოებში საომარი მოქმედებები, მაგრამ იყოს ნაჩვენები ის მტკივნეული გამოცდილება, რომელიც ომმა დაუტოვა ადამიანებს. ეს გამოცდილება, რასაკვირველია, არის შიში და უდიდესი ტკივილი, განშორება და მწუხარება. (პოპიაშვილი, 2015) ამგვარი მტკივნეული გამოცდილების ჩვენება ლიტერატურაში უფრო ღრმად აფიქრებს ადამიანებს ომის უარყოფით მხარეებზე, წარმოაჩენს და გამოჰკვეთს იმ მძიმე პრობლემებს, რომელიც ომის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდეგ იჩენს თავს. მრავალი მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები უჩნდებათ ნაწარმოებში პერსონაჟებს. უჩნდებათ შიშის გრძნობა, რომელიც რაციონალურად აზროვნებას უშლის ხელს.

ნაწარმოებში პირველად პერსონაჟი ლილიანს ვხვდებით. იგი ავსტრალიაში ემიგრაციას გეგმავს ორ შვილთან და შიიტ ქმართან ერთად. თავდაპირველად, აღწერილია ოჯახური მდგომარეობა, რომელიც ნელ-ნელა უარესდება და მკითხველი ხედავს, დროის მსვლელობასთან ერთად, როგორი უცხოები ხდებიან ადამიანები ერთმანეთისთვის. ლილიანის ცხოვრებაში გარდამტეხი მომენტი მებრის სიკვდილი და ბინაში სხვა ოჯახის შემოსახლება. იცვლება ოჯახური მდგომარეობა, უფერულდება ცოლქმრული ურთიერთობა და ხასიათები, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანაცხოვრებაში.

ლილიანის ქმარი ღრმადმოაზროვნე ადამიანია. სწორად აფასებს შექმნილ მდგომარეობას და ხედავს, რომ დრო, რომელსაც შენატრიან ადამიანები, არასდროს დაბრუნდება. სწორედ ამიტომ ამბობს იგი: „ხალხი მიემგზავრება, რომ სიმდიდრე ჩამოიტანოს და ჩვენ რატომ გავემგზავროთ?.. დაკარგული დროის ჩამოსატანად?.. რევოლუცია და სიყვარული ხომ ცხოვრებას ჰგავს – მათი განმეორება შეუძლებელია!.. ნურც შეეცდები!..“. (იმან ჰუმაიდან იუნისი, 1997) ამ სიტყვებში იგრძნობა, რამდენად გაუცხოებულები ხდებიან უახლოესი ადამიანები ერთმანეთისგან, რამდენად უჭირთ ერთმანეთის მიღება და რწმენის დაბრუნება. გამოსავალს სხვა ქვეყანაში წასვლით ეძებენ, თითქოს ემიგრაცია არის პრობლემის გადაჭრის მცდელობა, თუმცა

ნაწარმოებში ნაჩვენებია, რომ რეალობიდან გაქცევა არ ნიშნავს პრობლემის მოგვარებას.

ლილიანის პერსონაჟს ყველაზე უკეთ ახასიათებს მისივე სიტყვები: „ქვეცნობიერი, გაურკვეველი შიში დამყვებოდა, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი. საკუთარ თავს უფსკრულის პირას მდგარ ქალად ვხედავდი, რომელსაც ბევრი კი არაფერი აკლდა!.. ერთი მცირე ბიძგი და... დაინთქმებოდა“ (იმან ჰუმიდან იუნისი, 1997) აქედან გამომდინარე ვიგებთ, რომ ლილიანი შინაგანად დაცლილი, ყოველგვარ ოპტიმიზს მოკლებული, რწმენაწართმეული ადამიანის მხატვრული სახეა, რომელსაც არაფერი დარჩენია ხელჩასაჭიდი, იმდენად დაღლილი და დატანჯულია ყოველდღიურობისგან. დამარცხებულად გრძნობს თავს ცხოვრებასთან ბრძოლაში და სწორედ ამიტომ აღიქვამს საკუთარ თავს უფსკრულის პირას მდგომ ადამიანად.

იმან ჰუმიდან იუნისი ლიზანის მრავალწლიანი სამოქალაქო ომის თვითმხილველი თავად გახდა. ვფიქრობ, ამან განაპირობა ის ფაქტიც, რომ მან შეძლო აღეწერა ნაწარმოებში ომი და მისი ნეგატიური გავლენა ადამიანებზე. ნინო პოპიაშვილი (2013) აღნიშნავს, რომ როდესაც ქალი ავტორები ქალთა ცხოვრებას ტრაგიკულად აღწერენ, ამ დროს ისინი თითქოს ქვეცნობიერად მიმართავენ კაცებს და მათ თვალწინ უშლიან ქალთა ემოციურ სამყაროს. აჩვენებენ, როგორ სტკივათ ქალებს, როგორი პრობლემის წინაშე დგებიან ხშირად და როგორ უწევთ ამ პრობლემების დაძლევა.


პერსონაჟებში ყველაზე მძაფრად ვლინდება მარტოობის შიში, რადგან ხშირად ომი ყველაზე ღირებულ, ყველაზე ძვირფას შენაძენს აკარგვინებს ცხოვრებაში ადამიანებს. სწორედ ამ დროს იცვლება ადამიანთა ღირებულებები და უფერულდება შეგრძნებები. როგორც დარეჯან გარდავაძე აღნიშნავს, მართლაც „ოთხივე ეს ისტორია სუბიექტური ემოციების სარკეა და ამ სარკეში ოთხი ქალი უმაკიაჟოდ, შეულამაზებლად, ნამდვილი სახით ეჩვენება და თავს ამახსოვრებს მკითხველს, დაუფარავად ესაუბრება მას თავის ყველაზე დაფარულზეც. ყოველ მათგანს მოყოლის თავისი სტილი და მანერა აქვს...“. (გარდავაძე, 2020 ) თითოეულ მათგანში იგრძნობა, რომ ომი ადამიანთა ცხოვრებაში გარდამტეხ როლს ასრულებს და ავტორი პერსონაჟების უბრალო, ცხოვრებისეული ისტორიების მოყოლით მიმართავს იმ ადამიანებს, რომელთაც გამოუვლიათ და უნახავთ ომის შეუბრალებელი პროცესები.

მხატვრულ ლიტერატურაში განსხვავებულად არის ასახული ქალისა და მამაკაცის როლები. ავტორის ნაწარმოებები ყოველთვის განსხვავებული ფორმით ყალიბდებოდა და ვითარდებოდა სხვადასხვა ეპოქაში. ქალ ავტორებთან შეიმჩნევა განსხვავებული თემები, რაც მათ ნაწარმოებებს ხდის ორიგინალურსა და გამორჩეულს.

განსაკუთრებით შესამჩნევი კი არის ტენდენცია, როდესაც ქალი ავტორები წარმოგვიჩენენ მთავარ პერსონაჟ ქალს, რომელიც საკუთარი იდენტობის ძიებაშია. ხშირად აკეთებენ აქცენტს ცხოვრებისეულ სიძნელეებზე, ემოციურ არამდგრადობაზე, ტკივილსა და ტანჯვაზე, რომლის გადალახვა და დაძლევა უწევს ქალს (პოპიაშვილი, 2013). მსგავსი თემებია ნაჩვენები იმან ჰუმაიდანის ნაწარმოებშიც. ქალები ეძიებენ საკუთარ იდენტობას. ეს გამოიხატება იმაში, რომ ხშირად ცხოვრებისეული სირთულეების გამო უჭირთ დაინახონ რა როლი აკისრიათ საზოგადოებაში. სურთ გარემოს შეცვლა, თუმცა ქვეცნობიერად იმასაც ხვდებიან, რომ სხვა ადგილას წასვლა ვერ შეავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც იმდროინდელმა რეალობამ გამოიწვია. სწორედ ამიტომ უჭირთ საკუთარი თავის პოვნა და რეალიზება, ძიების პროცესში კი მეტად იკარგებიან. ყველაზე მტკივნეული მდგომარეობიდან ცდილობენ თავის დაღწევას, თუმცა შინაგანად გამოფიტულებს, აღარ შესწევთ ძალა იბრძოლონ იმ ყოველდღიურობაში, სადაც ომის სისასტიკეს პირდაპირ ეჩეხებიან.

ნაწარმოების ბოლოს, ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „ამბობენ, ომი დასრულდაო, მე კი ჩემი ისტორია ჯერ არ დამიმთავრებია.“ (იმან ჰუმაიდან იუნისი, 1997) ეს სიტყვები გვიჩვენებს, რომ ომის სისასტიკეს გამოვლილ ადამიანებს სურთ ცხოვრების გაგრძელება და მიუხედავად იმისა, რომ სულიერად გატეხილები არიან, მაინც არ ნებდებიან. ნაწარმოები, მრავალი კუთხით არის მნიშვნელოვანი. იმან ჰუმაიდანმა შეძლო და მკითხველს სხვა კუთხით დაანახა ქალთა ემოციური სამყარო და გვიჩვენა, რომ ხშირად ფიზიკურ სიკვდილზე მძიმე და გაუსაძლისი სულიერი დეგრადაცია შეიძლება გახდეს.

*ვიკა ჯაჯანიძე*





## უძველესი ხეთური საკურთხეველი იაზილიქაია

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ანკარიდან აღმოსავლეთით 150 კილომეტრში, დაბალ გორაკებს შორის და პატარა სოფელ ბოლაზქოის მახლობლად მდებარეობს უძველესი ხეთური საკურთხეველი - იაზილიქაია, რაც თურქულ ენაზე "წარწერიან ქვას" ნიშნავს. იაზილიქაიას ბუნებრივი კლდის სალოცავი მდებარეობს ღია ცის ქვეშ, იმ ადგილას, სადაც ერთ დროს მოედინებოდა სუფთა წყარო. ამ ადგილს აქვს ანატოლიის სხვა წყაროების მსგავსი მახასიათებლები და ეს უნდა ყოფილიყო თაყვანისცემის ადგილი ასობით ან ათასობით წლით ადრე, ჯერ კიდევ ხეთების ანატოლიაში გაბატონებამდე.

აღსანიშნავია, რომ მე 19 საუკუნამდე ხეთების უძველესი ცივილიზაციის შესახებ ჩვენთვის არაფერი იყო ცნობილი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფრანგმა მეცნიერმა ჩარლზ ტექსიემ იმოგზაურა სოფელ ბოლაზქოიში და მოინახულა ხეთების დედაქალაქი ხათუსა და იქვე მდებარე ბიბლიოთეკა ათასობით თიხის ფირფიტით, შესაძლებელი გახდა ამ დაკარგული ადამიანების კვალის პოვნა. მათი ქალაქის გათხრების შედეგად გამოვლინდა დიდი და ძლიერი კულტურა, რომელსაც მართავდნენ წერილობითი კანონები, ჰქონდათ შექმნილი სასახლეები და სიმაგრეების ფართო ქსელი, სარგებლობდნენ ფიქსირებული ფულადი სისტემით და ზრდიდნენ რელიგიას თავიანთი ღმერთებითა და ქალღმერთებით. ხეთები იყვნენ პოლითეისტები და საკუთარ ღმერთებთან ერთად თაყვანს სცემდნენ სხვა მესოპოტამიური კულტურებიდან მომდინარე ღვთაებებსაც.

ხათუსილის, პირველი ხეთი მეფის, შესახებ ჩანაწერები მოგვითხრობს მზის ქალღმერთ არიანასა და მის ქალიშვილ მეზულას, ასევე ამინდის ღმერთის, თემუბისადმი მიძღვნილ ტაძრებზე. სწორედ ერთ-ერთ ასეთ საკურთხეველს წარმოადგენდა იაზილიქაიაც.



*იაზლიქიას A პალატა, დასავლეთი კედელი*

იაზლიქიას საკურთხეველი მდებარეობს უძველეს ქალაქ ხათუსასთან ახლოს, იქ სადაც კლდეებიდან წამოსული წყარო გადიოდა პატარა ბორცვზე. ხეებით დაჩრდილული, ბალახითა და ყვავილებით მოპირკეთებული ბორცვის ძალა და სილამაზე შთააგონებდა ხეთებს და ადრინდელ ხალხებს, რომ ღმერთებისთვის თაყვანი სწორედ ამ ადგილას ეცათ. იაზლიქიას მთავარი ინტერესი მდგომარეობს არა ტაძრის დანგრეულ შენობებში, არამედ ღვთაებების ფიგურებში, რომლებიც მოჩუქურთმებულია კლდოვან კედლებზე, საკურთხეველის ორ გადაუხურავ ბუნებრივ პალატებში. ამ მხირვ დღეს ყველაზე შთამბეჭდავია A და B პალატების კლდოვანი რელიეფები. დიდებულია A პალატა, რომელიც შეიცავს მსვლელობაში მონაწილე 64 ღვთაებას. მარცხენა კედელზე გამოსახულია მამაკაცი ღვთაებების მსვლელობა, რომლებიც შემოსილნი არიან ტრადიციული კილტებით (ტრადიციული სამოსი), წვეტიანი ფეხსაცმლით და რქოვანი ქუდებით. სავარაუდოა, რომ რქების რაოდენობა, რომლებიც ამშვენებს მათ ქუდებს, მიუთითებს ღმერთების წოდებაზე. გაშიფრული სახელებიდან აღმოვაჩინეთ, რომ ამ ღვთაებებს ჰქონდათ ხურიული და არა ხეთური სახელები, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა ხეთურ რელიგიაში უცხო წარმოშობის ღმერთების არსებობის. კედელზე ასევე ნაჩვენებია მთის ღმერთები მასშტაბური იაზლიქიას A პალატა, დასავლეთი კედელი კილტებით, რაც სიმბოლოა ამ კლდოვანი მთების. მარჯვენა კედელზე გამოსახულია ქალი ღვთაებების მსვლელობა, რომლებსაც აცვიათ გრძელი ქვედაბოლოები და ადგათ გვირგვინები. ამ გაყოფის ერთადერთი გამონაკლისია სიყვარულისა და ომის ქალღმერთი შაუშკა, იგივე მესოპოტამიური ქალღმერთი იშთარი/ინანა, რომელიც გამოსახულია მარცხენა კედელის მამაკაცების მსვლელობაზე ორ ქალთან ერთად. სავარაუდოდ, ეს გამოწვეულია მისი მამაკაცური თვისებებით, როგორც ომის ქალღმერთი. მსვლელობა მიდის უმაღლესი წყვილისკენ :

ქარიშხლის ღმერთ თემუბისა და მზის ქალღმერთ ჰებატისკენ. ჰებატის უკან ნაჩვენებია მათი ვაჟიშვილი შარრუმა, ქალიშვილი ალანზუ და ასევე მათი შვილიშვილი ქუნცისალი.



იაზილიქია, B პალატა


B პალატა ვიწრო და პატარაა, მაგრამ უფრო დიდი და უკეთ შემონახული რელიეფები აქვს. ეს პალატა შეიცავს ღვთაებას, რომელსაც არქეოლოგები უწოდებენ "მახვილის ღმერთს", მიჩნეულია, რომ იგი წარმოადგენს ქვესკნელის ხეთურ ღმერთს. კრემაციის ნაშთები ამ მხარეში მიგვითითებს, რომ საკურთხევლის ეს ნაწილი შესაძლოა ხეთური სამეფო ოჯახის სამარხებისთვის ყოფილიყო გამოყენებული, რასაც თუთხალია IV ის გამოსახულებაც ადასტურებს.

ზოგიერთი რელიეფის ქვეშ, კლდეში ამოჭრილი ღრმულები, როგორც ჩანს, შესაწირავების შესანახს წარმოადგენდა. ასევე აქ არის კლდეში ამოკვეთილი აუზები და სანიაღვრეებიც. ამკარაა, რომ საკურთხევლის თითოეული პალატა სხვადასხვა ცერემონიისთვის გამოიყენებოდა, მაგრამ ამ რიტუალების ზუსტი ბუნება სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია.

იაზილიქიას საკურთხევლის კედლებზე ასახული პროცესი დღემდე დავის საგანს წარმოადგენს. წლების განმავლობაში მრავალმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი ვარაუდი საკურთხევლის რეალურ დანიშნულებასთან დაკავშირებით, თუმცა ვფიქრობ, რომ ყველაზე ზუსტი პროფესორ ებერჰარდ ზანგერის დასკვნაა, რომელიც მან 2019-21 წლებში თანაავტორ ლიზა გაუჩისთან ერთად გამოაქვეყნა.

კვლევამ დაასკვნა, რომ საკურთხეველი ასახავდა კოსმოსს მისი სამი დონის ჩათვლით: დედამიწა, ცა და ქვესკნელი. გარდა ამისა იგი მოიცავს ციკლურ პროცესებს : დღე/ღამე,

მთვარის ფაზები და ზაფხული/ზამთარი, რომელიც საერთო ჯამში მთვარე-მზის კალენდრის ფუნქციას ასრულებდა.



იაზილიქაია, A პალატა, ტექნიკური რეკონსტრუქცია

რელიეფის შესწავლის საფუძველზე ჩანს, რომ A პალატაში არსებული უზენაესი ღვთაებები განასახიერებს მთვარის დღეებს, თვეებსა და მზის წლებს. დასავლეთი კედელი იწყება 12 ერთნაირი ღვთაების გამოსახულებით, რაც შეესაბამება მთვარის 12 თვეს, ღვთაებების მეორე ჯგუფი (13-41 რელიეფები) შეიცავს 30 ფიგურას, რაც ეკვივალენტურია მთვარის კალენდარში არსებული დღეების მაქსიმალური ოდენობის და შესაბამისად აღნიშნავს მთვარის დღეებს. ხოლო, რაც შეეხება აღ.კედელზე გამოსახულ ქალი ღვთაებების მსვლელობას, ისინი უნდა ასახავდეს მზის 19 წლიან ციკლს, რაც კოორდინაციას უწევს მთვარის თვეების სიზუსტეს მზის წელთან მიმართებაში. როგორც ცნობილია მთვარის კალენდრის 29-30 დღიანი თვე წელიწადის განმავლობაში 11 დღიან აცდენას იძლევა ( $12 \times 29,53059$  დღე  $\approx 354$ ), რის გამოც საჭირო ხდება მზის 19 წლიანი ციკლის შემოტანა, სადაც ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ 12 თვეს დაემატება ერთი შულებდური თვე, რომელთა რაოდენობაც 19 წლის მანძილზე სულ იქნება 7.

შესაბამისად 19 წლის განმავლობაში სულ ვღებულობთ მთვარის 228 თვეს + 7 დამატებული თვე, რისი რაოდენობაც სულ არის 235 და რაც იდენტურია 6940 დღის. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე კალენდრის მიხედვით 19 წლის მანძილზე გასული დღეების რაოდენობაც თითქმის 6940 ია, რის საფუძველზეც ფაქტობრივად ვღებულობთ იდეალურ მთვარე-მზის კალენდარს. ძალიან საინტერესოა აგრეთვე 28-

29 ფიგურების, ე.წ. „ხარი-კაცების“ გამოსახულებები, რობლებსაც ხელში თითქოს ცა ან სფეროსებური სახის რაღაც სხეული უჭირავთ. სინამდვილეში ეს უნდა ასახავდეს სავსე მთვარეს, რადგან აღნიშნული ფიგურებით წარმოდგენილ დღეებში ზუსტად ემთხვევა სავსემთვარეობა.

იაზილიქიას A პალატის მთვარე-მზის კალენდართან გაიგივების საკითხში, რა თქმა უნდა, გარკვეული სახის პრობლემებსაც ვაწყდებით. მაგალითად აღ.კედელზე 19 ის ნაცვლად 17 ქალი ღვთაებაა გამოსახული, თუმცა აშკარაა, რომ ამის მიზეზი რელიეფის დაზიანებაა. კედელზე არსებული სიცარიელები პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ორი ღვთაების წაშლა, დროთა განმავლობაში, ამინდმა ან სხვა ბუნებრივმა მოვლენებმა გამოიწვია. მიუხედავად გარკვეული ეჭვებისა ის, რომ იაზილიქიას ცენტრალურ ნაწილში ხეთების მთავარი ღვთაების - მზის ქალღმერთ არინას მაგივრად სიმბოლურად გამოსახულია ამინდისა და ქარიშხლის ღმერთი - თეშუბი, კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ საკურთხეველი რეალურად კალენდარს შეესაბამება.

საბოლოოდ, იაზილიქიას კვლევის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხეთების სახით ჩვენ საქმე გვაქვს უძველესი დროის ერთ-ერთ განვითარებულ ხალხთან, რომლებსაც გააჩნდათ მდიდარი კულტურა, დიდი სამეცნიერო განათლება და საოცარი აღმშენებლობითი ნიჭი, რაც მეცნიერთა შორის დღემდე დიდ გაკვირვებას იწვევს.

*ლუკა გოლაშვილი*

## ტადაო ანდო და თანამედროვე არქიტექტურა

მსოფლიოში სახელგანთქმული იაპონელი ხუროთმოძღვარი ტადაო ანდო თანამედროვე მინიმალისტური არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელია. პოსტულატები ანდოს მოდერნისტული შემოქმედებისა მჭიდროდაა დაკავშირებული იაპონური ეროვნული ესთეტიკის თავისებურებებთან და მის პირად ხედვებთან, ემოციურ მგრძნობელობასთან. თვითნასწავლი ხელოვანის აზრით, შემოქმედისთვის მთავარი კონსტრუქციის შეგრძნების თანდაყოლილი უნარია, სხვა ყველაფრის შესწავლა კი დამოუკიდებლად სრულიად შესაძლებელია. სამშობლოში აღიარებასთან ერთად ანდომ შემოქმედებით გზაზე მოიპოვა არა ერთი სახელგანთქმული საერთაშორისო პრიზი: „ალვარ აალტოს პრემია“ 1985 წელს, „საფრანგეთის არქიტექტურის აკადემიის პრემია“ 1989 წელს, „კარლსბერგის პრემია“ 1992 წელს, „პრიცკერის ჯილდო“ 1995 წელს, „ბრიტანეთის არქიტექტორების სამეფო ინსტიტუტის პრემია“ 1997 წელს... აღნიშნული წარმატება ტადაოს უდრეკმა ხასიათმა, დაუოკებელმა შინაგანმა ენერგიამ და უზადო შრომისმოყვარეობამ უზრუნველყო.

ხელოვანის მეზრძოლი და უტეხი ბუნების ჩამოყალიბებაზე გავლენა იმ კულტურულმა და სოციალურმა გარემომ იქონია, სადაც მან ცხოვრების ადრეული წლები გაატარა. 1941 წლის 13 სექტემბერს დაბადებული ტადაო ანდოს ბავშვობა ოსაკას ქუჩებს უკავშირდება, სადაც მომავალმა შემოქმედმა სითამამისა და გამბედაობის პირველი გაკვეთილები შეითვისა. აქვე იღებს სათავეს მისი მეტად მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მრწამსი – არასდროს ეთქვა უარი დასახულ მიზნებზე. პიროვნების სიმტიკიცე და სიძლიერე ანდოს კრივისადმი პროფესიულმა მისწრაფებამაც შემატა. ტადაოს სიტყვების თანახმად, როგორც სპორტულ შეჯიბრებაში, ისე შემოქმედებაში ახალი მწვერვალების დასაპყრობად აუცილებელია ადამიანის მიერ გამოცდილების, უნარებისა და შესაძლებლობების სრული დიაპაზონის ათვისება...

10 წლის ანდომ დურგლის შეგირდად დაიწყო მუშაობა, სადაც დაეუფლა ხის ოსტატურად დამუშავების ტექნიკას და დაიწყო თვითმფრინავებისა და გემების მინიატურული, ხის მოდელების შექმნა. აღნიშნული ტადაოს დაეხმარა არქიტექტორისთვის საჭირო ხედვისა და უნარების განვითარებაში. თუმცა, მომავალი პროფესიის არჩევის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ძლიერი იმპულსი სახელგანთქმული ლე კორბუზიეს ესკიზებით გატაცება აღმოჩნდა – 15 წლის ასაკში ანდო დაინტერესდა მე-20 საუკუნის მოდერნისტული არქიტექტურის ფუძემდებლის, თვითნასწავლი ფრანგი ხუროთმოძღვრის შარლ ედუარ ჟანერეს ხელოვნებით.

არტიტისტისთვის ლე კორბუზიეს ნამუშევრები დღემდე შთაგონების მთავარ წყაროს წარმოადგენს, ყოველ პროექტზე მუშაობისას იგი საკუთარ თავს ეკითხება, თუ "რას იფიქრებდა ლე კორბუზიე ამაზე?".

ტადაოს მხატვრულ აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა კენძო ტანგეს შემოქმედებამაც, რომელიც იაპონური სამშენებლო ხელოვნების მიღწევების საერთაშორისო აღიარების საფუძველი ხდება 1960-იან წლებში. ანდომ დიდებული არტიტისტის მრავალი აღმოჩენა განავრცო და განავითარა. ვინაიდან სამშენებლო ხელოვნების პროფესიულ დონეზე დასაუფლებლად მხოლოდ ლიტერატურის შესწავლა საკმარისი არ იქნებოდა, 18 წლის ახალგაზრდამ მშობლიური კულტურისა და ტრადიციების უკეთ გასაცნობად იაპონიის მთავარი ტაძრებისა და სალოცავების მონახულება დაიწყო, 1960-იან წლებში კი ესტუმრა ამერიკის, ევროპისა და აფრიკის ქვეყნების საკულტო არქიტექტურულ ობიექტებს. თითოეულის სამშენებლო ტრადიციებისა და ინდივიდუალური შემოქმედებითი ჩანაფიქრის გაცნობით შეძენილმა ცოდნამ ახალი კრეატიული იდეებით გაამდიდრა ანდოს მხატვრული მსოფლალქმა.

ტადაო ანდოს მოდერნისტული შემოქმედება აგრძელებს ეროვნული მახასიათებლებით გაჯერებულ, თვითმყოფად კულტურულ მემკვიდრეობას და გვთავაზობს მის თანამედროვე ინტერპრეტაციას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არქიტექტურის ბუნებრივ ლანდშაფტურ გარემოსთან მიმართებას. ავტორი, უპირველეს ყოვლისა, გრძნობს მოცემული გეოგრაფიული ობიექტის ენერგეტიკას, რაც აყალიბებს ნაგებობის ფორმათა კონტურების მოძრაობის რიტმს. შემოქმედი ყოველი უნიკალური იდეის ხორცშესახმელად ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთქმედების ახალ მხატვრულ მეთოდს იყენებს. ანდოს აზრით, არქიტექტურა ბუნებასთან დიალოგით ყალიბდება. ამავე დროს, იგი, ტრადიციული იაპონური მხატვრული ხედვისგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ არქიტექტურისა და ბუნების ორგანული თანაარსებობის მისაღწევად და არქიტექტურული ძეგლის მთლიანობაში ადექვატურად აღსაქმელად აუცილებელია, წარმოჩინდეს მათ შორის არსებული წინააღმდეგობა და დამაბულობა. ანდო აჩვენებს არქიტექტურისა და ბუნების ჰარმონიულ ერთიანობას. იაპონური მსოფლალქმა ერთ მთლიანობად განიხილავს ურთიერთსაწინააღმდეგო სუბსტანციებს, რომლებიც ერთმანეთს ხელს კი არ უშლიან, არამედ უწყობენ. რიგ შემთხვევებში გარემომცველ სივრცესთან დიალოგი ცისკენ ან მომიჯნავე ბალისკენ გასახსნელი სარკმლებით მყარდება, ასევე ვხვდებით არქიტექტურული ფორმისა და წყლის კომბინაციას, ბაქნის საშუალებით კონსტრუქციისა და ზღვის ურთიერთდაკავშირებას და სხვ.

ანდომ წინასწარ ზუსტად განსაზღვრა ის სამშენებლო მასალა, რომელიც ყველაზე კარგად დააკმაყოფილებდა არქიტექტორის ნებისმიერ მოთხოვნას. ანდო ავლენს ნეიტრალური ფერის ბეტონის ესთეტიკას, მის სილამაზესა და ფაქტურას. არქიტექტორის მიზანია, მაყურებელმა აღიქვას ფორმის მთლიანობა და კონცენტრირდეს მთავარზე. სამშენებლო ხელოვნებაში ბეტონის ესთეტიკური ღირებულების წარმოჩენის ტენდენციას იზიარებს მეოცე საუკუნის არაერთი დიდებული არქიტექტორი: ლე კორბუზიე, ერიხ მენდელსონი, კონსტანტინ მელნიკოვი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტორის რჩეულ სამშენებლო მასალას ბეტონი წარმოადგენს, მან ტრადიციული იაპონური მასალების – ხისა და ქაღალდის გამოყენებითაც შექმნა რამდენიმე შენობა, რომლებიც კონსტრუქციული ფორმების სიმარტივისა და პროპორციების სრულყოფილების მაგალითს წარმოადგენენ. ანდო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განათებასაც. სრულიად ახალგაზრდა ადამიანთათვის იმის ხილვამ, თუ როგორ გააპო ოთახში დაბუდებული სიბნელე სახლის სახურავში გაჭრილი ღიობიდან შეღწეულმა სინათლის სხივმა. ხელოვანის აზრით, მზის შუქი არქიტექტურულ ფორმასთან შერწყმისას ქმნის იმ მხატვრულ ექსპრესიას, რომელიც აუცილებელია მისი შემოქმედების აღსაქმელად. კონტურები, მასშტაბი, საგანთა სიღრმე, იაპონური ესთეტიკის თანახმად, სწორედ



შუქ-ჩრდილის ზემოქმედებით იკვეთება.

საზოგადოდ, ანდოს არქიტექტურას წყლის, მისი ჟღერადობის განსხვავებული ფორმით აქტიური გამოყენება გამოარჩევს. ავტორი ბუნებრივი განათების ხატოვანი ეფექტების შესაქმნელადაც წყლის შესაძლებლობებს ითვისებს. წყლისა და ბეტონის რბილი ზედაპირებით სინათლის სხივების არეკვლისას იქმნება შუქ-ჩრდილებისა და ათინათების უსასრულო ვარიაციები. წყლის გამჭვირვალობა და სიკაშკაშე ამდლებული სულიერი საზრისის მატარებელია. იგი არბილებს, აბუნდოვანებს და სინაზეს მატებს თითოეულ მკაფიო კონტურს.



ტადაო ანდოს არქიტექტურაში სივრცის, მანძილისა და ზედაპირის ფაქტურის აღსაქმელად მნიშვნელოვანია სმენითი მგრძნობელობაც. შემოქმედი არქიტექტურული ძეგლის მხატვრული სახის შესაქმნელად მუსიკის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებსაც მიმართავს. არქიტექტურული მასებისა და წყლის ბგერითი რხევების კოლაბორაცია საინტერესო მუსიკალურ მოტივებს გვთავაზობს, ამასთან, წყლით შექმნილი მხატვრული ეფექტი, იდუმალი მდუმარება, გარემოში მუდმივად არსებული ნატურალისტური ბგერითი რხევების აღქმისკენ გვიბიძგებს.

Awaji Yumebutai-ის სასტუმროს შენობაში ვხვდებით როგორც აუზში გარინდულ წყალს, ასევე მის ტალღისებრ რაკრაკს, ტერასულ დინებას. წყლის ბგერათა განსხვავებული ჟღერადობის მისაღებად სპეციალური მასალისგან დამზადებული საფეხურები სხვადასხვა სიმაღლეზე თავსდება. ზოგჯერ წყლის ხმა იმდენად ძლიერი და ინტენსიურია, რომ გარემო სივრცისა და ძეგლის აღქმა მხოლოდ და მხოლოდ მხედველობითი მგრძნობელობის საშუალებითაა შესაძლებელი, ხან კი წყლის სიჩუმე და უძრაობა ისეთი სიმშვიდით ავსებს ნაგებობას, რომ მთელი სისრულით აღვიქვამთ ირგვლივ არსებულ „ბუნების ხმებს“.

ტადაო ანდოს მცდელობა, საკუთარ შემოქმედებაში შემოიტანოს მუსიკა, როგორც „ბუნებაში არსებული ბგერების“ ერთობლიობა, მოგვაგონებს მე-20 ს-ის ამერიკელი კომპოზიტორის ჯონ ქეიჯის ცნობილ ექსპერიმენტულ კომპოზიციას „4'33“-ს, რომელიც ინსტრუმენტული ბგერითი რხევების ნაცვლად გარემომცველ სივრცეში უწყვეტად არსებულ ხმებს წარმოაჩენს. ქეიჯისა და ანდოს ჩანაფიქრის მიზანიც ერთია – ადამიანებმა ყური უნდა დაუგდონ სამყაროში არსებულ ცოცხალ ხმებს.

ტადაო ანდოს ფართო შემოქმედება მოიცავს არქიტექტურის მრავალ მიმართულებას: საეკლესიო-რელიგიურ ძეგლებს, საზოგადოებრივი დანიშნულების სამუზეუმო ნაგებობებს, საცხოვრებელ კომპლექსებს, ბაღებსა და სხვ. ანდოს პროექტები ხშირად ცენტრულობის პრინციპს ემყარება, რაც კავშირს ბაღებს რელიგიურ-სასულიერო არქიტექტურულ კონცეფციასთან, შუა საუკუნეების წრიული გეგმარების წმინდა ნაგებობებთან. სპირალები, ზიგზაგები და წრიული მასების რადიალური განვითარება სივრცის ცენტრში ყოფნის ილუზიას ბაღებს. ანდომ აღნიშნული ტენდენცია აღმოსავლურ კონტექსტში გაიაზრა სანტორის ხელოვნების მუზეუმში, სადაც ცენტრულობის მოტივი შუშის ნაგებობის შუაში არსებული ბირთვით წარმოჩინდა. სამშრიანი წრიული ფორმა კონტრასტირებს ოსაკას პორტისკენ მიმართულ, კონსოლზე აღმართულ გრძელ მართკუთხა კონსტრუქციასთან. ანდო ურთიერთშემდგომი, ეფექტური შეპირისპირებებით ტრადიციულ ესთეტიკას თანამედროვე ელფერს ანიჭებს.



არქიტექტორის ნამუშევრების არსებით ნაწილს მუზეუმების, საგამოფენო დარბაზების პროექტები შეადგენს, რომელთა შორისაა 2004 წელს აგებული ფორტ უორტის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიც. მარტივი გეომეტრიული კონსტრუქციების მქონე ძეგლი გამჭვირვალე შუშის არქიტექტურის მხატვრულ ექსპრესიას წარმოაჩენს. შენობის წინ არსებული პატარა გუბურა ხუთი სრულად შემინული კარკასის წყლის ზედაპირზე ტივტივის ილუზიას ქმნის. ბეტონის, მინისა და ლითონის კონსტრუქცია კენჭებით სავსე გუბის ზედაპირზე ირეკლება. მუზეუმის სახურავის მკვეთრი შვერილები ხელს უშლის ინტერიერში მზის შუქის პირდაპირ შეღწევადობას.



ანდომ რბილი და გაფანტული განათების შესაქმნელად იაპონური საცხოვრებელი არქიტექტურის ტრადიციული თავისებურება, სახლის გარშემო არსებული გადახურული პორტიკი, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მოარგო მოდერნისტულ შენობას. ბეტონის გადახურვის შვერილი ფილები უკვე მუზეუმის სიმბოლოდ ქცეულ იგრეკ ფორმის კოლონებს ეფუძნება...



აღსანიშნავია ასევე 1989 წელს ჰიოგოს პრეფექტურაში აგებული ბავშვთა მუზეუმიც, რომელთან მისასვლელი ვრცელი ბილიკი ასოციაციურ კავშირს ტრადიციული იაპონური ბაღების ქვით მოკირწყლულ ბილიკებთან ბაღებს. ბეტონის კედლის გასწვრივ არსებული დაკლავნილი გზა ციცაბო ლანდშაფტისკენ მიგვიძღვის, რაც გარემომცველი სივრცის პანორამული ხედების აღქმის შესძლებლობას იძლევა. მუზეუმში კიბის საფეხურების რიტმს იმეორებს ტერასულ დონეებზე მშვიდად მიმავალი წყალი.

ამომავალი მზის ქვეყანაში გავრცელებული უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შედეგად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ბაღის კულტურამ. რწმენამ, რომ ყოველი არსება დაჯილდოებული იყო სულით, ე.წ კამით, არსებით ესთეტიკურ ნორმად აქცია მცენარეების, ყვავილებისა თუ ქვის მშვენიერების მხატვრული ფორმით ასახვა. მე-19 ს-ის II ნახევარში იაპონიაში შეჭრილმა დასავლურმა გავლენამ რეგულარული და ლანდშაფტური პარკების გაჩენა უზრუნველყო. მეზღობის ევროპული მოდელების ათვისების შემდგომ, იაპონელებმა ახლის გამოყენება ძველ, მშობლიური ბაღების ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ტიპებთან ერთად დაიწყეს. იაპონიაში არქიტექტურისა და ბაღის სინთეზმა მაქსიმუმს XX ს-ის ბოლოს მიაღწია, როდესაც ტექნიკური, პლასტიკური და კომპოზიციური შესრულების თვალსაზრისით, სრულიად ახალი არქიტექტურულ-ლანდშაფტური ფორმები გამოჩნდა.

სწორედ ამ დროს, 1994 წელს კიოტოში ტადაომ შექმნა სახვითი ხელოვნების ბაღი, რომელსაც კონკურენცია უნდა გაეწია მსოფლიოში ცნობილი, ბრწყინვალე კიოტოს ბაღებისთვის. ავტორმა წარმოადგინა პროექტის უნიკალური ინტერპრეტაცია, რომელშიც უარი თქვა ბაღის ტრადიციული ელემენტების გამოყენებაზე. 0,3 ჰექტარზე გადაჭიმული სამსართულიანი ბეტონის სტრუქტურულიდან მოსჩანს ხის იშვიათი სახეობებით გამწვანებული ლანდშაფტის პანორამული ხედები, ასევე ჰიგაშიამას მთის შთამბეჭდავი პეიზაჟი, რომლის რბილი, ნაზი კონტურები უძველესი დროიდან ქალურობის სიმბოლოდ აღიქმება იაპონიაში. მუზეუმში წარმოდგენილია მსოფლიოს დიადი მხატვრების ნამუშევართა რეპროდუქციები. ბაღის ღია ცის ქვეშ მდებარეობა ნაკარნახევია არა მხოლოდ ამ ხელოვნების უძველესი კანონების გადმოცემის სურვილით, არამედ ნამუშევართა ადექვატურად აღსაქმელად შესაფერისი ბუნებრივი განათების შექმნის მოტივით. ბაღი-მუზეუმის ძირითადი ნაწილი მიწის ქვემოთ

მდებარეობს, რამაც ხელი შეუწყო მეზობლად მდებარე ბოტანიკური ბაღის მცენარეული საფარის ხელუხლებლად შენარჩუნებას და „სახვითი ხელოვნების ბაღის“ კომპოზიციაში ჩართვას.

კონსტრუქციის ზედა, შუა და ქვედა გალერეები ერთმანეთს ხიდებით, ბილიკებითა და გასასვლელებით უკავშირდება. სამივე სართულს მიუყვება ჩანჩქერი, რის შედეგადაც წყლის ხმა ბაღის ყველაზე შორეულ ნაწილშიც კი აღწევს. საგულდაგულოდ გააზრებულმა გეგმამ, რომელიც ბეტონის კედლების მრავალრიცხოვან ურთიერთკვეთას ითვალისწინებდა, სივრცის რთული ფორმირება უზრუნველყო. მცირე ფართობის მიუხედავად, ბაღის სრულად დასათვალიერებად კილომეტრების გავლაა საჭირო. სივრცის გადაწყვეტის ამგვარი ილუზია ტრადიციული იაპონური ბაღებისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა. ბეტონის სწორი გადახურვის მქონე, მოჩრდილული გალერეები მზის შუქით სავსე, ღია სივრცეში გადის, სადაც კოროზიისა და გახუნების მიმართ მდგრად კერამიკულ ფირფიტებზე ფოტოგრაფიულად გამოსახული რეპროდუქციებია განთავსებული. ღრმად გააზრებულია თითოეული ფერწერული ნამუშევრის ადგილმდებარეობა. იმპრესიონისტ კლოდ მონეს „წყლის შროშანები. დილა“ წყალქვეშ, შუშის ყუთშია წარმოდგენილი, რაც მზის სხივებით აღსავსე ღია სივრცეში უმაღლეს მნახველთა მზერას.

ბაღის სიღრმეში, ორ ჩანჩქერს შორის, სამივე სართულის დონეზე გამოსახულია მიქელანჯელოს სიქსტის კაპელის ფრესკა „განკითხვის დღე“. უზარმაზარი ნამუშევრის თავდაპირველი მასშტაბის შესანარჩუნებლად 110 კერამიკული ფილა გამოიყენეს... ექსპოზიციის შემადგენელ რვა ნამუშევარს შორისაა ლეონარდო და ვინჩის ფრესკაც „საიდუმლო სერობა“. კედლის სიბრტყის წინ მდებარე წყლის აუზი, გამოსახულების არეკვლის შედეგად, ქმნის შთამბეჭდავ მხატვრულ ეფექტსა და დისტანციას მნახველსა და სურათს შორის. შედეგად, ყალიბდება იდეალური კუთხე ობიექტის აღსაქმელად. სახვითი ხელოვნების ბაღში წარმოდგენილია რეპროდუქციები სხვა იმპრესიონისტი და პოსტ-იმპრესიონისტი მხატვრებისა, ესენია: ვან გოგი, პიერ ოგიუსტ რენუარი, ჟორჟ სერა, აგრეთვე მონოქრომული მეღნის მხატვრობის ერთ-ერთი პირველი იაპონელი წარმომადგენელი, ტობა სოდო, ჩინელი ჯან ზედუანი. ნამუშევრებს ერთმანეთისაგან წყალი აცალკევებს, რომელიც ბაღში ყველა ფორმითაა წარმოდგენილი: ვხვდებით აუზებს, ხელოვნურად შექმნილ მდინარეებსა და მაღალ ჩანჩქერს. კონსტრუქციის სიმარტივე და ნეიტრალურ ფერთა გამა შესანიშნავ გარემოს ქმნის ექსპოზიციის აღსაქმელად.

ანდო ცნობილ ამერიკელ არქიტექტორ პიტერ აიზენმანისადმი მიძღვნილ წერილში საკუთარი ხელოვნების მთავარ იდეას აყალიბებს, გადმოსცეს კიდევ უფრო გამარტივებული ფორმებით უფრო რთული და კომპლექსური მნიშვნელობები. ავტორი დღემდე აღნიშნული პროფესიული მრწამსის ერთგულია თავისი მინიმალისტური მოდერნისტული არქიტექტურით. ფორმათა სიმარტივე, კონსტრუქციული სიცხადე, სუფთა, ნათელი კონტურები, მკაფიო გეომეტრიული ხაზები, ბეტონის სუფთა, ცარიელი ზედაპირების სიყვარული, წყლისა და მზის სხივების, როგორც ემოციური გამომსახვლობის საშუალებების, ჰარმონიული მიმართება არქიტექტურულ ფორმებთან, ბუნებრივი განათების საშუალებით შექმნილი შუქ-ჩრდილების თამაში განსაკუთრებულ ინდივიდუალიზმს ანიჭებს ანდოს უბრალოებით განმსჭვალულ, ლაკონიურ მხატვრულ ენას.

*ანა კერძევაძე*